ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი 18 მაისი
№ 20 (2748)
გამოცემის 58-ე წელი
1990

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანო



14 მაისს ქართულმა ეკლესიამ, მართლმადიდებელმა ქართველმა ერმა აღნიშნა წმიდა კეთილმორწმუნე მეფის თამარის ხსენების დღე — თამარობა.

## ვახტანგ ხარჩილავა

### თავისუფლება ლიტველს!

ნუ მიგვატოვებთ ბედის ანაბარა...
ნუ მიგვატოვებთ დასაღუპავად...

ლიტველი ხალხის მიმართვიდან მსოფლიოს კეთილი ნების მთავრობებისადმი.

„ნუ მიგვატოვებთ დასაღუპავად" —
სისხლი, სისხლი სდით სიტყვებს.
იქნება შია, იქნებ სწყურია
ჩემს თავისუფალ ლიტველს.

გაგიყოფ პურს და გაგიყოფ ღვინოს,
მაგ სიდუხჭირით მდიდარს.
თავისუფლების ღვინოთი დამთვრალს,
ჩემს ძმას — ჩემს მშიერ ლიტველს.

გკითხეს: — „პური თუ თავისუფლება?"
(სირცხვილი ამის მკითხველს!)
— თავისუფლება!
თავისუფლება :
პურს ურჩევნია ლიტველს.

შხამ-სამსალისგან თავისუფალი
ჰაერი უვსებს ფილტვებს.
მშიერ-მწყურვალს და მაინც ბედნიერს,
მაინც ქედუხრელ ლიტველს.

მონაზე ორჯერ უფრო მონაა,
ვინაც მოითხოვს მზითევს
თავისუფლების გამოსასყიდად.
თავისუფლება ლიტველს!

ამ ქვეყანაზე რაა ისეთი,
თავისუფლებად ღირდეს?
რადგან ღირსია, თავისუფლება
ერგოს ღირსეულ ლიტველს!

„ნუ მიგვატოვებთ დასაღუპავად"
სისხლი, სისხლი სდით სიტყვებს.
მაძღრად ვივახშმეთ...
თვალს ვერ ვუსწორებ
ჩემს მოშიებულ ლიტველს.

გრგვინავს ბალტია, თავისუფლების
გუგუნი მოაქვთ ზვირთებს,
ჩვენ, ჩვენ ვიკითხოთ,
თორემ რა უჭირს
ნაპირთან გასულ ლიტველს.

...ისევ ვიხსენებ ქაშუეთს ზემოთ
9 აპრილს დაღვრილ ტიტებს.
იმათაც უდევთ წვლილი მცირედი
დღეს თუ უხარის ლიტველს.

გავხედავ თბილისს, გავხედავ დიდგორს,
სამშობლოს მთებს და მინდვრებს...
— თავისუფლება!
— თავისუფლება!
თავისუფლება ლიტველს.

11.05.90

## საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიების მინიჭება

გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის სხდომა, რომელზედაც გადაწყდა 1989 წელს გამოქვეყნებული საუკეთესო ნაწარმოებისათვის საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიები მიენიჭათ:

### პოეზიაში

**შოთა ნიშნიანიძეს** — გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" დაბეჭდილი ლექსებისათვის.

### პროზაში

**სოსო პაიჭაძეს** — ჟურნალ „მნათობში" დაბეჭდილი მოთხრობისათვის და **ლევან მალაზონიას** ალმანახ „განთიადში" დაბეჭდილი მოთხრობისათვის.

### კრიტიკაში

**ელიზბარ ჯაველიძეს** — ჟურნალ „მნათობში" და ჟურნალ „ცისკარში" დაბეჭდილი კრიტიკული წერილებისათვის.

### პუბლიცისტიკაში

**მირონ ხერგიანს** — ალმანახ „განთიადში" დაბეჭდილი წერილისათვის.

### დრამატურგიაში

**ავთანდილ ადეიშვილსა** და **მიხეილ ქურდიანს** — ჟურნალ „ნიანგში" დაბეჭდილი პიესისათვის.

# რაინდი საჭურველმტვირთველი

რევაზ ჯაფარიძე

ჩვენს ამბიციურ წუთისოფელში, როდესაც საკუთარ სწორუპოვარ ღირსებებზე შეყვარებული ადამიანები ისე გაამაყებულან და გაამპარტავნებულან, თავზე, რომ იტყვიან, ბუზსაც აღარ იფრენენ, უმაღლესი სამეცნიერო ტიტულებით შემკული ერთი ქართველი სწავლული თავისი პირადი სურვილით და არა ვისიმე ძალდატანებით მდივნადა და თანაშემწედ დაუდგა ასაკით ბევრად უფროს, სამშობლოს სამსახურის ურთულეს გზებზე ნაჯაყჯაყებ მეორე სწავლულს და ოთხი წლის განმავლობაში, სანამ ბუნებამ თავისი არ გაიტანა და მამულის სამსხვერპლოზე დაფერფლილი მოღვაწის წმიდა ნეშტი მშობლიურმა მიწამ არ მიიბარა, მას გვერდიდან არ მოშორებია.

პირველი მათგანი, ვინც თავისი უანგარო, ერთი შეხედვით მისთვის შეუფერებელი სამსახურით ქართულ საისტორიო მეცნიერებას განუზომელი ღვაწლი დასდო, ჩვენგან ნაადრევად წასული ცნობილი ქართველი არქეოლოგი ბევრი სამეცნიერო და პოპულარული წიგნის ავტორი მრავალმხრივი განათლებითა და ენების ცოდნით გამორჩეული გიორგი ლომთათიძე გახლდათ, ხოლო მეორე ერის მეჭურჭლეთუხუცესად სამართლიანად წოდებული, საქართველოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთი უპირველესი მოამაგე აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი.

ეს ლეგენდად ქცეული კაცი, ჩვენი სულმნათი კლასიკოსების თანამედროვე, გენიალური ნიკო მარის სიყრმის მეგობარი, ვისაც ბედმა იმთავითვე სამშობლოს დიდი მოჭირნახულის ხვედრი განუმზადა, როგორც ცნობილია, მეოთხედ საუკუნოვანი ემიგრაციის შემდეგ სამშობლოში 1944 წელს დაბრუნდა, დაბრუნდა და თან ჩამოიტანა საქართველოდან 1921 წლის თებერვალში გატანილი სამუზეუმო განძეულობანი, რომელთაც უცხოეთში მცველად ახლდა და ორნახევარი ათეული წლის მანძილზე, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, როცა ევროპის კონტინენტზე მეორე მსოფლიო ომის ყოვლისმომცველი ხანძარი მძვინვარებდა და საფრანგეთი, სადაც სამშობლოდან ლტოლვილი ქართული ემიგრაცია თავს აფარებდა და სადაც საქართველოს სამუზეუმო განძეულობა იყო შენახული, ფაშისტი ვანდალების ჩექმის ქვეშ აღმოჩნდა, ენით აუწერელი გაჭირვება გადაიტანა.

ამ ტრაგიკული ამბების ირგვლივ, ბოლო რომ კეთილი აღმოჩნდა, საქართველოში და საქართველოს გარეთ ბევრი დაიწერა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში კიდევ მეტი დაიწერება, ამ სტრიქონების ავტორსაც ერგო ბედნიერება, ერის წმინდანის, ექვთიმე თაყაიშვილისადმი საგანგებო ნარკვევი მიეძღვნა. ამიტომ აქ აღარ გავიმეორებ იმას, რაც ჩვენი მკითხველისათვის უამისოდაც ცნობილია და კვლავ სანიმუშო ქართველი მამულიშვილების — ექვთიმე თაყაიშვილისა და გიორგი ლომთათიძის ურთიერთობის ამბავს მივუბრუნდები.

ყოველივე ეს სკრუპულოზურადაა აღწერილი ქ-ნ ნინო ლოლობერიძის მიერ შედგენილ გიორგი ლომთათიძის წიგნში „ქართული კულტურის მემატიანე ექვთიმე თაყაიშვილი“, ეს-ესაა გამომცემლობა „საქართველომ“ რომ დასტამბა.

ისტორიულ ძნელბედობაში სასწაულებრივად გადარჩენილ და საქართველოში უვნებლად დაბრუნებულ განძეულთან ერთად, რომელსაც თავისუფლად შეიძლება კაცმა საქართველოს პირადობის მოწმობა, პასპორტი უწოდო, მხცოვანმა მეცნიერმა სამშობლოში ჩამოიტანა მრავალი ისტორიული საბუთი, ჩანახატი, აღწერილობა თუ მეცნიერული ნაშრომი, რომელთა გამოქვეყნება სამშობლოში ვერ მოასწრო და არც უცხოობაში მიეცა საშუალება იგი დღის სინათლეზე გამოეტანა და სამეცნიერო მიმოქცევაში ჩაერთო.

ეს ზღვა მასალა, ათასობით გაუყვითლებული ფურცელი, მოსაწესრიგებელი იყო, ბევრ მათგანს კი რუსულიდან თარგმნა და ქართულად გამართვა სჭირდებოდა. ერთი სიტყვით, სამუშაო ისე მრავალმხრივი და ტევადი ჩანდა, მის ბოლომდე მიყვანას არამცთუ ერთი-ორი კაცის ხანგრძლივი თავდადებული მუშაობა, მთელი ინსტიტუტის ძალისხმევა სჭირდებოდა.

სიცოცხლის მეცხრე ათწლეულში გადამდგარი ღრმად მოხუცებული მეცნიერი არცთუ უსაბუთოდ შიშობდა, რომ მისი დღეები უკვე დათვლილი იყო და ვაითუ, ამოდენა ნაშრომ-ნაღვაწი მშობლიურ მეცნიერებას სამუდამოდ დაჰკარგვოდა, ვინაიდან მასალებზე მისი თანდასწრების გარეშე მუშაობა იმ სასურველ შედეგს ვერ მოიტანდა, რომელიც უნდა მოეტანა.

პირად ცხოვრებაში ზედმიწევნით თავმდაბალი, ყოველგვარი ბატონკაცური ჩვევებისაგან შორს მდგომი ექვთიმე თაყაიშვილი სწორედ ამ გარემოებამ აიძულა, უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორისათვის, აკადემიკოს ნიკო კეცხოველისათვის მიემართა და თანაშემწედ გამოსადეგი პირის შერჩევა ეთხოვა. წინასწარი პირობის თანახმად, თანაშემწე ღრმად განათლებული პიროვნება უნდა ყოფილიყო, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა კი არქეოლოგიის საკითხებში, ამ დარგის ყველა მეცნიერული მონაპოვარი ხელისგულზე უნდა სდებოდა. მასვე უნდა შესძლებოდა, პროფესიონალურ დონეზე ეთარგმნა ტექსტები, შეედგინა და რუსულად ეთარგმნა რეზიუმეები, შემდეგ კი თავს ედო ცალკე წიგნებად და ჟურნალ-გაზეთებში მათი პუბლიკაციის უაღრესად შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმე.

ბატონ ნიკო კეცხოველს ბევრი უფიქრია და ასეთად ბატონი გიორგი ლომთათიძე მიუჩნევია. მაგრამ დათანხმდებოდა კი თავადაც ღვაწლმოსილი, მეცნიერების სამსახურში გაჭაღარავებული, უკვე ნახევარ საუკუნეს გადაცილებული, ათას საქვეყნო საქმეში ჩაბმული, არაერთი არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი გიორგი ლომთათიძე ვისიმე მდივნობას თუ თანაშემწეობას, თუნდაც ის „ვინმე“ თვით დიდი ექვთიმე თაყაიშვილი ყოფილიყო?

უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ნიკო, აგრეთვე უთვალავი კეთილი საქმის წამომწყები და მეცენატი, როგორც მოგონებაში წერს, ბატონ გიორგი ლომთათიძეს პირადად ხლებია ისტორიის ინსტიტუტში და მიუკიბავ-მოუკიბავად, როგორც საზოგადოდ სჩვეოდა, მოსვლის მიზეზი პირდაპირ უთქვამს. ლომთათიძე ერთი კი დაფიქრებულა, თვალები დაუხრია და მცირეოდენი დუმილის შემდეგ უკითხავს:

— თქვენ ეს საჭიროდ მიგაჩნიათ?

— აუცილებლადაც!

— გგონიათ, მოვუტან სარგებლობას?

— უეჭველად!

რაკილა აგრეა, თანახმა ვარო, განუცხადებია გიორგი ლომთათიძეს და ექვთიმე თაყაიშვილის მოსანახულებლად და საქმისათვის სათავის დასადებად აქედანვე წასულან. ექვთიმე ლოგინში მწოლიარე დახვედრიათ. ხშირად ავადმყოფობდა. მეტად მცივანა ყოფილა. გამთბარ ოთახში, საწერ მაგიდასთან, არცთუ იშვიათად პალტოწამოხურული იჯდა, თავზედაც თბილი ქუდი ეხურა და ისე მუშაობდა. ამის გამო იოფლებოდა, ნიავი დაჰკრავდა, ცივდებოდა, სიცხე აუწევდა, ჩაწვებოდა ლოგინში, ფიქრობდა, ეს უკვე, ეტყობა, აღსასრულიაო და შეშინებული, ვაითუ რამე დამრჩეს მოუწესრიგებელი, უჩემოდ თავსა და ბოლოს ვერ გაუგებენო, მიკნავებული ხმით უკანასკნელი განკარგულებების გაცემას იწყებდა.

მოვიდნენ თუ არა სასურველი სტუმრები, მოუთმენლად რომ ელოდა, ექვთიმე ლოგინში წამოჯდა, ორივეს სკამები შესთავაზა და გიორგის, თუმცა პირველად ხედავდა, შინაურულად მიმართა, მაგიდა საწოლთან ახლოს მომიწიე, აი, ის საქაღალდე მომაწოდე, არა, ეგ კი არა, მაგის ქვეშ რომ დევს, ეგ, ბარემ ვახსენოთ ღმერთი და დავიწყოთ, დროს უქმად ნუ დავკარგავთ, ყოველი წუთი ძვირფასიაო.

კეცხოველი ისე ამდგარა და წამოსულა, საქმეში ჩაფლულ მეცნიერებს მისი წასვლა არც კი შეუმჩნევიათ.

ამ წუთებიდან დაიწყო თავაუღებელი მუშაობა ექვთიმე თაყაიშვილის მრავალათასფურცლოვანი მემკვიდრეობის გასარჩევად, ტექსტების გასამართავად, სათარგმნელად, ტერმინების დასაზუსტებლად, საბოლოო რედაქტირების მოსახდენად და შემდეგ რედაქციებისა და გამომცემლობების ჩასართველად ტექსტების პუბლიკაციის საქმეში, დაიწყო და, არც მეტი, არც ნაკლები, ოთხ წელიწადს გაგრძელდა.

ეს ჰგავდა დაგუბებულ ნიაღვრისაგან ჯებირის გადმონგრევას. ამ წლებში საქართველოს რომელი ბეჭდვითი ორგანოც არ უნდა გადაგეშალათ, სამეცნიერო თუ მხატვრული, ექვთიმე თაყაიშვილის სახელსა და გვარს იქ აუცილებლად შეხვდებოდით. დაიწყო ცალკე წიგნების გამოცემა. უცილებლივ ყველა ამ ტექსტის მომმზადებელი, ავტორთან ერთად, რედაქტორი და შემდეგ გამომშვები, კორექტორიც კი გიორგი ლომთათიძე იყო.

გაგანია ალოსთავზე, როცა ორივე მეცნიერი დღესა და ღამეს ასწორებდა, რათა მაქსიმალურად მეტი მოესწრო, მათ განუშორებლივ გვერდში უჯდა გიორგი ლომთათიძის მეუღლე, უნივერსიტეტის ლაბორანტი ნინო ლოლობერიძე, თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ ეს წიგნი რომ შეადგინა და გამოსცა, და მათი შრომის შესამსუბუქებლად ტექნიკურ სამუშაოს ასრულებდა, ლამაზი, გარკვეული ხელით იწერდა ტექსტებს, ბეჭდავდა, აწებებდა შეტანილ შესწორებებს, კითხულობდა კორექტურას...

„შეიძლება გადაუჭარბებლივ ითქვას, — წერენ წიგნის წინასიტყვაობაში ბატონები ვახტანგ ბერიძე და გივი ჟორდანია, — რომ თუ დღეს გვაქვს ექვთიმე თაყაიშვილის ბევრი ბოლოდროინდელი მნიშვნელოვანი გამოკვლევა, ეს გიორგი ლომთათიძის დამსახურებაა, მისი თავდადებული შრომის გარეშე ვერც ერთი მათგანი ვერ იხილავდა მზის სინათლეს“.

გიორგი ლომთათიძემ თარგმნა და ავტორის სიცოცხლეშივე მისი მეთვალყურეობით გამოსცა „სუმბატ დავითის ძის ქრონიკის შესავალი“, „საიდან და როდის გაჩნდა „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაში სახელწოდება „არიან ქართლი“", „ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გენეალოგიური ტაბულები“, „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“, „მხატვრული ნაქარგობანი იკორთის ტაძრიდან“, „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“, „სამუსულმანო საქართველოს ექსპედიცია“ და სხვა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაშრომები.

ტექსტებზე მუშაობისაგან თავისუფალ დროს, თუკი შეიძლება მას „თავისუფალი დრო“ ეწოდოს, ბევრის გადამტანი, წლებით დამძიმებული, ჩვენდა საბედნიეროდ, ფენომენალური მეხსიერებით დაჯილდოებული მხცოვანი მეცნიერი, ყოველი საქმის თუნდაც უმნიშვნელო დეტალიც კი რომ ზეპირად ახსოვდა, თავის თანაშემწე გიორგი ლომთათიძეს მოგონებებს კარნახობდა. კარნახობდა არა იმისათვის, რომ მკითხველის წინაშე თავისი პერსონა წარმოეჩინა, როგორც ბევრი ჩვენი თანამედროვე ურცხვად სჩადის, და პატივმოყვარეობის ჭია მოეკლა, არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ მისმა უზადო მეხსიერებამ საქართველოს უახლესი წარსულის მრავალზე მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა ცოცხლად შემოგვინახა და მისი ცოდნა ჩვენს მომავალ თაობებს დაუფასებელ სამსახურს გაუწევს.

ამ მოგონებებს 1958-1959 წლების ჟურნალ „მნათობის“ ნომრებში ერთიმეორის მიყოლებით აქვეყნებდა პუბლიკაციის ავტორი გიორგი ლომთათიძე.

ჩვენს მერკანტილისტურ დროში, როცა ლამის კაცის ღირსებასაც კი ფულით ვზომეთ, რა ხერხებითა და საშუალებითაც არ უნდა იყოს ნაშოვნი ის ფული, როცა ფული კერპად იქცა და მას ერთნაირად მონებს ერიც და ბერიც, არ უნდა დაგვრჩეს ყურადღების გარეთ ის ფრიად საგულისხმო ფაქტი, რომ ექვთიმე თაყაიშვილის გარდაცვალების შემდეგ გიორგი ლომთათიძემ უარი თქვა კუთვნილ ჰონორარზე, დიდი მეცნიერის თხზულებების პუბლიკაციაში რომ ერგებოდა და თანახმად მისი თხოვნისა, ამ ჰონორარს ექვთიმეს ნაშვილები ლიდა თაყაიშვილი იღებდა.

მკითხველი, ალბათ, ამჩნევს და აქამდეც შეამჩნევდა, რომ ამ მცირე წერილით მე სრულებითაც არა ვცდილობ მეცნიერების სიღრმეებში შევიჭრა და აქ ორი დიდებული ისტორიკოსის ერთად მუშაობის პროფესიულ თავისებურებათა ჩემი ვერსია წარმოვადგინო. ამას უთუოდ სხვები იზამენ, ვისაც უფრო ხელეწიფება, მე კი სულ სხვა რამ მაქვს მიზნად დასახული და მკითხველის ინტერესიც სწორედ აქეთ მსურს წარვმართო. მე მინდა წინ წამოვწიო ჩვენი თანამედროვე ინტელიგენტი ადამიანის ზნეობრივი სახე, რომელსაც, განსხვავებით ათასობით სხვა მისი თანამემამულისაგან, მახვრალმა დრომ, საზოგადოების სოციალურმა წყობამ ვერაფერი დააკლო და იმად დარჩა, როგორადაც გარდასულ საუკუნეთა ღვაწლმოსილი ქართველი სწავლულები წარმოგვიდგენია, წამდაუწუმ თავიანთ ცოდვებს რომ ახსენებდნენ და ნაშრომ-ნაღვაწით უკმაყოფილონი შთამომავლობისაგან მხოლოდ ცოდვების შენდობას ითხოვდნენ.

ეს ორი ზნეკეთილი ადამიანი, ჯოჯოხეთის ყველა რკალში გამოვლილი ექვთიმე თაყაიშვილი, ჩვენს ყოვლის დამარღვეველ და გამაბინძურებელ დროში ილიას მადლით მოსილი ეპოქიდან რომ მოვიდა, და მასთან შედარებით ყმაწვილი კაცი, თუმცა უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერი გიორგი ლომთათიძე, ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, სწორედ ნათესაური სულის სიმაღლით გამოირჩეოდნენ და ეს არც ერთ მათგანს არ უკვირდა, ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა.

გარდა იმისა, რომ ექვთიმე თაყაიშვილის აქამდე გამოუქვეყნებელი შრომების გამოსამზეურებლად სწორედ რომ ტიტანური შრომა გაიღო, გარდა იმისა, რომ მთელი ეპოქის შემცველი მემუარები ჩაიწერა, გარანდა და გამოსცა, გარდა იმისა, რომ თავისი დიდი წინამორბედისა და მასწავლებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა, რომელიც ამავე წიგნშია დაბეჭდილი, გიორგი ლომთათიძე ამითაც არ დაკმაყოფილდა, ეკერმანობა იკისრა და ლეგენდარულ ბრძენკაცთან გამართული საუბრები სიტყვასიტყვით ჩაიწერა.

პირადად ჩემთვის გაუგებარია და ამავე დროს აღტაცებასაც იწვევს ტექნოლოგია, როგორ ხდებოდა ამ დიალოგების ჩაწერა, ფიქსირება, ქაღალდზე გადატანა. საუბარი, რომელიც უპირატესად მონოლოგის ხასიათს ატარებს და მხოლოდ აქა-იქ წყდება, მოკლე-მოკლე რეპლიკებით, იმდენად უშუალოა და თავისუფალი, შეუძლებელია, მის ბუნებრიობაში ეჭვი შეგეპაროს. უკეთუ საუბრის სტენოგრაფიული ჩაწერა საუბრის დროსვე მიმდინარეობდა, არ შეიძლება, მას გავლენა არ მოეხდინა დიალოგის ნატურალურ მდინარებაზე, არ გაეკაზიონურებინა იგი, შიგ რაღაც სქემატიზმი არ შეეტანა.

ამასთან დაკავშირებით მე ერთი საგულისხმო ამბავი მახსენდება, რომელიც ჩემი უფროსი მეგობრისა და მწერლობაში გზის გამკვლევის ბატონ სიმონ ჩიქოვანისაგან გამიგონია.

მკითხველს ვთხოვ მომიტევოს, თუ ფრჩხილებს გასაგები მიზეზის გამო ვერ ვხსნი და გამოჩენილი მხატვარი-პორტრეტისტის და მისი ნატურის კიდევ უფრო გამოჩენილი ქართველი მოღვაწის ვინაობას, რომლებსაც ეს ამბავი შეეხება, ბოლომდე ვერ ვამჟღავნებ.

პორტრეტზე მუშაობის დროს მხატვარი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ყველა ხერხს მიმართავდა, რათა ნატურა დაძაბული პოზიდან გამოეყვანა, თავის თავთან მარტო დაეტოვებინა, მის სულს მისწვდომოდა და დაეხატა ის, როგორც ადამიანი, არა ისეთი, როგორსაც ყოველდღე ხედავდნენ, არამედ ისეთი, როგორიც ნამდვილად იყო.

წარმოიდგინეთ, ვერაფერს გავხდიო, სიცილით ყვებოდა თურმე შემდეგ ამჟამად უკვე ცნობილი პორტრეტის ავტორი. როგორც კი პოზიდან გამოვიყვანდი, ჩვეულ ნიღაბს ჩამოვაცილებდი, რომელსაც ის საგარეოდ, საზოგადოებაში ატარებდა, ჩემს ნატურას იმწამსვე ჩაეძინებოდა და როგორც კი შევაღვიძებდი, საქმე ისევ თავიდან დასაწყები მიხდებოდაო.

ეს იქნებ გასაკვირი არც კი იყოს. მცირე გამონაკლისის გარდა, მხოლოდ პროფესიონალი მსახიობები და ორატორები ახერხებენ იუპიტერის დამაბრმავებელი შუქის ქვეშ სრული ბუნებრიობა და ძალდაუტანებლობა შეინარჩუნონ, სხვები კი, არაპროფესიონალები, შექმნილი გარემოება რომ ამავე ვითარებაში გვაყენებს, ვერ ვუმკლავდებით ცთუნებას, საკუთარ თავზე უკეთესი აღმოვჩნდეთ, ჩვენთვის ნაკლებდამახასიათებელი პოზა მივიღოთ, მაყურებელს თავი მოვაწონოთ და ვერკი ვამჩნევთ, რომ სწორედ ამ დროს ვხდებით ყველაზე ნაკლებ საინტერესონი, ნიღბოსანნი, საკუთარ შინაგან ბუნებას, რითაც სხვებისაგან განვსხვავდებით, თითქმის პოლარულად დაშორებულნი.

მოწაფე და მასწავლებელი სასაუბრად, რასაკვირველია, განზრახ არ სხდებოდნენ. ორ ცოცხალ ადამიანს შორის ეს საუბრები თავისთავად, ყოველგვარი წინასწარი მომზადებისა და განზრახვის გარეშე იმართებოდა, თუმცა, ცოდვა გატეხილი ჯობს, როგორც კი საბაბი მიეცემოდა, გიორგი ლომთათიძე მას ხელიდან არ უშვებდა და ცეცხლზე ხმელი ფიჩხის შეუმჩნეველი მიმატებით, სასურველ გზაზე დამყენებელი რეპლიკებით, გონებით ახალგაზრდულად მკვირცხლ და იუმორის გაუხუნარი გრძნობით მომადლებულ მოხუცს სასაუბროდ იწვევდა.

ბატონ ექვთიმეს მეხსიერებაში პატარ-პატარა გამოვარდნები ჰქონდა. შიგადაშიგ გვარები ავიწყდებოდა. აქ ჩაერთვებოდა სწორედ თანაშემწის ერუდიცია. სასურველ გვარს შეუცდომლად მიაწოდებდა და საუბარიც ჩვეულებრივ გრძელდებოდა. მეტყველების კულტურაზე ბატონი ექვთიმე მაინც და მაინც დიდად არ ზრუნავდა, თუმცა მუშაობის დროს ზუსტი მეცნიერული ტერმინის დადგენას ხშირად რამდენიმე დღეს ანდომებდა. თავის დაუზარელ და ერთგულ თანაშემწეს

ვისთან არ აგზავნიდა, რომ უტყუარად სწორი ფორმა შეეტყო და ტექსტი ნამდვილ პროფესიონალურ დონეზე გაემართა. ლაპარაკში რუსიციზმებს და ხანდახან მთელ რუსულ ფრაზებს ხმარობდა, შიგადაშიგ ფრანგულსაც გამოურევდა ხოლმე. რექტორ ნიკო კეცხოველს გიორგი ლომთათიძის პირით უთვლიდა, ფრანკები, ე. ი. ფული შემოგვაკლდაო, შარბონი (ნახშირი) გვითავდებაო და თუ დროზე არავინ მოგვეშველა, მე და გიორგი სიცივით გავფიჩხდებითო. მერე როგორი მცივანა და ფუთნია იყო!

გარდა იმისა, რომ სახელდახელო საუბრებს, გიორგი ლომთათიძეს ვირტუოზული სიზუსტით, ყველა ინტონაციის დაცვით რომ ჩაუწერია და ერთი-ორი კომენტარიც დაურთავს, დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვს, რადგანაც იგი ხშირად საქართველოს ისტორიის მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულისა და მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივი ცხოვრების საკვანძო საკითხებს ეხება, იგივე ჩანაწერები მხატვრულობითაც გვხიბლავს და ავტორის დიდ ალღოზე, ტაქტსა და გემოვნებაზე მიუთითებს.

არავითარი ეჭვი არ არის, გიორგი ლომთათიძეს რომ სამოღვაწეოდ საქართველოს ისტორიის, კერძოდ, მისი ერთ-ერთი დარგის — არქეოლოგიის სარბიელი არ აერჩია და მწერლობას გაჰყოლოდა, მისი სახით უტყუარი ნიჭით გამორჩეული ბელეტრისტი გვეყოლებოდა. ამის დასტურია დიდი ქართველი ისტორიკოსის ექვთიმე თაყაიშვილის მრავალმხრივ კოლორიტული სახე, რომელიც მკითხველის წინაშე ლომთათიძისეული ჩანაწერებიდან წამოიმართება.

უნდა გამოვტყდე, სანამ ამ ჩანაწერებს გავეცნობოდი, ბატონი ექვთიმე მე ყოველივე ამქვეყნიურისაგან განმდგარი, სულით ხორცამდე წარსულში ჩასახლებული, პურიტანული, თითქმის ასკეტური სიმკაცრით და მიუკარებლობით დაღდასმული პიროვნება მეგონა, ვისი პირიდანაც მხოლოდ მილიონჯერ აწონილ-დაწონილი მშრალი პოსტულატები იფრქვეოდა, თუმცა კარგად ვიცოდი ისიც, რა მიღებულ და მიუღებელ ხერხებს არ მიმართავდა, რომელ ველის ხვრელში არ გაძვრებოდა, ოღონდ ერის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი რელიქვია, ხელნაწერი თუ ნივთი, როგორმე მისი მფლობელისათვის დაეცინცლა და სამუდამო სამყოფელი მისთვის ეროვნული მუზეუმის თაროზე მიეჩინა.

ვგონებ გადაჭარბება არ იქნება იმის თქმა, რომ ლომთათიძისეულ ჩანაწერებში ექვთიმე თაყაიშვილი ლიტერატურული პერსონაჟია, მაგრამ არა ნაყოფი მწერლის წარმოსახვისა, არამედ დოკუმენტური, ისეთი, როგორიც ის ნამდვილად იყო, როგორსაც იცნობდნენ.

კაცთმოყვარეობითა და სიკეთის დაუცხრომელი სამსახურით ცოცხალ ექვთიმესათვის, წარმოიდგინეთ, არც დაცინვა და არც გამანადგურებელი ირონია, არც პატარა წატრაბახება და შეფარული თავის მოწონება ყოფილა უც[illegible] აი, ერთი-ორი ნიმუში ბატონ ექვთიმესა და გიორგი ლომთათიძის საუბრებიდან:

„— კაცო, საკვირველი ამბავია, რაც რომ მანდ უნივერსიტეტში ხდებოდა! რა ერქვა იმას, რექტორად რომ იყო? იგი, გესმის, ჩვენ რომ უნივერსიტეტი გავხსენით, გვეწვეწებოდა, თავისუფალ მსმენელად ჩამრიცხეთო, მაგრამ ჩვენ არ მივიღეთ, იმიტომ რომ საშუალო სწავლა არ ქონდა მიღებული. მერე არ დაუნიშნავთ რექტორად? საკვირველია ღმერთმანი... აქედან დიდის ვაივაგლახით გადანარჩუნებული ბიბლიოთეკა წავიღე პარიზში. დიდი მთავრის შესანიშნავი წიგნები და ალბომები იყო (ბორჯომის სასახლისაო, შენიშნავს გიორგი ლომთათიძე), განსაკუთრებით ნაპოლეონის ხანა იყო ისე შესანიშნავად წარმოდგენილი, რომ ყოველ უნივერსიტეტს შეეხარბებოდა. რომ გავვეყიდა, ნახევარ მილიონს ავიღებდით ულაპარაკოდ. ჰოდა, რომ მოვწერე აქ, დეპუტაცია გამოგზავნეთ ნივთების და წიგნების თაობაზე-მეთქი, დეპუტაცია კი არა და ერთი ვიღაც უვიცი გამოგზავნეს, გვარი აღარ მახსენდება. გამოვატანე ის წიგნები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის. წამოიღო და არაფერი მიმიღია, არც მიღების დადასტურება, არც მადლობა, არაფერი. ისევ ჩემმა ძმამ მომწერა, რომ მიიღეს წიგნებიო. და აი, თურმე, როგორც ისინი ამბობენ, ის წიგნები დარგებად დავანაწილეთ და გავურიეთო. როგორც ჩანს, დაუტაცებიათ და მიუთვისებიათ, გესმის? კიდევ კარგი, რომ ეს ნივთები იმ დროს წამოვიღეთ, როცა აქ რიგიანი ხალხი დგას სათავეში და თითქოს საიმედოდაა შენახული მუზეუმში. ა?“

„ვკითხულობთ „იშხანს“. ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი, მანამდე უცნობი დიდი და მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი ფრესკული წარწერის ალწერა — ინტერპრეტაცია ჩავათავე და შევჩერდი. ავტორი აშკარად კმაყოფილია. მაგრამ მაინც ამოწმებს შთაბეჭდილებას:

— ასეთი ახსნა ზედმეტი ხომ არ არის?!

— რას ბრძანებთ, ბატონო ექვთიმე, ესაა ერთი ყველაზე უფრო საყურადღებო ადგილი მთელ ამ თავში!

— ეს ხომ ფაქტია და ფაქტის წინააღმდეგ რას იტყვით? ეს უნდა გაიტანოს კაცმა ფართო არენაზე, თორემ ისეთი მეცნიერი, როგორიც ეს გერმანელია...

— მარკვარტი?

— არა, მომითმინე... მარკვარტი! ის ხომ ადარნასეს ყველა ვაჟიშვილებს, დავითის გარდა, კლარჯეთელ ბერ ადარნასეს შვილებად თვლის და იქიდან გამოჰყავს ქართველ ბაგრატიონთა გენეალოგია, ა? (ეს საზეიმო „ა“ წინადადების ბოლოში ძალიან იცის, როცა ვისმე „ამარცხებს“)“;

„კვლავ იკორთის წარწერებზე ჩამოვარდა სიტყვა, სიმონ ჯანაშიას ხსოვნის საღამოზე რომ წაიკითხა. იქ ერთი დაქარაგმებული სახელი „თვალის გუგად“ გახსნა. ეს ყველამ ვერ გაიზიარა და ახლაც იმას უბრუნდება, ათი დღის შემდეგ:

— ჩვენი გამდელი ყავდა ბებიაჩემს, „თვალმაისას“ ვუძახდით! (იცინის), ასე, რომ „თვალიდან“ ბევრი საკუთარი სახელია წარმომდგარი ქართულში. ხახულის წარწერაში ოხტატს „თვალისი“ ჰქვია, არის სახელი „თვალშვენიერიც“!.. ასე არ შეიძლება მარზე წერა, ის რომ წერს, თოფურია!

— თუ ჩიქობავა?

— დიახ, დიახ, მე სულ ვურევ ერთმანეთში. რომელია, თეთრი თმა რომ აქვს... არა? აბა? მიუხედავად თავისი შეცდომებისა, მარი იყო გენიოსი!“

„განვაგრძობთ „ტაო-თორთუმისპირზე“ მუშაობას.

— მაგას მაჭახელას ხეობა ერქვა. სხვათაშორის, ეს ხეობა სრულიად არაა შესწავლილი. იმიტომ, რომ ვერ შედიოდა შიგ ხალხი. სულ ფირალებით იყო სავსე. ჩემს ბავშვობაში გურიაში სულ მაჭახელის თოფები იყო, მერე შემოვიდა სხვა... საზოგადოდ, გურია ძალიან დამოკიდებულია მაგ ტაო-კლარჯეთზე. ხონური (-ხორუმი) რომ იყო, ცეკვა, ის იქაური ხონიდან — აჭარისწყალთანაა, იქით. სიმღერა გურიაში სულ ქობულეთიდან მოდიოდა. ალიფაშა და ის...

—ხასანბეგურა?“

ხელი გამირბის, კიდევ მინდა რაიმე დამახასიათებელი ამოვწერო და მკითხველს გავუზიარო, მაგრამ რამდენს ამოსწერ, ჩანაწერებს ხომ კარგა მოზრდილი წიგნის მესამედზე მეტი უკავია!

უდიდეს სიხარულსა და სიამოვნებას მანიჭებს, ერთხელ კიდევ რომ მეძლევა შემთხვევა, ქართველი ერის სათაყვანო გმირის, ყოველი დროის საქართველოს დამამშვენებლის, დიდი ექვთიმე თაყაიშვილის სახელი და გვარი ქაღალდზე გამოვიყვანო, ჩვეული თავმდაბლობით რომ განისვენებს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში ლევილიდან ახლახან გადმოსვენებულ თავის ნინო პოლტარაცკაიას გვერდით.

ასეთივე სიხარულისა და სიამოვნების მომგვრელია შეძლების კვალობაზე მოხსენიება და აღწერა იმისა, რაც გიორგი ლომთათიძემ, დიდებულმა მეცნიერმა და მამულიშვილმა, ყველასათვის უაღრესად პატივსაცემმა და საყვარელმა ადამიანმა, სამარის კართან მისულ ექვთიმე თაყაიშვილთან რაინდული თანამშრომლობით მშობელ ერს და მშობლიურ მეცნიერებას გაუკეთა.

უმრავლოს ბედკრულ საქართველოს მათებრ გარჯილი შვილები. აწ დაქცეულისა და იავარქმნილის აღორძინება მხოლოდ მათს მადლიან გულსა და მარჯვენას შეუძლია!



ნიკორწმინდა. ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

# გაზეთის ახალი წესდების გამო

ინტერესით გავეცანი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ახალ (უფრო სწორად — პირველ) წესდებას. თავიდანვე უნდა ვაღიარო — დიდად გამახარა და სიამაყის გრძნობაც მომგვარა ჩვენი სამწერლო ოჯახის საყოველთაოდ პოპულარული და სანაქებო გაზეთის მორიგმა ინიციატივამ.

ჯერ იყო და ახალი ემბლემებითა და დევიზით დაგვიმშვენდა, ახლა კი ამ ახალი წესდებით კიდევ ერთი უზარმაზარი პასუხისმგებლობა იტვირთა თავისი მკითხველების წინაშე. ბუნებრივია, ჩვენს პირობებში, თვითდაფინანსებაზე გადასვლა მრავალ რისკთანაცაა დაკავშირებული.

რაკი „ლიტერატურულ საქართველოს“, სხვა ქართველ მწერლებთან ერთად, მეც ჩემად მივიჩნევ, მინდა გამოვთქვა რამდენიმე მოკრძალებული მოსაზრება, ზემოთაღნიშნულ წესდებასთან დაკავშირებით.

1. მართალია, მე-17 პუნქტში ჩვენ ვკითხულობთ: „მას უფლება აქვს, დადგენილი წესით სახელშეკრულებო ურთიერთობა დაამყაროს... საზღვარგარეთის ქვეყნების, სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან...“, მაგრამ ხომ ყველასათვის ცნობილია, რომ დღემდე არსებული იმავე „დადგენილი წესით“ (უფრო სწორად — დრომოჭმული წესით) მკაცრად ლიმიტირებულია „ლიტერატურული საქართველოს“ გავრცელება საზღვარგარეთის ქვეყნებში. არადა, ვფიქრობ, საქმეში ჩახედული მკითხველი დამეთანხმება, თუ რა დიდი მოთხოვნილებაა მასზე საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებში.

ჩემი აზრით, მე-17 პუნქტში კონკრეტულად უნდა გამოიკვეთოს ამ პრობლემასთან დაკავშირებული ახალი პოზიცია.

2. იქნებ ვცდები, მაგრამ დღევანდელ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, სასურველი იქნებოდა „ლიტერატურული საქართველოს“ სათათბიროში აუცილებლად შეგვეყვანა (თუნდაც საპატიო წევრად) საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი ესა თუ ის თანამემამულე.

3. დღეს, როცა მთელ საბჭოთა კავშირში ასე მოიკიდა ფეხი დემოკრატიულმა პრესამ, როცა ცალკეული გამოცემები საქართველოშიც ღირსეულ კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, იქნებ, ქართველი მწერლები დაფიქრებულიყავით ისეთ „უმნიშვნელო“ დეტალზე, როგორიცაა ჩვენი გაზეთის ფასი. ჩვენ ხომ მოწმენი ვართ იმ გარემოებისა, მართალ ინფორმაციას დანატრებული მკითხველი რა უშურველად იხდის 50 კაპიკს, მანეთს, 2 მანეთს და ა. შ. სულ რაღაც ორგვერდიან გამოცემაში? როგორც იტყვიან, სიმართლეს ფასი დაედო. (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით!) კარგი და კეთილი, მაგრამ რა დააშავა „ლიტერატურულმა საქართველომ“, რომელიც, ამ ბოლო წლებში, მართლაც ახალი ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ნამდვილი ბაირახტარი გახდა; რაზანია, თავის აქტიურ მკითხველებად და ავტორებად შემოიკრიბა სხვადასხვა პროფესიისა და სტილის გაბედული ადამიანები, ერთი ათად გაიზარდა მისი ტირაჟი და გავრცელების გეოგრაფიული საზღვრები. თუ წინათ, მას ამა თუ იმ რაიონში შემოკლებულად არც თუ მოფერებით „ოცკაპეიკიან“ (ე. ი. იმ დროისათვის ყველაზე ძვირ!) გაზეთს ეძახდნენ, დღეს სანთლით საძებარი გახდა... ყველაფერ ამას კი მხოლოდ ის ვერ დაინახავს, ვინც თვალებზე ხელს აიფარებს!

ჩემი ღრმა რწმენით, უსამართლობაა, დღეს, ფულის კატასტროფული გაუფასურების პირობებში ძველი ფასის (20 კაპ.) დატოვება, მით უმეტეს, როცა გაზეთი თვითდაფინანსებაზეა გადასული.

ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, თუ 16 გვერდიანი (!) გაზეთის ფასს 80 კაპიკამდე მაინც გავზრდიდით, რაც თვითდაფინანსებაზე გადასულ ყველასათვის საყვარელ გაზეთს არა მარტო ეკონომიურად წაადგებოდა, არამედ, რედაქციას საშუალებას მისცემდა, ჰონორარიც გაეზარდა თავისი ავტორებისათვის...

არის მეორე ვარიანტიც: 80%-ით შემცირდეს ერთფეროვანი და უინტერესო (ე. წ. „პურის გასახვევი“) 3 კაპიკიანი გაზეთების გამოცემა და მათ ბაზაზე და მათსავე ფასში (ოღონდ არა შინაარსში!) „გაფორმალდეს“ ის ძვირადღირებული გაზეთები, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა. ასე ხომ მთელი საზოგადოება დარჩება მოგებული... მაშინ „ლს“-ს ფასის მომატებაზე კი არა, დაკლებაზე გვექნება საუბარი.

ასეთია მოკლედ ჩემი დამოკიდებულება „ლს“-ს ახალი წესდებისადმი.

საინტერესოა, რას იტყვიან პატივცემული მკითხველები, მწერლები, სხვადასხვა პროფესიის ავტორები...

**ამირან კალაძე**

**რედაქციისაგან:** მადლობას მოვახსენებთ მწერალ ამირან კალაძეს გამოხმაურებისა და საგულისხმო შენიშვნებისათვის. ზოგიერთ მათგანს, რედაქცია, ალბათ, გაითვალისწინებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს ირგვლივ, ყველაფერი დღითიდღე ძვირდება, ჰონორარი კი, სამწუხაროდ, უცვლელი რჩება. შევეცდებით, მომავლისათვის საგრძნობლად გაიზარდოს საავტორო ჰონორარი.

კვლავ ველით გამოხმაურებებს.

# „აკაკი წერეთლის მემორიალური დაფის შესახებ“

ასეთი სათაურით მერი სულაკაურმა მეტად დროული და ფრიად საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1990 წ. 2 მარტი).

წერილის ავტორმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ვერსად შეხვდებით აკაკი წერეთლის თბილისში გატარებული წლების აღმნიშვნელ მემორიალურ დაფას. დღეისათვის უმრავლესობა იმ სასტუმროებისა და ნაცნობ-მეგობრების სახლებისა, რომლებშიც აკაკი წერეთელი თბილისში ჩამოსვლისას ჩერდებოდა, დანგრეულია, აღარ არსებობს, შემდეგ ავტორი გამოთქვამს აზრს, მის მიერ მოძიებული მისამართებიდან, სავარაუდოდ, სად შეიძლება გაკეთდეს აკაკი წერეთლის მემორიალური დაფა. ამავე დროს, განაგრძობს ძიებას აკაკის ნამყოფი ადგილების უფრო ზუსტი ცნობების მოსაპოვებლად.

აკაკი წერეთლისათვის მემორიალური დაფის დასადგმელად, მერი სულაკაურის მიერ დასახელებული წინადადებებიდან, მე მხარს ვუჭერ მეორე წინადადებას, ვფიქრობ, უმჯობესია, მემორიალური დაფის დადგმა, არა სოხიკო მერკვილაძის ბინაზე, არამედ სასტუმრო „კავკაზში“, მართალია, ეს შენობა, დღეს აღარ არის, მაგრამ, ვიცით ადგილი, სად იდგა იგი, და, ანალოგიურად ალექსანდრე ჭავჭავაძის მემორიალური დაფისა, იმ ადგილას, ჭავჭავაძისეული სახლის ნაცვლად ხომ სხვა შენობა დგას. მემორიალური დაფა გაკეთდეს ასეთი წარწერით: „ამ ადგილას იდგა სასტუმრო „კავკაზის“ შენობა, რომლის აივნიდან 1907 წლის 9 სექტემბერს, აკაკი წერეთელი გამოეთხოვა ილია ჭავჭავაძის ცხედარს“.

**ბორის კანდელაკი**

# ჩვენი მეცნიერებათა აკადემია

## გიორგი ზარიძე

ახლო წარსულის ეროვნულმა უბედობამ, კოლონიალურმა ყოფამ მნიშვნელოვნად შეარყია საზოგადოებრივი მორალი. ბოლო ხანებში, რაც თვალი ავახილეთ, კარგად ვხედავთ, რა მძიმე ბალასტად აწევს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს წარსულის ნეგატიური დანაშრევები.

დიდმა რყევებმა ქართველი მეცნიერების ტაძარიც დაბზარა, დააზიანა. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს ამის მოსმენა, ფაქტია, ვერსად გავექცევით. ამ სავალალო პროცესმა, ალბათ უფრო თვალსაჩინოდ, ჩვენს მეცნიერებათა აკადემიაში იჩინა თავი... თუმცა, თანამიმდევრობით მოგახსენებთ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წესდებაში (დამტკიცებულია აკადემიის საერთო კრების მიერ 1981 წლის 1 დეკემბერს), რომელიც საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წესდების გადმოქართულებულ ვარიანტს წარმოადგენს, პირველი აბზაცი ასე იკითხება: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია არის საქართველოს სსრ უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც თავისი წევრების სახით აერთიანებს საქართველოს სსრ ყველაზე გამოჩენილ მეცნიერებს, სსრ კავშირის მოქალაქეებს". ვნახოთ, როგორ სრულდება წესდების ეს მუხლი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ყველა საბჭოურ მეცნიერებათა აკადემიაში ამ მუხლს გვერდს უვლიან, მას არავინ არაფრად აგდებს. მეცნიერებათა აკადემიის წევრების (აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების) შერჩევისას, როგორც ყველა სხვა საქმიანობაში, დირიჟორობს (ყოველ შემთხვევაში, ასე იყო) ცენტრალური კომიტეტი. ვაკანსიების გამოყოფა ზემდგომი ორგანოსა და ნაწილობრივ აკადემიის ხელმძღვანელობის მიერ „არჩეული" პიროვნების მიხედვით ხდება. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ყველა საბჭოურ აკადემიაში, მათ შორის ჩვენთანაც, მუშაობს უწესდებო (დაუწერელი) კანონი, რომლის მიხედვითაც აკადემიის წევრად „არჩევა" უზრუნველყოფილი აქვს აკადემიის სისტემაში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე (ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი, ინსტიტუტის დირექტორი) მყოფ მეცნიერებათა დოქტორს. ეს კანონი საბჭოთა აკადემიების სისტემაში დიდი პოპულარობით სარგებლობს, რის გამოც ბევრი შეუფერებელი პირი ცდილობს შესაფერისი პოსტის დაკავებას. ძნელი მისახვედრი არაა ყოველივე ეს რამდენად საზიანოა აკადემიის დაწესებულებათა ორგანიზაციული საქმიანობისათვის, საამისო მაგალითები ცნობილია.

მეცნიერებათა აკადემიის წევრებად დარგის ნამდვილი ლიდერები უნდა იყვნენ და არა ინსტიტუტის დირექტორები. ვფიქრობ, სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორად (მენეჯერად) უნდა ინიშნებოდეს (და არა ირჩეოდეს) ორგანიზატორული ნიჭის მენეჯერული განათლების სპეციალისტი, მეცნიერი კი სათავეში უნდა ედგას თავისი პროფილის განყოფილებასა თუ ლაბორატორიას.

სამეცნიერო ინსტიტუტის საერთო ხელმძღვანელად მესახება მენეჯერი, რომელსაც დაექვემდებარება ორი დირექტორი. ერთი გამორჩეული მეცნიერი — ლიდერი, რომელიც წარმართავს მეცნიერულ კვლევას, მეორე — ადმინისტრატორი, რომელიც გაუძღვება საერთო საკითხებს — ფინანსებს, მშენებლობას, მიმდინარე რემონტს, მოწყობილობა-დანადგარების შეძენას და სხვა მრავალ ორგანიზაციულ საკითხს. ორივე დარგის დირექტორს შეიძლება ჰყავდეს თითო ან მეტი მოადგილე. დარგობრივი დირექტორები ფართოდაა მიღებული კაპიტალისტური სახელმწიფოების წარმოებებსა და ბანკებში.

ამ მიმართულებით გამოვთქვამ კიდევ ერთ მოსაზრებას. ვფიქრობ, დანიშნულებას არ ამართლებს პრეზიდიუმთან არსებული განყოფილებები. ეს ზედმეტი ბიუროკრატიული რგოლია. კარგი იქნება, პრეზიდიუმთან დაარსდეს დირექტორებისა და მენეჯერების სათათბირო ინსტიტუტი ვიცე-პრეზიდენტის თავმჯდომარეობით.

ინსტიტუტის დირექტორი დიდი უფლებებით სარგებლობს. მას შეუძლია მართებულად მიიჩნიოს რომელიმე თანამშრომლისათვის ხელფასის გაზრდა, პრემიის მიცემა, უცხოეთში წარგზავნა, სამეცნიერო თემატიკის გაზრდილი დაფინანსება, შრომების გამოქვეყნება, საექსპედიციო ავტომანქანების გამოყოფა და, ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი რამ.

დირექციასთან არსებული სათათბირო უფლებების მქონე სამეცნიერო საბჭო, ჩვეულებრივად, დირექტორის დირიჟორობით მოქმედებს, რისთვისაც დირექტორი ვალში არ რჩება. არის შემთხვევები, როდესაც დირექტორის გარშემო, თითქოსდა შეუმჩნევლად, ყალიბდება ერთგვარი კლანი, რაც დიდ ზიანს აყენებს მეცნიერების განვითარებას, ამუხრუჭებს მას. თანამშრომლების ოპოზიციური ნაწილი, რომელიც უსამართლობას ვერ ეგუება, სიმართლის მოპოვების იმედით თანდათან კარგავს, ილლება და ხდება პასიური, მორჩილი. ამნაირად იკაფავს გზას შემთხვევითი პირი.

დამეთანხმება ჩვენი ინტელიგენცია, რომ საქართველოში იღვწიან მაღალი აკადემიური დონის მეცნიერები, რომლებიც ჩვენს ეროვნულ აკადემიას დაამშვენებდნენ; მაშინ როდესაც, რა დასამალია, ჩვენს აკადემიაში არჩეული არიან ისეთები, რომელთა მეცნიერული მოღვაწეობა საკმაოდ მკრთალია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წესდებიდან კიდევ ერთ მუხლს მოვიყვან, რომელიც საკავშირო აკადემიის წესდების შესაბამის მუხლს ზუსტად შეესატყვისება: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებად შეიძლება არჩეულ იქნენ მეცნიერები, რომლებმაც მეცნიერება პირველხარისხოვანი მნიშვნელობის შრომები შესძინეს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად შეიძლება არჩეულ იქნან მეცნიერები, რომლებმაც მეცნიერებას **დიდმნიშვნელოვანი შრომები შესძინეს** (კურსივი ჩემია — გ. ზ.). წადი და გაარკვიე, პირველხარისხოვანი უფრო დიდმნიშვნელოვანია თუ დიდმნიშვნელოვანი უფრო პირველხარისხოვანი? აქ არამარტო მუხლის ფორმულირებაა ბუნდოვანი (შესაძლოა, შეგნებულადაც), არამედ ამ მუხლის საფუძველზე არაერთგზის განხორციელებული არჩევნებიც. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ აღნიშნული მუხლის ბუნდოვნების თაობაზე ცენტრალურ პრესაში („იზვესტიაში") ანალოგიური კრიტიკაა გამოთქმული.

ჩვენს აკადემიაში ამჟამად 160-მდე აკადემიის წევრია (აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები). მათ რიცხვში შედიან ინტერნაციონალური საგზურით არჩეული ავტონომიურ ფორმირებათა წარმომადგენლებიც. ნუთუ საქართველოს ამდენი „პირველხარისხოვანი და დიდმნიშვნელოვანი შრომებიანი" მეცნიერი ჰყავს? განა ეს აკადემიის წევრობის უმაღლესი ტიტულის დევალვაციას არ იწვევს? განა საკმარისი არ არის მომავალ დამოუკიდებელ საქართველოს 50 აკადემიკოსი ჰყავდეს წევრ-კორესპონდენტის საფეხურის გაუვლელად (ეს საფეხური მხოლოდ გაუგებრობას იწვევს. სხვათა შორის, იგი უკვე უარყო ესტონეთის აკადემიამ).

საინტერესოა, როგორ წარმოიშვა წევრ-კორესპონდენტის სტატუსი. წევრ-კორესპონდენტები ჰყავდა სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას მისი ჩამოყალიბებისა და აქტიური ფუნქციონირებისას. იმ დროს მეცნიერული კონტაქტები სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან ჩვეულებრივად წარიმართებოდა კორესპონდენციების (წერილების) საშუალებით. ასეთი კონტაქტების შუამავლები იყვნენ წევრ-კორესპონდენტები. ისინი მეცნიერებათა აკადემიას აწვდიდნენ ცნობებს. ევროპის ქვეყნებსა და აგრეთვე რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში მომუშავე მეცნიერების მოღვაწეობის შესახებ. იმდროინდელ კავშირურთიერთობის პირობებში ასეთი მეცნიერი-ექსპედიტორები დიდ სამსახურს უწევდნენ სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას. ამჟამად ამ სტატუსმა თავდაპირველი დანიშნულება დაკარგა და გადაიქცა მეცნიერებისა და მეცნიერის დამამცირებელ საშუალებად.

ჩვენს აკადემიაში უნდა გაუქმდეს წევრ--კორესპონდენტის საფეხური, როგორც ყოვლად გაუმართლებელი, აგრეთვე დისერტაციის დაცვა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თუკი მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოპოვება იმ დაბალ დონეზე დარჩება, როგორიც ახლაა.

მიზანშეწონილად მიმაჩნია უნივერსიტეტებში შემოღებულ იქნას მაგისტრის ხარისხი, რომელსაც მიანიჭებს ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო სპეციალისტს უნივერსიტეტის დამთავრების 1-2 წლის შემდეგ, სამაგისტრო შრომის დაცვისას. ასეთი შრომა რეალურ დანერგვას ან გამოქვეყნებას უნდა იმსახურებდეს. გამართლებულად მეჩვენება ამჟამინდელ წევრ-კორესპონდენტებს შეეცვალოთ სტატუსი უკვე მიმდინარე წლიდან თანხის შენარჩუნებით. საერთოდ კი, გაუმართლებლად მიმაჩნია, აკადემიის წევრობისათვის დამატებითი ხელფასის მიცემა. ასეთი სისტემა მხოლოდ საბჭოურ აკადემიებშია მიღებული. კაპიტალისტურ ქვეყნებში კი პირიქით ხდება — აკადემიკოსი იხდის საწევროს. და, მოგეხსენებათ, თუ რა დიდი საერთაშორისო აღიარებაა საჭირო მათ აკადემიებში მეცნიერის არჩევისათვის.

მრავალწევროვან აკადემიებს ზოგჯერ საზოგადოების სტატუსი აქვთ. ასეთია, მაგალითად, ლონდონის სამეფო საზოგადოება, რომელსაც დიდი ბრიტანეთის აკადემიასაც უწოდებენ, იქ ირჩევენ არა მარტო ინგლისელ მეცნიერებს, არამედ მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერებსაც, და, რა თქმა უნდა, არა საბჭოური პრინციპით — პირველხარისხოვანი და დიდმნიშვნელოვანი შრომების გამოქვეყნების გამო. ასეთი საზოგადოების (აკადემიის) წევრად გახდომა უაღრესად პრესტიჟულია, საწევროს გადახდა კი აუცილებელი.

ვფიქრობ, ამ დამატებითი ხელფასის მიღების სურვილიც იწვევს იმ აჟიოტაჟს, რაც აკადემიაში ვაკანსიების გამოქვეყნებას მოსდევს ხოლმე, ამის მოწმე არაერთხელ ვყოფილვარ. იწყება საკმაოდ დამამცირებელი პროცედურები, ნაცნობ-მეგობრების შეწუხება, გულახდილად უნდა ითქვას, რომ მახინჯი სისტემის გამო ამომრჩევლები იძულებულნი ხდებიან გაუმართლებელ კომპრომისზე წავიდნენ. საბჭოურ სინამდვილეში მოქმედებს დაუწერელი ნეგატიური კანონი — „შენ თუ მე გამომადგები, მე შენ გამოგადგები". ასეთი ურთიერთობით შეიძლება გახდე არა მარტო მაღალი თანამდებობის პირი, არამედ შეგიძლია მეცნიერის მაღალი ტიტულიც მიიღო. ამის თაობაზე ჩვენ მხოლოდ ვლაპარაკობთ, არ ვწერთ, მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს ასეა. კონკრეტული პირებიც ყველა ჩვენთაგანისათვის ცნობილია. ასეთები, სამწუხაროდ, არცთუ ისე ცოტაა.

მეცნიერებათა აკადემიის მიერ პრესაში გამოქვეყნებულ ასარჩევი ვაკანსიების გამოქვეყნების შემდეგ, სამეცნიერო დაწესებულებებში და უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარეობს პრეტენდენტების არჩევის შანსების შედარება არა მათი მეცნიერული პოტენციალის მიხედვით, არამედ უმთავრესად იმის მიხედვით, თუ ვის როგორი პატრონი ჰყავს და ვაკანსია პიროვნულად ვისთვისაა დაშვებული. ნაკლებად აინტერესებთ ასარჩევის აღიარების დონე თავის სპეციალობაში. ვფიქრობ, პრეტენდენტს საქართველოს ინტელიგენცია რამდენადმე მაინც უნდა იცნობდეს როგორც მეცნიერს.

ინტერესმოკლებული არ იქნება ჩატარდეს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, თუ გნებავთ, თბილისის ფარგლებში, რომელიმე დაწესებულებაში, იმის გასარკვევად, თუ აკადემიის 160 წევრიდან რამდენია ჩვენი ინტელიგენციისათვის ცნობილი. ვფიქრობ, შედეგები არასახარბიელო იქნება.

ჩვენს აკადემიაში არაფერი არ შეცვლილა. ყველაფერი ძველებურადაა, უცვლელია. ზოგი რამ პოზიტიური, რაც საქართველოს აკადემიის წესდებაშია ჩადებული, ისიც ფარატინა ქაღალდად იქცა. საბჭოთა კავშირის აკადემიის წესდების ძირითადი მუხლების მანკიერების თაობაზე არაერთი კრიტიკული წერილი გამოქვეყნდა ცენტრალურ პრესაში, ჩვენთან კი ჯერჯერობით სიჩუმეა. ერს თითქოსდა არა სცალია მეცნიერებისათვის. ანგარიშგასაწევია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დაარსების ფაქტი. იგი, რა თქმა უნდა, სწორი ნაბიჯია, ამასთან გაუგებარია, ვისთვისღაა საჭირო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის არსებობა; იყო აზრი უკანასკნელის რუსეთის აკადემიად გადაკეთების შესახებ, სამწუხაროდ, სალმა აზრმა არ გაიმარჯვა. ფაქტიურად რუსეთს სხვადასხვა დასახელების ორი მეცნიერებათა აკადემია ექნება, რომელთაგან საკავშირო აკადემია მეცნიერებაში შეასრულებს საკავშირო უზენაესი საბჭოს მაგვარ მბრძანებლურ როლს, რაც რესპუბლიკების აკადემიებს კარგს არაფერს უქადის. ცნობილია, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს გვერდით ფორმალურად მაინც ფუნქციონირებს ეროვნებათა საბჭო, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში კი ასეთი არასდროს ყოფილა და, რა თქმა უნდა, მისი დაარსების იდეა არავის მოუვა თავში. საფიქრებელია ისიც, რომ ახლად დაარსებულ დიდი ერის მეცნიერებათა აკადემიას დიდი ყურადღება დასჭირდება, როგორც ფინანსირების, ასევე აღჭურვის მხრივ და ის მცირე ყურადღება, რომელიც რესპუბლიკურ აკადემიებს ეთმობოდა საკავშირო აკადემიისაგან, კიდევ უფრო დავა მინიმუმამდე, თუ საერთოდ ნულოვანი არ გახდა. დროა, ჩვენს თავს ჩვენვე მოვუაროთ. საჭიროა შეიქმნას ეროვნული აკადემიის ოპტიმალური წესდება, რომელიც ნეგატიურს გამორიცხავს.

საქართველოს უჭირს. ერის აზრი ძირითადად სამშობლოს ხსნისაკენაა მიმართული. ამით ბევრი სარგებლობს და თავის პირად საქმეებს აკვარახჭინებს. მედროვეები პროგრესული არაფორმალურ საზოგადოებებს ეტმასნებიან, მათ ნდობას იმსახურებენ...

კიდევ ერთ საკითხზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება. ჩვენი მომავალი სუვერენული სახელმწიფოსთვის, ვფიქრობ, გაუმართლებელია სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებისა და სამეცნიერო ცენტრების სიმრავლე, მით უმეტეს, ისინი ხშირად იდენტურნი ან მსგავსი პროფილისანი არიან. ამიტომ, მიზანშეწონილია ისინი გავაერთიანოთ და ძირითადი ნაწილი აკადემიასა და უნივერსიტეტებს გადავცეთ. რა თქმა უნდა, ეს ღონისძიება მოფიქრებულად უნდა განხორციელდეს, რათა არ გაიფანტოს იქ მომუშავე უნარიანი სამეცნიერო პერსონალი.

უნივერსიტეტებისათვის სათანადო სამეცნიერო ინსტიტუტების გადაცემა მათ სამეცნიერო პოტენციალს კიდევ უფრო აამაღლებს და ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. ცნობილია, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოების უნივერსიტეტები წარმოადგენენ მეცნიერული კვლევის მთავარ ცენტრებს, რომელთა კვლევის შედეგები ყველა სხვა სამეცნიერო ცენტრებზე მაღალია. ნიშანდობლივია, რომ ნობელის პრემიის ლაურეატთა უმრავლესობა უნივერსიტეტების მეცნიერები არიან.

თბილისში განლაგებული ორი უნივერსიტეტის მეცნიერული პოტენციალის საერთაშორისო დონეზე აყვანა ეროვნული საქმეა. იგი განაპირობებს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში რეალურ ჩაბმას. მეცნიერები წაიკითხავენ სალექციო კურსის იმ ნაწილს, რომლის კვლევასაც უშუალოდ აწარმოებენ. ამდენად მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერები ჩაატარებენ სტუდენტებთან ლაბორატორიულ სამუშაოებს. თანაც, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მნიშვნელოვან სამეცნიერო კვლევაშიც ჩაებმებიან.

დაბოლოს, კიდევ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები ნაკლებადაა დაკავშირებული უმაღლესი სასწავლებლების საკვლევ ცენტრებთან. ეს ნაკლოვანება განსაკუთრებით შეიმჩნევა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. აქ კონტაქტები ჩვეულებრივ გამოიხატება აკადემიის ინსტიტუტის ძირითადი მეცნიერი თანამშრომლის უნივერსიტეტში შეთავსებით მუშაობით და პირიქით.

ყველა ზემოთ ნათქვამის თაობაზე, რა თქმა უნდა, სხვა აზრიც არსებობს. ჩვენს ძირითად მიზანს წარმოადგენს ქართველი საზოგადოების ყურადღება მიაპყროს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზაციულ და სამეცნიერო მუშაობაში არსებულ ზოგ მტკივნეულ საკითხს.

5 იანვარი, 1990.

# მშვიდად ვიკამათოთ

გურამ პეტრიაშვილი

იქნებ არც კი დამეწერა ეს წერილი.

ვყოყმანობდი.

ვფიქრობდი: რა საჭიროა პასუხი, განა ხალხმა ისე კი არ იცის, თუ ვინ ვინაა?! მლანძღოს, ვისაც ნებავს, ამით რა დამაკლდება-მეთქი.

მაგრამ ერთი მკითხველის ბარათმა მაფიქრებინა, რომ ვცდები.

„ლიტერატურულ საქართველოში" მკითხველთა უამრავი ბარათი მოდის ჩემი და ჩემი ოპონენტების წერილების გამოქვეყნების შემდეგ. მოდის ჩემს მისამართზეც.

მსურველებს შეუძლიათ ჰკითხონ რედაქციას და დარწმუნდნენ, რომ მკითხველთა დიდი უმრავლესობა ჩემს მხარეზეა. ეს ასეც უნდა იყოს, მე ხომ ქართულ ენას ვიცავ ჩემს წერილებში.

იმ ბარათის გამომგზავნი სენაკის რაიონის სოფელ მენჯის ისტორიის მასწავლებელი სერგი ლომაიაც ჩემსკენაა.

უდიდეს მადლობას მოვახსენებ ბატონ სერგის იმ სიყვარულისთვის, რა სიყვარულითაც მას უყვარს ქართული ენა, მადლობას ვუხდი ჩემდამი თბილი სიტყვებისათვის და როგორც ავტორს, მიხარია, რომ ასეთ ჭეშმარიტ ქართველ ინტელიგენტს მოსწონს ჩემი წერილები.

მაგრამ გული ჩამწყვიტა ბარათის ერთმა ადგილმა. იქ სერგი ლომაია ასე მიმართავს კოტე მახარაძეს:

„გ. პეტრიაშვილი თბილისმოსკოვის რეისის ცას გამოეკრაო. თქვენც რამდენი გირბენიათ, რომ თქვენი დასი უცხოეთში წასულიყო. რაც თეატრისათვის უცხოეთში წასვლაა, ის მწერლობისთვის უცხო ენაზე თარგმნაა. ორთავე კარგ საქმეს შეჭიდებიხართ, სამდურავი არცერთს არ გეთქმით."

აშკარაა, რომ მიცავს ბატონი სერგი.

მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მან დაიჯერა, თითქოს მართლაც მერბინოს მოსკოვში ჩემი წიგნების გამოსაცემად.

ეტყობა ჩემს ოპონენტს ასეც ჰქონდა ჩაფიქრებული: ყველა თუ არა, ზოგი ხომ დაიჯერებს ჩემს ნათქვამსო.

აჰა, იმანაც კი დაიჯერა, ვინც სულით და გულით ჩემსკენაა. მაშ, ის რაღას იზამს, ვისაც ჩემი წერილები რატომღაც არ მოსწონს?

ზრას იზამს და გავა ქუჩაში, ივლის და რაც კოტე მახარაძესთან წაიკითხა ასჯერ გაზრდილს მიუტანს სხვებს.

არა, ჩემო კეთილო ძმაო, ბატონო სერგი, არც მოსკოვში და არც სხვაგან ეგეთ „სათავისო" საქმეებზე არც მირბენია, არც დავრბივარ და არც ვირბენ როდისმე.

და რათა თქვენნაირ ხალხს ეჭვი არ შეეპაროთ ჩემში, იმიტომ ვწერ ამ წერილს.

ჩვიდმეტი წელია ვწერ ლიტერატურულ-კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილებს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ვიცავ რამდენიმე წესს, რომელთა გარეშე, ჩემი აზრით, ყოველგვარი დავა და კამათი პრიმიტიულ ჩხუბსა და აყალმაყალს ემსგავსება.

პირველი — უნდა ეკამათო და ებრძოლო „მოწინააღმდეგის" აზრებს და არა მის პიროვნებას.

მეორე — კამათში არ უნდა უთხრა მოპაექრეს ისეთი რამ, რისიც შერიგებისას თვითონვე შეგრცხვება.

მესამე — უნდა შეეცადო და დაასაბუთო ყოველი შენი მოსაზრება, რომელიც რაღაც ბრალდებას შეიცავს და საერთოდ, უნდა ერიდო დაუსაბუთებელ აზრებს.

მეოთხე — უნდა ილაპარაკო მხოლოდ იმაზე, რაც მკითხველთა უმრავლესობისთვის ცნობილია, როგორც ფაქტი, ან შეგიძლია გააცნო ახეთად (საგაზეთო თუ საჟურნალო პუბლიკაციები, წიგნები, რუკები, დოკუმენტები, ფილმები, ტელეგადაცემები...)

ჩვიდმეტი წელია ვიცავ ამ წესებს.

ვისაც სურს გაიგოს, მართალს ვამბობ თუ არა, შეუძლია წაიკითხოს ჩემი წიგნი „კრიტიკული წერილები" („მერანი", თბილისი, 1984 წელი) და მეორე წიგნი წერილებისა, რომელიც მალე გამოვა და, რომელშიც შევა კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები.

ახლა კი სამდურავი უნდა ვთქვა.

მე კი ვიცავ, ძმებო, ამ წესებს, მაგრამ ოპონენტები იშვიათად იცავენ.

ჩვიდმეტი წელია ლანძღვა-გინებას ვისმენ.

ვიღაცას რამეს გავუკრიტიკებ და, არც მეტი, არც ნაკლები, სამშობლოს მოღალატე ხარო.

ვიღაცას მორიდებით ვეტყვი, მაგ ლექსში ეგ სიტყვა მთლად თავის ადგილას ვერაა, უკაცრავად, იქნებ, როგორღაც უკეთესი იპოვოთ-მეთქი და პასუხი კვლავაც ისეთივეა: უჰ, შე ავაზაკო...

მე რომ მლანძღავენ, არ მომწონს და არც ის მომწონს, სხვებს რომ თათხავენ და სვრიან ლაფში.

აქამდე კიდევ იყო რაღაც მორიდება და ხათრი, ახლა კი, აქაოდა, „გლასნოსტი" და პლურალიზმიაო, პიროვნების ლანძღვა-გინება ჩვეულებრივი ამბავი გახდა.

ამის ნიმუშია ბატონი კოტე მახარაძის წერილი „გააჩერეთ!..." გააჩერეთ!.."

ფორმალურად ესაა პასუხი ჩემს ერთ-ერთ წერილზე, არსებითად კი მცდელობაა იმისა, რაც შეიძლება მეტად ვიქნე შეურაცხყოფილი.

ამ წერილის თითქმის ყოველი აბზაცი შეიცავს რაღაც ბრალდებას ჩემს მიმართ და რადგანაც ავტორს არც კი უფიქრია რომელიმე ბრალდების დასაბუთება, ეს წერილი წერილი კი არა, ცილისწამებათა გროვა გამოდის.

იმ ბრალდებებს, რომელთა საფუძველია ჩემი წერილის დებულებების „თავისებური" წაკითხვა და რომლებიც ენისა და თეატრის პრობლემებს ეხება, შემდეგ გავცემ პასუხს.

ახლა არაფერს ვამბობ იმ აბსურდულ „ბრალდებებზეც", რომლებიც ჩემს მომავალს ეხება. „ბრალდებები" ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი, რომ ჯერ ქართულში (და არც სხვა ენებში) არ არსებობს სიტყვა, რომელიც ოპონენტის ქმედებას გამოხატავს. იგი მთათხავს იმისთვის, რასაც, მისი აზრით, ჩავიდენ მომავალში (მაგალითად, რატომღაც ის ფიქრობს, რომ გავაკრიტიკებ რუსთაველს, ილიას და აკაკის..)

ერთ „წინასწარ ბრალდებაზე" კი უნდა ვთქვა.

ბატონი კოტე მაბრალებს, რომ საპასუხო წერილში მის პირად ცხოვრებაზე დავიწყებ ლაპარაკს.

ეს ბრალდებაც უსაფუძვლოა, რადგანაც არასოდეს ოპონენტთა პირადი ცხოვრებით არ დავინტერესებულვარ და არც არაფერი დამიწერია პიროვნების შეურაცხმყოფელი.

ჭორები არ მაინტერესებს.

კოტე მახარაძე მიწერს:

„ბოლოს, ვიცი კიდევ რასაც დამითვლი, ამასაც იკადრებ"-ო.

კონტექსტიდან ჩანს, ჰგონია, რომ შევუდგები ქალებთან მისი ურთიერთობების გარჩევას.

არც სხვა რამ მიკადრია და არც ამას ვიკადრებ.

ჩემი წერილები ეძღვნება მხოლოდ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებს.

ბატონო კოტე, ქალებთან თქვენი ურთიერთობებით მხოლოდ მაშინ დავინტერესდებოდი, თუკი რომელიმესთან ურთიერთობებს დიდი კატაკლიზმები მოჰყვებოდა. მაგალითად ისეთი, როგორიც მოჰყვა მშვენიერი ელენეს მოტაცებას (ტროას ომის სახით). მაგრამ რამდენადაც ვიცი, ასეთი თქვენ არაფერი შეგმთხვევიათ. ამიტომ ქალებთან თქვენი ურთიერთობები მხოლოდ თქვენი და იმ ქალების პირადი საკითხია და არავის აქვს უფლება, ამ საქმეში ჩაერიოს. როგორც პუბლიცისტსა და კრიტიკოსს, არც მე მაქვს ამის უფლება. მით უმეტეს — არც სურვილი არავითარი.

ახლა კი იმ ბრალდებებზე, რომლებიც ჩემს ღირსებას შეურაცხყოფს.

მრავალთაგან მოგიტანთ სამ ყველაზე დიდ ბრალდებას.

1) კოტე მახარაძე მიწერს:

„ეშინიათ, ეშინიათ და სწორედ არიან. აკრძალული ხერხების ოსტატი ხარ და იმიტომ, წელს ქვევითაც იცი ჰწკენა და მოლუსნულ-ლულიანი თოფით მოსახვევიდან სროლაც. ამ საქმის სწორუპოვარი დიდოსტატი ხარ, აი ისეთი, ერთმა მეორეს სახალხოდ ბრალდება რომ წაუყენა და ხალხი რომ შეწუხდა და უთხრეს: ეს რა თქვი, რა ჩაიდინე, მაგას როგორ დაამტკიცებო. უპასუხა: მე ჩემი ვთქვი და ახლა იმან ამტკიცოს, რომ ეგრე არ არისო".

აქ მთავრდება ეს ბრალდება და სხვა იწყება. ოპონენტს არც კი უცდია, რომ დაესაბუთებინა ნათქვამი.

ვისთან, სად, როდის ვისმარე აკრძალული ხერხები? რა ხერხები იყო?

ჩემს ცოვრებაში ბატონ კოტესთან არავითარი ურთიერთობა არ მქონია.

არსებობს მხოლოდ ორი ფაქტი, როდესაც ჩემი მოქმედება როგორღაც შეეხო მას და ამის გამო, შესაძლოა, ნაწყენი მყავდეს.

მაგრამ არცერთხელ აკრძალული ხერხი არ მიხმარია.

მართალი ვარ თუ არა, ვთხოვ, მკითველმა განსაჯოს:

პირველი ფაქტი:

ამ რამდენიმე წლის წინათ ჟურნალ „სოვეტსკი ეკრანში" წავიკითხე კოტე მახარაძის მეუღლის სოფიკო ჭიაურელის ინტერვიუ, სადაც ნათქვამი იყო, რომ სერგო ფარაჯანოვმა უნდა გადაიღოს „შუშანიკის წამება" და ქალბატონი სოფიკო აპირებს იმ ფილმში შუშანიკის როლი ითამაშოს.

რადგან „შუშანიკის წამებით" იწყება ჩვენი ლიტერატურის ისტორია, მისი კინოდ გადაღება ძალიან სერიოზული საქმეა. ვინაიდან სერგო ფარაჯანოვის შემოქმედება არ მომწონს და არც ის მგონია, რომ მას შეუძლია ქართული სული შეუნარჩუნოს ეკრანზე გადატანილ ნაწარმოებს, ამიტომ ავდექი, დავურეკე ქალბატონ სოფიკოს და ვუთხარი ჩემი აზრი.

კერძოდ, ვუთხარი, რომ სერგო ფარაჯანოვმა არ უნდა გადაიღოს „შუშანიკის წამება". ვუთხარი ისიც, რომ არა ვარ წინააღმდეგი, თუ ქალბატონი სოფიკო ითამაშებს შუშანიკის როლს, ოღონდ, ფილმი უნდა გადაიღოს იმ ქართველმა რეჟისორმა, ვისაც ეს ყველანაირად ეკუთვნის. დავუსახელე კიდეც რამდენიმე კანდიდატურა. უპირველესად კი ბატონი თენგიზ აბულაძე, რომლის „ვედრება", ჩემი აზრით, ბრწყინვალე ნიმუშია დიდი ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანზე გადატანისა.

ქალბატონი სოფიკო არ დაეთანხმა ჩემს აზრებს.

შემდეგ მან კინემატოგრაფისტთა დიდ თავყრილობას ტრიბუნიდან უამბო ჩვენი სატელეფონო დიალოგის შესახებ. ეტყობა, იმ იმედით, რომ ხალხი მას დაუჭერდა მხარს. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ასე არ მოხდა. დარბაზში ჯერ საპროტესტო ჩურჩული, სმაური და გადალაპარაკ-გადმოლაპარაკება ატყდა, შემდეგ კი წამოდგა ზურაბ ქაფიანიძე და განაცხადა, დიახაც, სერგო ფარაჯანოვმა არ უნდა გადაიღოს „შუშანიკის წამებაო".

ეტყობა, ქალბატონ სოფიკოს ძალიან მოსწონს ფარაჯანოვის ხელოვნება, რადგან მაშინაც კი არ დაესხნა აღნიშნულ იდეას, როცა მთელი საქართველო წინააღმდეგი გაუხდა. ჟურნალ „სელსკაია მოლოდიოჟ"-ის შარშანდელ მეხუთე ნომერში სოფიკო ჭიაურელი პირდაპირ ამბობს ამას:

«Я убеждена, что, когда я «заказала» сценарий, саму хронику (ლაპარაკია „შუშანიკის წამების" ტექსტზე — გ. პ.) Сережа не читал. Но сейчас, когда вся Грузия восстала, чтобы он НЕ ДЕЛАЛ, он заинтересовался, прочел, может быть, суть не в этом. Как люблю Грузию я — мало кто любит! И я знаю, что говорю, — Грузия здесь не права, пусть снимает он. Отдавать «Шушаник» другому при живом Параджанове — позор! Ладно отдавайте, но пусть и ОН снимает, пусть три фильма будет, пусть Грузия снимает еще одного «Саятнову», но будущее проклянет нас, если мы отнимем шанс у Параджанова!».

შეიძლება განა ჩემს მოქმედებას დაერქვას აკრძალული ხერხების ხმარება ან „წელს ქვევით ჰწკენა და მოლუსნული თოფით მოსახვევიდან სროლა"?

მე ხომ პირდაპირ ვუთხარი ჩემი სათქმელი ქალბატონ სოფიკოს?

ხოლო ის ამბავი, მთელი საქართველო რომ აღმოჩნდა წინააღმდეგი სერგო ფარაჯანოვის მიერ „შუშანიკის წამების" დადგმისა კიდევ უფრო მამართლებს.

შესაძლოა, ბატონ კოტეს ეჭვინა, მისი მეუღლის საქმეში რომ ჩავერიე, მაგრამ ეს ჩემი საქმეც იყო, როგორც ქართველისა და ლიტერატორისა.

მეორე ფაქტი:

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი, როდესაც გავიგე, რომ ჩემპიონატის გამხსნელი მატჩის ტელერეპორტაჟის უფლება მიეცა არა ჩემს ძმას ზურაბ პეტრიაშვილს, არამედ კოტე მახარაძეს.

ეს გადაწყვეტილება მცდარად და უსამართლოდ მივიჩნიე.

მაშინაც მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ მორალური უფლება იმ ისტორიული მატჩის ტელერეპორტაჟისა ყველაზე მეტად ჰქონდა ზურაბ პეტრიაშვილს.

წლების მანძილზე ზურაბი აკეთებდა გადაცემებს საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის თაობაზე. ის ერთგულად და სიყვარულით ემსახურებოდა ამ საქმეს. გული შესტკიოდა ნაკლოვანებებზე, იბრძოდა მათი გამოსწორებისათვის და შეჰხაროდა ამ „შიგა" ჩემპიონატის წარმატებებს.

რაც აქ ვთქვი, ამის უამრავი მოწმე მყავს ტელემაყურებელთა სახით.

ხოლო რაც შეეხება ჩვენს პირველ ეროვნულ ჩემპიონატს სრულიად საქართველოისას, იმათ შორის, ვინც ამ ჩემპიონატის ჩატარება რეალობად აქცია, ერთ-ერთი ზურაბ პეტრიაშვილია (ჩემპიონატის მოწინააღმდეგეთა ცნობილი განცხადება საბუთია ამისა).

ყველა მიცნობს კაცად, რომელსაც სიმართლისა და სამართლიანობის დაცვის პრეტენზია მაქვს.

რა დააშავა ზურაბ პეტრიაშვილმა, ჩემი ძმა რომაა? რატომ მას კი არ უნდა გამოვსარჩლებოდი?

ავდექი და ჩემი მოსაზრებები პირდაპირ ვუთხარი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასაც, ტელევიზიის სპორტულ რედაქციასაც და ტელევიზიისა და რადიოკომიტეტის ხელმძღვანელობასაც (ამასთანავე, კომიტეტში საუბარს შეესწრნენ ეროვნული მოძრაობის ღირსეული წარმომადგენლები).

ზურაბ პეტრიაშვილის ქასარგებლოდ მოვიტანე ზემოთ ნათქვამი, ხოლო კოტე მახარაძის საწინააღმდეგოდ ვთქვი, რომ მას, როგორც ეროვნული ჩემპიონატის ყოფილ მოწინააღმდეგეს, არა აქვს მორალური უფლება, რომ სურდეს პირველი ტელერეპორტაჟის წაყვანა.

შემდეგ ხალხმრავალ მიტინგზეც დაისვა კითხვა, თუ ვის უფრო ეკუთვნოდა ის ტელერეპორტაჟი. ხალხი ჩემს ძმას მიემხრო.

მეტი ამ საქმეზე არაფერი ვიცი.

როგორც ეტყობა, კომპეტენტურმა პირებმა ზურაბ პეტრიაშვილის სასარგებლოდ გადაწყვიტეს საქმე.

ადამიანურად ჩემთვის გასაგებია, ბატონი კოტე ნაწყენი თუა ჩემზე, მაგრამ აკრძალული ხერხების ხმარებას ნამდვილად ვერ დამაბრალებს.

თუ არა და, მკითხველმა თავად განსაჯოს.

2. კოტე მახარაძე წერს:

„შემდეგ გათამაშდა დათუნია", არც მეტი, არც ნაკლები, სოფელ დიდი ლილოს ადმინისტრაციული ცენტრის, წინათ მაჩაბლიანთ სახლი რომ ერქვა, შენობას მთლიანად დაეპატრონა და, როგორც ჩვევია, „ჩემი შენ გითხარის" პრინციპით სხვებს დასცა ყიჟინა"-ო.

ეს ბრალდება უკვე მეორედ იბეჭდება პრესაში. ადრე კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობამაც წამოაძახა იგივე.

როგორც ჩანს, ჩემს მრავალრიცხოვან ოპონენტებს ჰგონიათ, რომ ჩემთან „საბრძოლველ" და ჩემს გასაჩერებ-გასაჩუმებელ კარგ ხერხს მიაგნეს.

ვიდრე ჩემი პიროვნების მაკომპრომეტირებელი ფაქტების ნაკლებობის გამო აღნიშნულ „სასახლეზე" მესამედ და მეოთხედაც დამიწერენ, იძულებული ვარ მკითხველს მოვახსენო საქმის ვითარება.

მამაჩემი ზედსიძედ იყო დიდ ლილოში. ბინა ჩვენ არ გაგვაჩნდა. პაპაჩემის სახლი, როგორც წესია, უფროს ვაჟს დარჩა. ვცხოვრობდით ქირით ხან ერთ მოსახლესთან, ხან მეორესთან. შემდეგ დედაჩემმა მუშაობა დაიწყო ფოსტის გამგედ და მოგვცეს უფლება გვეცხოვრა ფოსტის შენობაში. სწორედ ამ „კაზიონი" შენობიდან გავასვენეთ მამაჩემი 1958 წელს. კიდევ დიდხანს ვცხოვრობდით ფოსტის შენობაში. შემდეგ დედაჩემს, როგორც დიდი ხნის მოსამსახურეს, მეურნეობამ მისცა ბინა. რამდენიმე წლის შემდეგ კი ის ბინა მეურნეობამ დაიბრუნა და დედაჩემს სანაცვლოდ მისცეს ორი ოთახი იმ შენობაში, რომელსაც შთამბეჭდილების გასაძლიერებლად „მაჩაბლიანთ სახლსა" და „ადმინისტრაციულ შენობას "უწოდებს ბატონი კოტე. 1987 წელს დედა გარდამეცვალა. არ ვიცი, მოგვიწონებენ თუ არა ოპონენტები, მაგრამ იძულებული ვიყავით ცხოვრებაშვილის ქალი „მაჩაბლიანთ სახლიდან" წაგვეყვანა უკანასკნელ გზაზე.

ნუთუ დანაშაულია, რომ მოვინდომეთ კუთხე გვქონოდა იმ სოფელში, სადაც მე და ჩემი ძმები გავიზარდეთ და სადაც ჩვენი მშობლების საფლავია? ოცდაჩვიდმეტი წელი იმუშავა დედაჩემმა ლილოში და ნუთუ არ ჰქონდა უფლება, რომ რაიმე დაეტოვებინა შვილებისთვის? რას წარმოადგენს ეს „სასახლე"? ეს გახლავთ ასზე მეტი წლის წინათ აშენებული სახლი, რომლის ერთი კედელი უკვე ინგრევა კიდეც. აქ დიდი ხანია აღარაა არც სოფლის ადმინისტრაცია და არც სხვა რამ. საქართველოს აგრომრეწვმა, გარდაბნის რაიონმა და დიდი ლილოს მეურნეობამ მწერალთა კავშირის შუამდგომლობისა და ვითარების ადგილზე შესწავლის საფუძველზე მომცეს უფლება, რომ შევისყიდო ეს სახლი.

ვაპირებ, რაც ინგრევა, მოვანგრიო და შევაკეთო სამი ოთახი, რათა მე და ჩემს ძმებს შეგვეძლოს ხოლმე სოფელში ასვლა ცოლ-შვილით.

აი, ესაა სულ.

რათა ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს ამით ჩემი გვემა და ჯგლემა, ვთხოვ, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირს (რომლის წევრიცაა კოტე მახარაძე), მწერალთა კავშირს (რომლის წევრიც მე ვარ) და იმ გაზეთების რედაქციებს, ვისაც სიმართლე აინტერესებს, დაგვეხმარონ სიმართლის დადგენაში. ამისთვის საკმარისია რამდენიმე კაცის ასვლა დიდ ლილოში ანუ ოციოდე კილომეტრის გავლა მანქანით.

თუ კომისია მიიჩნევს, რომ ჩემი იმ სახლში ყოფნა არაეთიკურია, უსამართლოა და ზიანს აყენებს ვინმეს, ეგეთი არც სახლი მინდა და არც არაფერი. უარს ვიტყვი მაშინვე.

3. კოტე მახარაძე ჩემზე წერს:

„მაინცდამაინც" იმპერიული აზროვნების პროკურორების" ენაზე მოინდომა თავისი ქმნილებათა აჟღერება"-ო.

შემდეგ ჩამოწერს რუსულად გამოცემული ჩემი წიგნების სიას და განაგრძობს:

„ვისთვის და რისთვის იჩალიჩა ამდენი"? იქნებ, მოსკოვური გამომცემლობები აგლეჯდნენ კალთებს, არიქა, გურამ პეტრიაშვილი რუსულად თუ არ ვთარგმნეთ, ერი გაუნათლებელი დაგვრჩებაო? ან იქნებ, ქართველ გოგონებსა და ბიჭუნებზე ზრუნავდა. რომ რუ-

(დასასრული მე-6 გვ.)

(დასასრული)

სულში უკეთ გაწაფულიყვნენ?"

კოტე მახარაძემ იცის, რომ არიან მწერლები (და არა მარტო მწერლები), რომელთა ცხოვრების მთავარი წესი ჩალიჩია, მაგრამ განა მხოლოდ ის ფაქტი, რომ მწერლის რამდენიმე წიგნია რუსულად გამოცემული, საკმარისია, რათა ეს კაცი ჩალიჩა ნაძირალად მოვნათლოთ?

„სულ რაღაც რვა წლის მანძილზე ზედიზედ ხუთი წიგნი გამოსცა რუსულ ენაზე"-ო.

რვა წლის მანძილზე, კი არა, ბატონო კოტე, არამედ ორმოცდარვა წლის განმავლობაში. ზუსტად ამდენის ვხდები ახლა. თანაც, მე კი არ გამოვეცი, გამომცემლობებმა გამოსცეს.

რაც შეეხება მოსკოვის გამომცემლობებს, იქ გეგმა აქვთ, თუ რამდენ ხანში რამდენი „ნაცმენის" წიგნი უნდა გამოვიდეს.

რა არის იმაში გასაოცარი, თუ 1988 წელს ორმოცდაექვსი წლისა რომ ვიყავი, ჩემი ლექსების წიგნსაც მოუწია გამოცემის რიგმა „სოვეტსკი პისატელ"-ში?

ორი წიგნი ბევრია?

რა ვქნა, ასე იმიტომ მოხდა, რომ „ორი მწერალი" ვარ: საბავშვოც და სადიდოც, ზღაპრებსაც ვწერ და ლექსებსაც.

ახლა, რაც შეეხება „თბილისურ-რუსულ" გამოცემებს.

„მერანს" აქვს რუსული განყოფილება, რომელიც პირველ რიგში იმიტომაა შექმნილი, რომ ქართველი მწერლების ნაწარმოებთა პოპულარიზებას შეუწყოს ხელი.

რა არის საოცარი, თუ ერთი წიგნი ჩემიც გამოვიდა?

1982 წელს გამოცემულ ამ წიგნში თავმოყრილია ჩემი ზღაპრები და ლექსები („Дождь вода небесная").

(კოტე მახარაძის მიერ ჩამოწერილ სიაში დიდის ამბით წიგნად მოხსენიებული „Грустный клоун" არის 1982 წლის აღნიშნული კრებულიდან ამოღებული ერთი ხუთგვერდიანი ზღაპარი გამოცემული ცალკე).

ასევე ერთი რუსული წიგნი გამომიცა „ნაკადულის" რუსულმა განყოფილებამ.

ეს ერთი გამომცემლობა მაინც რომ გვქონოდა რუსეთის გარეშე, ქართველმა მწერლებმა ბევრი იწრიალეს, მაგრამ უთანასწორო ბრძოლა წააგეს. მსურველებს შეუძლიათ იკითხონ „ნაკადულში" და მათეტყვიან, რომ სხვაზე ნაკლები არც მე ვიბრძოლე მაშინ.

ახლა რა მდგომარეობაა?

მოსკოვი აძალებს „ნაკადულს", გინდა თუ არა, ჩემი ავტორების წიგნები გამოეცით. იმ წიგნებს მოსკოვი ეძახის „ლიტერატურა პოლზუიშჩიესია ოსობიმ სპროსომ" და ასეთი ლიტერატურა ძირითადად შედგება გაიდარის თემურებისა და სხვათა კორჩაგინმოროზოვებისაგან. ამიტომაც „ნაკადული" ამჯობინებს, ქართველ ავტორთა ნაწარმოებების რუსული თარგმანები ბეჭდოს.

და ერთი ჩემიც დაბეჭდეს.

ახლა კი იმაზე, რაც მთავარია.

ჩალიჩი, იცით, რა არის?

ჩალიჩი ისაა, როცა მწერალი თვით ეწევა თავისი წიგნის პოპულარიზაციას და თვით აწერინებს საქებარ წერილებს კრიტიკოსებს.

ჩალიჩი ისაა, როცა მწერალი თავის ნაწერს ხან ერთ მთარგმნელს აჩეჩებს, ხან მეორეს, გინდა თუ არა, თარგმნეო. მერე გამომცემლობებში დარბის, ეხვეწება, გინდა თუ არა, გამოეცითო და ქრთამის მიცემასაც არ ერიდება.

ვერავინ იტყვის, რომ ეგეთი კაცი ვარ.

ლიტერატურაშიც და კინოშიც, როგორც ავტორს, მაქვს პრინციპი, რომ ნაწარმოებზე ზრუნვა უნდა დასრულდეს მასზე მუშაობის დამთავრებისთანავე.

ეს პრინციპი კარგი იმითაა, რომ ასე ავტორს შეუძლია გაიგოს თავისი ნაწარმოების ჭეშმარიტი ღირებულება.

თუკი თვითონ იჩალიჩე, კარგი წიგნიც რომ გქონდეს, მაინც ვეღარ გეცოდინება, მისივე ღირსებების გამო აიტაცეს შენი წიგნი თუ შენმა ჩალიჩმა გასჭრა.

ხოლო თუ მიიტანე გამომცემლობაში და უპატრონოდ გაუშვი, ნაღდად იცი, შეუძლია თუ არა მას უშენოდ, შენი „მარიფათის" გარეშე არსებობა.

„იქნებ მოსკოვური გამომცემლობები აგლეჯდნენ კალთებს"-ო, დამცინის ბატონი კოტე.

რა მოგახსენოთ, კალთებს ეგენი მე კი არა, შოთას, ილიასა და აკაკისაც არ აგლეჯენ.

ერთი კი ნაღდია, არც მე შევხვეწნივარ ვინმეს, შენი ჭირიმე, ჩქარა დამბეჭდე-მეთქი.

მთარგმნელმა თარგმნა, მიიტანა გამომცემლობაში და იმათ დაბეჭდეს, როცა უნდოდათ და როცა შეეძლოთ.

ხოლო თუ როგორ ხდება ჩემი რამე-რუმეების თარგმნა, ამის თაობაზე გთავაზობთ, იმათ ჰკითხოთ, ვისაც უთარგმნია.

თბილისში ცხოვრობენ პატივცემული ქალბატონები, ჩვენი რძლები, ქართული ოჯახის დედები ბულგარელი სტეფკა ბიჩინაშვილი, ესტონელი იუტა ბედია, ლიტველი ვირგინია ტიმინსკოტე.

ჰკითხეთ, მე ვიჩალიჩე, რომ მათ ეთარგმნათ ჩემი ზღაპრები, თუ თვით შემომთავაზეს, ვთარგმნითო.

თქვენ ისე ძალიან არ მოგწონვართ, ბატონო კოტე, რომ არ დაიჯერებთ, რასაც ახლა გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ერთმა მთარგმნელმა, მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა დიპლომიც კი დაიცვა ჩემს ზღაპრებზე.

ეს გახლავთ ქალბატონი ალინა საფონოვა-ვიშნევაია. მას დედა ქართველი ჰყავს და კარგადაც იცის ქართული.

მალე გამოვა მის მიერ თარგმნილი ჩემი ვრცელი ზღაპარი. ჰკითხეთ, გეთაყვა, მე ვიჩალიჩე, თუ თვით თარგმნა, თავისი ნებით.

გარდა ბულგარეთისა, ჩემი ზღაპრები დაბეჭდილია ეგრეთ წოდებული „უცხოეთის" რამდენიმე სხვა ქვეყანაშიც. ალბათ, გასაგებია, ეგრეთ წოდებულს რატომაც ვამბობ. ახლა ჩვენში უცხოეთს ეძახიან იმას, რაც საბჭოთა იმპერიის გარეთაა. სინამდვილეში კი ქართველისთვის ყველაფერი უცხოეთია, რაც საქართველო არაა.

ჰოდა, იქ როგორღა ვიჩალიჩე?

ხომ ადვილად შეგიძლიათ გაიგოთ, რომ არცერთ „უცხოეთში" არასოდეს ვყოფილვარ.

და, რაც მთავარია, ჰკითხეთ თქვენს მიერ ჩამოთვლილი წიგნების მთარგმნელებს, ქალბატონ ელისო ჯალიაშვილს და ბატონ დანიელ ჭყონიას, ასევე, გამომცემლობების მუშაკებს, თუ ჩამიდენია როდისმე ისეთი რამ, რასაც შეიძლება ჩალიჩი დაერქვას.

4. ჩემთვის ყველაზე დიდი შეურაცხყოფაა კოტე მახარაძის შემდეგი სიტყვები:

„1988 წელსაც კი, როცა ჩვენში ეროვნული მოძრაობა უკვე ბობოქრობდა, ჩვენი „რუსეთუმე" გ .პ. თავის რუსულად გამოცემულ სტრიქონებს ჩაჰკირკიტებდა, მოსკოვ-თბილისის საჰაერო ტრასაზე ცას გამოეკერა და მოსკოვში კარდაკარ, ერთი ფუნქციონერიდან მეორემდე შლეგივით დაჰქროდა"-ო.

ესაა ცილისმწამებლური „შემოქმედების" აპოთეოზი.

ოპონენტი მაბრალებს, თითქოს, მაშინაც კი, ჩემი სტრიქონების რუსულად გამოცემის მეტი არაფერი მახსოვდა, როდესაც მთელი ხალხი უკვე ეროვნული მოძრაობაში იყო ჩაბმული.

მოსკოვში უკანასკნელად ვიყავი 1987 წლის გაზაფხულზე, როდესაც ჩემს ფილმს რუსულად ახმოვანებდნენ „მოსფილმში".

მოსკოვში არ ვიცნობ არცერთ ფუნქციონერს, არც პარტიულს და არც ლიტერატურულს.

ვერც ვერავინ იტყვის, რომ ჩემი პირადი საქმის გამო მისთვის კარი ამეტალახებინოს.

აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ 1988 წელს, ვინმეს ბევრიც რომ ერბინა ფუნქციონერებთან, წიგნი იმ წელს ვერ გამოვიდოდა. მსურველს შეუძლია მიმართოს გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელ"-ს და გაიგებს, რომ ის ჩემი წიგნი გეგმაში რამდენიმე წლით ადრე იქნა შეტანილი.

ახლა კი 1988 წლის შესახებ:

საქართველოს ტელევიზია მყავს მოწმედ, შესასვლელში მორიგე მილიციელებიდან დაწყებული და უფროსებით დამთავრებული, რომ რამდენიმე კაცთან ერთად მთელი ის წელი იანვრიდან დეკემბრამდე ვმუშაობდი იმისთვის, რათა 1989 წლის პირველი იანვრიდან ქართველ ბავშვებს სატელევიზიო „ძილისპირული" ჰქონოდათ. კვლავ რამე ჩალიჩის განზრახვა რომ არ დამაბრალოს კოტე მახარაძემ, აქვე დავამატებ: მთელი ის მუშაკობა უხელფასოდ ხდებოდა.

ხოლო, ამასთან ერთად, 1988 წლის სექტემბრიდან ვიყავი იქ, სადაც, კოტე მახარაძის სიტყვით, „ეროვნული მოძრაობა ბობოქრობდა", ამისი უამრავი მოწმე მყავს, ოღონდ ბატონი კოტე იმ მოწმეებში არ ურევია.

ახლა კი დასკვნები გავაკეთოთ.

კოტე მახარაძის ბრალდებები სინამდვილეში დიახაც ცილისწამებაა, რადგანაც მათ არ ახლავს მტკიცება და დასაბუთება.

ბატონი კოტეს საქციელს ზუსტად მიესადაგება მისივე სიტყვები: „მე ჩემი ვთქვი და ახლა იმან ამტკიცოს, რომ ეგრე არ არისო".

მართლაც, იძულებული შევიქენი, თავი მემართლებინა.

როცა ლაფს შემოგასხამენ, სხვა გზა აღარა გაქვს, უნდა ჩამოირეცხო.

მაგრამ ასე გაგრძელებაც აღარ შეიძლება.

შეიძლება განა, რომ საჯაროდ პიროვნებას ღირსების შეურაცხმყოფელი ცილისწამებით სვრიდეს ვინმე ვინმეს და პასუხს კი არ აგებდეს?

მოვითხოვ, რომ ჩემმა ოპონენტმა კოტე მახარაძემ მოიტანოს დამამტკიცებელი საბუთები იმისა: 1) რომ როდისმე აკრძალული ხერხები მიხმარია; 2) რომ დიდ ლილოში აღნიშნული სახლის საქმეში არასამართლებრივი და უზნეო ჩამიდენია რამე; 3) რომ ლიტერატურაში როდისმე მიჩალიჩია: 4) რომ 1988 წელს მოსკოველ ფუნქციონერებთან მივქრი-მოვქროდი.

მკითხველი დამიდასტურებს, რომ აქამდე ერთი სიტყვაც არ მითქვამს არაკორექტული.

არც ახლა ვაპირებ ვინმეს გალანძღვას, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, პრესის ფურცლებიდან ჩემზე გადმოფრქვეული შეურაცხყოფისაგან თავი რომ როგორმე დავიცვა. იძულებული ვარ „დავიგინო", როგორც ვშვრებოდით ბავშვობაში.

თუ ბატონი კოტე თუნდაც ერთ პუნქტს დამისაბუთებს და დაამტკიცებს, რომ ამ წერილში თუნდაც ერთი ბეწო სიცრუეა, საჯაროდ ვაღიარებ, რომ მართლაც ნაძირალა ვყოფილვარ და საერთოდ თავს დავანებებ წერას.

ხოლო თუ ოპონენტი ვერცერთ პუნქტს ვერ დამისაბუთებს, მაშინ მან უნდა აღიაროს, რომ...

ეს უკვე მისი საქმეა, თუ რას დაარქმევს თავის თავს კაცი, რომელიც ცილისწამებაში ამხილეს.

მინაწერი:

წერილი რომ მზად მქონდა, კიდევ ერთხელ შევიარე რედაქციაში და მკითხველთა ახლადმოსული ბარათები წავიკითხე.

ერთმა ბარათმა დამარწმუნა, სწორად მოვქცეულვარ, ეს საპასუხო წერილი რომ დამიწერია.

ის ბარათი „მოწინააღმდეგის" მხრიდანაა. მისი დამწერი ისე გაუბრაზებია თამაზ წივწივაძისა და ჩემს წერილებს, რომ არც მეტი, არც ნაკლები, კანონის რომელიღაც მუხლით ჩვენს დაჭერას მოითხოვს.

ამაზე ვერაფერს ვეტყვი. ამ სანატრელ „საბჭოეთში" დამჭერებმა თვითონ იციან, ვინ როდის დაიჭირონ და „საჭირო" მომენტში თავისას იზამენ, არ შეეშლებათ. მით უმეტეს, რომ კრიტიკოსთა და პუბლიცისტთა დაჭერის მომხრე მკითხველები ჯერაც საკმაოდ მოიძებნებიან თურმე. იმ კაცმა გულუბრყვილოდ გაამჟღავნა ის, რაც „უფრო ინტელიგენტებს" უდევთ გულში.

საყურადღებო სხვა რამის გამოა ის ბარათი.

გამომგზავნი წერს, გურამ პეტრიაშვილს „ბიჭუნები ჰყავდა რუსულ სკოლაში შეყვანილი. ახლახანს სასწრაფოდ გამოუყვანია და ქართულ სკოლაში შეუყვანია"-ო.

აი, ძმებო, ამას ვამბობდი. კოტე მახარაძემ რაც ოჯახზე დამიწერა, ასეთ ჭორად მივიდა ამ კაცთან. ბიჭუნები არა მყავს. მყავს ორი ქალიშვილი. უფროსი, ცხადია, ქართულ სკოლაში შევიყვანე დიდ ლილოში, მერე თბილისის 142-ე ქართულ სკოლაში გადმოვიყვანე. მეცხრე კლასიდან კი №1 ხალასის სკოლაში სწავლობდა და დაამთავრა 1987 წელს.

უმცროსმა ქალიშვილმა კი წლევანდელ სასწავლო წელს დაიწყო სწავლა იმავე 142-ე ქართულ სკოლაში.

ბარემ აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ტყუილია, თითქოს დედა ოსი მყავდეს. კოტე მახარაძის ამ „ბრალდებამ" ჩემი სოფლის ხალხი ძალიან აღაშფოთა. თუკი მათი თანასოფლელი მეზობელი და ნათესავი ცხოვრებაშვილის ქალი ოსია, ისინიც ხომ ოსები გამოდიან. თავისთავად ოსობა კი არ გვგონია ცუდი არც მე და არც ჩემს სოფლელებს, მაგრამ, როცა ქართველი ხარ და გეამაყება შენი ქართველობა, გეწყინება თუ გეტყვიან, ქართველი არა ხარო. ასევე არ გაუხარდება ოსს, თუკი ვინმე მის ოსობაში შეიტანს ეჭვს.

დიდი ლილო ტიპიური ქართლური სოფელია და ჩვენს რუსეთუმეებს არ აწყენდათ, ხანდახან რომ ასულიყვნენ ლილოში და ელაპარაკათ იქაურებთან. იქნებ ასე ესწავლათ ქართული.

დაბოლოს, მინდა მოვუწოდო ჩემს ოპონენტებს, რომ მე შემეშვან და თუ მაინც და მაინც კამათი უნდათ, იმ პრობლემებზე მეკამათონ, რომლებიც წამოვჭერი ჩემს წერილებში.

განა მე კი არ ვიცი, რამდენ ჭორსა ჰყვებიან ქალაქში ისეთ ცნობილ კაცზე, როგორიც ბატონი კოტე მახარაძეა, მაგრამ ახლა რომ ავდგე და ეს ყველაფერი გაზეთში დავიწეროთ, მომიწონებენ მკითხველები?

არ მომიწონებენ და მართალნიც იქნებიან.

საქმეზე უნდა ვილაპარაკოთ, ძმებო და სატკივარზე.

რამდენიც უნდა იყვირონ ოპონენტებმა, „გააჩერეთ!.. გააჩერეთ!..."-ო, მაინც არ გავჩერდები.

არ გავჩერდები, რადგანაც, იმიტომ არ ვლაპარაკობ ახლა, რომ, როგორც კოტე მახარაძესა ჰგონია, „მივიხედ-მოვიხედე და სხვა ვითარება დავინახე".

მწერალთა კავშირშიც და კინემატოგრაფისტთა კავშირშიც კარგად იციან (და ამ კავშირების კრებების, პლენუმებისა და ყრილობების ოქმებითაც შეგიძლიათ დარწმუნდეთ), რომ ქართული ენის თაობაზე დიდი ხანია ომი მაქვს რუსეთუმეებთან.

კინოსტუდიაშიც კარგად ახსოვთ, რომ კინოში მოლვაწე რუსეთუმეებს შევუტიე პირველსავე კრებაზე, რომელსაც დავესწარით „ქართულ ფილმში" სამუშაოდ გამწესებული კინოსარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი. ეს იყო 1979 წელს.

ასე, რომ, რუსეთუმეებთან ამდენი ხნის ბრძოლამ გამომაწრთო კიდეც.

ვერა, ჩემო ოპონენტებო, ეგრე იოლად ვერ შეგეშვებით.

სხვა გზა არა გაქვთ, უნდა გამაგრდეთ.

წერილების სერიას, ცხადია, გავაგრძელებ.

აუცილებლად!

## დაბრუნებული წიგნები

**სამსონ ფირცხალავა**



ისტორიული ლანდები

ახლახან, გამომცემლობებმა „მერანმა" და „საბჭოთა საქართველომ" გამოსცეს სამსონ ფირცხალავას „ისტორიული ლანდები" და თამარ და აკაკი პაპავების „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი". კიდევ ერთი კარგი საქმე გაკეთდა — საქართველოს დაუბრუნდა უსამართლოდ წართმეული კარგი წიგნები. ორივე წიგნი გურამ შარაძის წინასიტყვაობითა და რედაქციითაა გამოცემული. დასანანია, რომ თამარ და აკაკი პაპავების წიგნი „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი" ძნელი მისაწვდომია მკითხველისთვის. იგი მთლიანად მაკულატურაზე ვრცელდება და ფასიც არახელსაყრელია. ალბათ, საჭიროა, მსგავსი ხასიათის წიგნები დიდი ტირაჟით გამოიცეს და მისაწვდომი ფასიც ჰქონდეს.






ბოლნისის სიონი

ვარლამ გენბიურის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარიკა ბარათაშვილი

### ზემო იმერეთში

ცისკენ გაქცეულ ბილიკს შევები.
შემომხვევია ნატვრა ულევი.
გვერდით მომდევენ მოგონებები, —
ბავშვობის გზიდან მოწვეულები:
კარვად გაშლილი კაკლის ხეები,
ლოყამცინარე ბროწეულები.
ვხედავ იმ ოდებს აივნებიანს,
ეზოებს, ნაქარგს ყვავილნარებად,
ვინც აქ მოსულა, ვინც სტუმრებიათ,
(ზემო იმერეთს ვით ეკადრება),
აგამღერებენ, ამღერდებიან,
დამშვიდობება დაგენანება.

...ეგებ მიმტყუნეს სადღაც მუხლებმა,
გზა ამირია იქნებ განგებამ?
შუკებს ჰიშკრები აღარ უხდებათ,
აღარც ჩანს ვინმე კარის ზღმღები...
ქვესკნელს შთაუნთქავს სადღაც ბუხრებიც —
სოფლის ამაყი ბაირაღები.

### -მკერდში დაჭრილ საქართველოსთვის...

განა ბრძოლებში შაჰაბასთან,
ჯალალედინთან...
სიკვდილ-სიცოცხლის რომელიღაც
გზაჯვარედინთან,
ჩაგსაფრებია განგება, ვით
ზრახვა მზაკვართა...
ვით გაგიმეტა, შენზე ხელი
როგორ აღმართა
და დაგიობლა წამოშლილი
მზისკენ ფრთოსანნი,
და დაგიდუმა გონი, გული
პატიოსანი,
და გაგვახსენა მწვავე წყლული
იმ წიწამურის...
თვის ჰირისუფალს, კაცს — დიდებულს,
გლოვობს მამული.
მაგრამ უთუოდ უმწეოა
დასტაც სიკვდილთა,
მის სიცოცხლესთან, ერის ტვირთი,
ვინაც იტვირთა...
მშვიდ საუფლოშიც დიდ სატკივარს
ვერა, ვერ მოთვლი,
ლოცვად დამდგარი მკერდში დაჭრილ
საქართველოსთვის.

### დაი ქრისტინე

მე აღარ მახსოვს, რა გზით მოვიდა,
როგორ მომნახა იმ სიშორიდან....
მითხრა: მისმინე, მითხრა: მისმინე,
ეს მე, მე ვარო — დაი ქრისტინე —
შენ რომ მეძებდი, ასე მელოდი,
ის ვარ, სნეული საქართველოთი.
ჯვარზე გაკრული სიმბოლო მისი,
თვალდაშრეტილი ცრემლით და სისხლით.
გულს მისვენია ქართვლის ხატება,
მონასტრის მიმწუხრს რომ მინათებდა.
არ მიცხოვრია სხვა ცოდვა-მადლით,
უწინარ ჩემი სალოცავ ქართვლის,
ვის მიიჩნევდნენ ღვთისმშობლის ხვედრად,
ვის ეძახოდნენ სამოთხე — დედას,
ვის დაფლეთილი დარჩა სხეული,
მისი ტკივილით ვიყავ სნეული,
და როცა მომწვდა სიკვდილის ცელი,
აქ დავრჩი, ჯვარზე წლების და წლების...

ვაი რომ სახე ვერ ვნახე მისი,
პირბადედ ჰქონდა შორეთის ნისლი,
მაგრამ ის გული...
იქაც კი, ჯვარზე, ძაძით შემოსილს,
გული უცემდა საქართველოსთვის
და შორეთიდან ზარად ისმოდა...

ასე შეზმია მარადისობას
დაი ქრისტინე...

### ქეთევან

და ითქვა სათქმელი — რისხვად რომ ეფრქვევა...
ციმციმებს სანთელი. არ სძინავს ქეთევანს.
აგერ წამოიწყო რიჟრაჟმა საარი...
ნათქვამს იმეორებს... ეს ვისი ხმა არის?!
— ქეთევან, იცოდე, ეს ბოლო ღამეა!
ქეთევან, იჩქარე, სიკვდილს არ სცალია!
ეგ ტანი ნატიფი, ეგ ზილფი მკლავები,
რად არ გენანება საჯიჯგნად ყვავების...
უბადლო ლაწვები წამწამდაფენილნი,
ხომ მხოლოდ ტრფობისთვის არის გაჩენილი!
ჰოდა გადაწყვიტე, რად სდუმხარ, რას უცდი,
თვით შაჰი მოგაგებს სიხარულს განუცდელს.
თვით შაჰი აღგითქვამს, თვით შაჰი გპირდება
ირანის დედოფლად ტახტზე განდიდებას.
უარჰყავ, უარჰყავ რჯული, დედოფალო,
არადა მოგელის წამება-უწყალო.
შენ სდუმხარ! შაჰინშაჰს რა ვუთხრათ პასუხად?
— ისევ ის, რაც ვუთხარ, ისევ ის, რაც ვუთხარ.
— ეგ ტანი კოცონში რომ ჩაილვენთება?
— სული ხომ იცოცხლებს, კელაპტრად ენთება.
— ეს ბოლო ღამეა და ბოლო გამოცდა,
ქეთევან, ელოდე წამებას საოცარს.
ცოტაც და... ზღვარს მიღმა არყოფნა იწყება...
— ან იქნებ სიცოცხლე და გამოფხიზლება?
რაც უნდა ვეწამო, თუნდ კუპრში ჩავეფლო,
ეგ მსხვერპლი სჭირდება ქართველთა სამეფოს!

...და როცა ეგონათ: სხეულით განვიდა
სული წამებულის... (იმ ტანჯვას ვინ მოთვლის!)
სხვა დიდი სიცოცხლე დაიწყო თავიდან,
ქართვლისთვის წამებულ ქეთევან დედოფლის.
სული რომ ჩიტივით ზეცისკენ გაფრინდა,
სხეული — უთუოდ განგებას ენება —
უმაღლეს ტაძრებში, სულ ნაწილ-ნაწილად
რწმენად დაარიგეს მისიონერებმა.

# აკაკი გელოვანი

### ბუმბერაზები

დიდია კოშკი, მძიმე და სრული,
შიგ ჩაქსოვილა მშენებლის სული.

ვხედავ მურყვამებს და მე მგონია,
ჩვენცა გვყოლია ბუმბერაზები...
ვინც ეს ლოდები აზიდა მაღლა —
აი, ვინ იყვნენ ბუმბერაზები!

დიდია კოშკი, მძიმე და სრული,
შიგ ჩაქსოვილა მშენებლის სული.

### კლდის სიმღერა

შორს, ჰადიშის მაღალ კლდეზე
ძველი კოშკი დგას,
და ჩანგს ანდობს კოშკის მახვში
სვანთა გულისთქმას.
დიდი წიგნის შემნახავი
კოშკი ანდობს ქარს,
ქარი ანდობს ფრიალოებს, —
რომ დამდგარან გარს,
და კლდე მღერის... მოუსმინეთ,
რა სიმღერა თქვას:

„საქართველოს საძირკველი,
სანდო კლდეზე დგას...
ძველსა ტაძრებს ქვიშა ფარავს,
ხსოვნას ცეცხლი ნთქავს —
საქართველოს საძირკველი
ურყევ კლდეზე დგას.
ხელოვანთა ტაძარია,
რწმენის კედელს კრავს.
ცეცხლის ქარი ვეშაპივით
ეხვეოდა გარს,
ნალეწი და ნამუსრევი
მიჰყვებოდა ქარს,
ფუძე კი ვერ შეურყიეს
მშენებელთა გვარს, —
საქართველოს საძირკველი
მაღალ კლდეზე დგას“.

### გზები

მიკენი და მიდია...
გზები სად არ მიდიან! —
ზოგან მზეა თაკარა,
ზოგან კიდევ ბინდია.
ამ გზებზეა სიკეთეც,
შვებაცა და შავი დღეც, —
კაცმა უნდა იცოდეს,
რომელი გზით წავიდეს!..

# ნინო დარბაისელი

### ანარეკლები

წამო, ღრუბლებზე გავიაროთ,
გაზაფხულია!
იქ, ჩვენს მინდორზე ალბათ ბიბინებს მწვანე ბალახი
და ყვავილებიც გაიშლებოდა.
წამო, წავიდეთ,
გავიხსენოთ ძველი თამაში:
ამ სარკით — შენი ნაჩუქარით,
ჩემი ერთგულით,
მზე მოვიტაცოთ და ხელისგულზე ავიბრჭყვიალოთ,
ავაყიროთ სარკით სამყარო,
გავუყვეთ ლაჟვარდს
და მერე,
როცა მივესვენებით ფთილა ღრუბელზე,
ისევ კალთაში ჩამიდე თავი.

ვიწვეთ მიწაზე,
ჩვენი თავი ცაში გვეგონოს.

ასე არ არის სიყვარულიც?
თითქოს ჩვენია,
თითქოს მივწვდით,
თითქოს შევედით,
ჩვენ აქ ვზეიმობთ გამარჯვებას,
ის კი — იქ რჩება
და ჩვენთვის მხოლოდ ანარეკლებს გამოიმეტებს.

მაგრამ ხომ არის
რაღაც ხიდი,
რაღაც ერთობა.
ცოტაა განა?
მეტი გვინდა?
რისთვის?
იმისთვის, რომ მოვიჩვიოთ სიყვარული,
მერე გავხედნოთ,
დავჭედოთ ყოველდღიურობით,
და მერე,
როცა მოვიგუნებებთ,
როცა მოვიცლით,
მაშინ ავუშვათ?

თუმცა გვეყოფა,
რა დროს ესაა,
გამოდი გარეთ,
გარეთ გამოდი,
გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ა!

●

ნუ მებუტები, შვილო,
ნახე, რა კეთილი ვარ:
ეს ჩემი კაბა, ფეხსაცმელი, მძივი, პომადა,
ეს ბევრი ხურდაც... მოაგროვე,
სულ შენი იყოს,
სულ შენი იყოს, შვილო,
ოღონდ დამიმახსოვრე!

დამიმახსოვრე, ჩემო ოთახო,
ჩემო წიგნებო,
ჩემი ბალიშის კუთხეებო,
შენც, ჩემო სარკევ, არ დაივიწყო:
თვალები — მწვანე ნაპრალები,
ცხვირი — ტეხილი
და თმები — სველი ჩალის ღერები.
დამიმახსოვრე და მაპატიე,
რომ გითხარი,
განა მართალი არის-მეთქი, ვინც მართალს ამბობს?!

დამიმახსოვრე, ჩემო ფანჯარავ,
ჩემს ქალაქს რომ ჩემსკენ ახედებ!
და შენც, ქალაქო,
რადგან არასდროს მყვარებია შენზე ძალიან
დედამიწის არცერთი კუთხე.

დამიმახსოვრე, დედამიწავ,
დამიმახსოვრე!
როცა უკლებლივ დაგიბრუნებ, რითაც შემმოსე:
წყალსა და მიწას,
ცეცხლსა და ჰაერს,
რადგან ამხელა ვარსკვლავეთში შენ აგირჩიე,
რადგან წავალ და აღარასდროს მოვალ ასეთად.

მითხარი,
როგორ დაგამჩნიო ჩემი ამბორი,
ან რომელ ქვაზე ამოვკვეთო ჩემი სახელი,
ან რომელ შლამზე დავადგა ფეხი,
რომ გაქვავდეს და ნატერფალი შემოგინახოს,
რა ვთქვა ამ ბაგით,
ამ ხელებით რა აგიშენო,
რომ არასოდეს,
არასოდეს არ დამივიწყო.
ჩემო პატარავ,
მობურთულო,
ჩემო ლურჯ-მწვანევ,
დამიმახსოვრე, დედამიწავ, დამიმახსოვრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რევაზ მიშველაძე




„სარკოფაგიდან დგება მუმია“.
გალაკტიონი

მიცვალებულმა ჯერ გვერდი იცვალა, მარჯვენა ლოყისქვეშ ხელი ამოიდო და ცოტა ხანს ასე იწვა. გვერდზე წოლის დროს ფეხების შეკეცვა უყვარდა, მაგრამ კუბომ საშუალება არ მისცა და უხერხულობისგან შეწუხებული, წამოჯდა. ხელებშებიჯგებული კარგა ხანს თავის ვეებერთელა სურათს შეჰყურებდა, მერე წამოდგა, ხრული პიჯაკის ღილი შეიკრა და ჩაბნელებული გასასვლელისკენ გაემართა.

დღის სინათლე თვალებში ეცა და შუბლზე ხელი მიიჩრდილა. ნელ-ნელა აპარებდა შუქისკენ თვალებს, რათა სინათლეს შეჩვეოდა და, ბოლოსდაბოლოს, გაერკვია, სად ეძინა წუხელის, ან, საერთოდ, რა ხალხი დადიოდა წითელ მოედანზე.

ნომერ პირველი საგუშაგოს ორი შაშხანიანი მხედარი მორიგი ექვსი ნაბიჯით რომ დაშორდა ერთმანეთს, ლამაზად შემოტრიალდნენ და შიშ-გაოცებისგან დაზაფრულებს თოფები კინაღამ გაუვარდათ ხელიდან.

მავზოლეუმის კარებში ლენინი იდგა.

მარცხენა შუბლზე მიიდო, მარჯვენა, როგორც უყვარდა ხოლმე, ჟილეტის ჯიბეში ჩაიყო და სახაცილოდ გაჭგიმულ, პირდაღებულ ჯარისკაცებს თვალმოჭუტული, ღიმილით შეჰყურებდა.

— დაუშვით, დაუშვით, გეთაყვა, არ არის საჭირო. მე... ისა, ცოტას გავივლი. თუ სახკომსაბჭოდან მიკითხონ, მალე დაბრუნდება-თქო, — მიიხედ-მოიხედა და ხმადაბლა დაუმატა — სტალინს და ძერჟინსკის ჩემი წასვლის შესახებ არაფერი უთხრათ. ტყუილად ინერვიულებენ. ვეცდები მალე დავბრუნდე.

თავზე განუყრელი კეპი დაიხურა, ორივე ხელი ჯიბეში ჩაიყო და, ჯიბეში ჩაწყობილი ხელებისგან შარვალდნავაწეული, გრანიტის კიბეს დაუყვა.

1990 წლის შვიდი აპრილი იდგა.

წითელი მოედანი გადაჭრა და გილდ ვაჭართა ვიწრო ქუჩაზე, სახელმწიფოს მთავარი უნივერმაღის პირველ სართულზე, გასტრონომში შევიდა.

უნივერმაღში, განსაკუთრებით ალკოჰოლური სასმელების განყოფილებასთან, დიდი ფუსფუსი და გასვლა-გამოსვლა იყო. ლენინს შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს აქ ყველამ — გამყიდველმაც და მომხმარებელმაც თავისი საქმე ხუთი თითივით იცოდა. ისე, როგორც ერთ დროს, სმოლნიში, უსიტყვოდ, უყოყმანოდ შემოდიოდნენ. თითქოს რაღაც რიტუალს ასრულებენო, ორიოდე სიტყვას გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს, მერე ზრდილობიანი გვერდის ავლით, ქვითრით ხელში, სალაროდან დახლისკენ გარბოდნენ და საქონლის მიღებისას უკვე მესამე რიგში მდგართ მოუთმენლობა-შეშფოთება ეხატათ სახეზე. „ხომ არ თავდება?“ — წამდაუწუმ კითხულობდნენ ისინი და ხშირად ერთსადაიმავე, არც თუ ძნელად მისახვედრ, ფრაზას იმეორებდნენ: „მე რიგში ვდგავარ, ჩემი ამხანაგი ამოსაქვითრად წავიდა“.

ბოლოს ყველაფერი კარგად მთავრდებოდა. დახლის მუშაკს ბოთლის შეხვევაზე არ აწუხებდნენ. ლამის ხელიდან სტაცებდნენ, პიჯაკის ჯიბეში ჩაჩურთავდნენ და გასასვლელისკენ ბედნიერი, გამარჯვებული კაცის იერით, ჩვეულებრივზე ორჯერ გრძელი ნაბიჯებით მიიჩქაროდნენ. ბოთლჯიბიანი შუაში იდგა, იქეთ-აქეთ მცველებივით ორი კაცი მიეტორლიალებოდა და იმ ერთს თვალებში შეჰყურებდა. ხანდახან მეოთხეც გაეკიდებოდა გალაღებულ სამეულს ღარიბი ნათესავის ბუტბუტით, მაგრამ მალე გაწბილებულ-გაბითურებული, თავის უმწეო მდგომარეობას ჩამხვდარი, უკან ბრუნდებოდა.

— იქნები მესამე? — ჰკითხა ლენინს მაღალმა, ბერეტიანმა, როხროხახმიანმა, ტუჩმშვილდა კაცმა და ცხვირთან მიუტანა სამი თითის (შუა, საჩვენებელი, ცერა) ერთმანეთზე სვარსვალის იმგვარი, სრულიად არაუზრდელი კომბინაცია, რომელიც ამ სამოცდაათი წლის წინათაც ფულის მოთხოვნას ნიშნავდა.

— როგორ გითხრათ... მე მესამე ვერ ვიქნები. მე პირველი ვარ, — გაეღიმა ლენინმა და შუბლთან მოხრილი ხელის მტევანი ისე მიიტანა, როგორც სამხედროსამსახურგაუვლელ მოქალაქეებს შეუძლიათ ხოლმე სამხედრო მისალმება.

— მე საქმეზე გელაპარაკები, — ყვითელ, მაგრამ რატომღაც არამიჩხერ კბილებში სიბრაზეგარეული სისინით გამოსცრა აყლაყუდამ და პროლეტარიატის დიდ ბელადს კეპი ცხვირამდე ჩამოამხო.

— მე თქვენ! მე თქვენ... — ილიჩმა რის ვაივაგლახით აიწია კეპი ფართო შუბლამდე და ატყავებამდე ცოტადარჩენილი ცხვირი ხელით მოისრისა — მე თქვენ ბონჩ-ბრუევიჩთან გიჩივლებთ!

დაემუქრა სალაროსკენ წასულ ახმახს ლენინი, მაგრამ ქუდის ჩამომფხატავი არ დაიბნა, სარკესთან მდგარ მილიციელთან მიიჭრა და სხაპასხუპით მიაყარა:

— მოქალაქე მილიციელო, მიხედეთ ამ პარაზიტს. ფული არა აქვს და ყალთაბანდობს.

მილიციელმა ზიზღით შეხედა აპრილის თეზისების ავტორს და კარებისკენ მიუთითა. ახმახმა კი, ამასობაში, დრო იხელთა და თავისი ახმახური საქმეებისკენ გაემართა.

— სტყუის, ამხანაგო მილიციელო, მე ფული როგორ არა მაქვს, მაგრამ არაყს არა ვსვამ, ხომ შეიძლება, არაყს არ ვსვამდე?

მილიციელი იმ საბჭოთა მილიციელთა კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელთა ტვინსაც ჩვეულებრივ მშრომელზე ათასცხრასით ნაკლები ნაოჭი აქვს და, რომელთაც შეცდომით, მაგრამ მტკიცედ სჯერათ, რომ, ვინც მილიციელს პირველი მიმართავს, სწორედ ისაა მართალი.

წესრიგის დამცველმა ხელი მოჰკიდა ძველმოდურად, მაგრამ სუფთად ჩაცმულ, დიდქუდა მოქალაქეს და განზე გაიყვანა:

— აბა, მიჩვენე ფული!

ლენინი დაიბნა. მას ნამდვილად აღარ ახსოვდა, რომ იმ დილით ახალდაბეჭდილი ხუთმანეთიანის ნიმუშები მოუტანეს, რამდენიმე მათგანი, ხელმოწერილი, ბანკში გადაგზავნა, სამი კი ჯიბეში ჩარჩენოდა.

ჯიბეში ხელი ჩაიყო და ტკეცინა ქაღალდის შრიალი რომ იგრძნო, გულზე მოეშვა.

— ა, გეთაყვა, — ამოიღო და აჩვენა, — მე, საერთოდ, ფულს არ ვატარებ, არ მჭირდება, მაგრამ შემთხვევით ჩამრჩენია. არის თუ არა ეს ფული?!

მილიციელმა ჯერ ფულს დახედა, მერე ლენინს შეავლო თვალი, ხუთმანეთიანები ხელიდან გამოგლიჯა და უბრძანა:

— აბა ამოისუნთქე!

შეურაცხყოფილმა „ისკრის“ პირველმა რედაქტორმა პირი გააღო და სახელმწიფო მოხელეს ფართო, ვეშაპივით პირში ჩაასუნთქა.

„მთვრალი არ არის, საერთოდ ინტელიგენტი ჩანს, არ ღირს წაყვანა. ვინმე, პროვინციიდან ჩამოსული ინტრიგანი იქნება“ — გაიფიქრა მილიციელმა, ლენინს ხელი მოჰკიდა, გარეთ გამოიყვანა, საზოგადოებრივი საპირფარეშოს თავზე დიდი კალენდარი დაანახვა და წყნარად, ისე რომ გამვლელ-გამომვლელთ ყურადღება არ მიექცია, ჩაულაპარაკა:

— შეხედე, მე მგონი ციფრების ცნობა გეცოდინება. მაშასადამე, რომელი წელი ყოფილა ახლა? — დაწყებითი კლასის მასწავლებლის მკაცრი მზრუნველობით ჰკითხა.

— ათას ცხრაას ოთხმოცდაათი, — დარცხვენით უპასუხა, უკვე ყველაფერს მიმხვდარმა, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა.

— ჰოდა, შებრუნდი ახლა. უკან არ მოიხედო. ამ ერთხელ მიპატიებია — უთხრა მილიციელმა და გასტრონომში შევიდა. ხელმოსაწერი ძველი ხუთმანეთიანები, რომელიც ჯერ კიდევ 1923 წელს გამოიცვალა, რასაკვირველია, არ დაუბრუნა. მილიციელი თვითონ ხომ არ იყო და არ იყო, არც ახლობელთაგან ჰყავდა ვინმე ნუმიზმატი, მაგრამ ხუთმანეთიანებს მაინც წაიღო, ისე, ყოველშემთხვევისათვის.

ლენინი დიდხანს იყოყმანებდა, ჩასულიყო თუ არა მიწისქვეშა გასასვლელში, მაგრამ დიდხანს ყოყმანი არ დასცალდა. ხალხის ტალღამ გაიყოლია და, როცა კვლავ დღის სინათლეზე ამოვიდა, პირდაპირ გორკის ქუჩაზე აღმოჩნდა.

ამართ აუყვა. უხაროდა, რომ მისი ძველი მეგობრის, მაგრამ რაღაც-რაღაცეებში არც თუ იშვიათად შემცდარი გორკის სახელი შთამომავლებს მაინც უკვდავეყოთ.

უხაროდა, რომ ქუჩაში არავინ სცნობდა და, ამ სამოცდაათი წლის წინათ თავს რომ აბეზრებდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ყოველ მოსახვევში ალეკინებული ბრბო შეძახილებით: „გაუმარჯოს ამხანაგ ლენინს!“ „გაუმარჯოს პროლეტარიატის დიდ ბელადს!“ ახლა მსგავსი არაფერი ხდებოდა.

რა ბედნიერება იყო. ლენინს თავისუფლად შეეძლო ქალაქში გავლა და თვალისთვის, რომ იტყვიან, წყლის დალევინება.

მოსკოველებს, ცოტა არ იყოს, მოწყენილი და დაბნეული სახეები ჰქონდათ.

ფოსტა-ტელეგრაფის ლამაზი შენობის თავზე, წითელ ნარმაზე დიდი, ყვითელი ბრონზის ასოებით მოხატული ლოზუნგი ფართხუნობდა: „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს!“

— რაღა დროს ეს ლოზუნგია... ჩემი ვარაუდით, ამერიკას ახლა კარგა ხნის გასწრებული უნდა ვიყოთ. ჩანს, ჯერ ვერ გაგვისწრია, რაკი ამ ლოზუნგის საჭიროება კიდევ არის, — გაიფიქრა ლენინმა და თავისი, ერთ დროს ნათელი, გონება დაძაბა. სცადა, გამოეცნო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოსთვის, რომ ექვს ათეულზე მეტი წლის განმავლობაში ვერ მოასწრო მიეღწია ისეთი უბრალო მიზნისთვის, როგორიც იყო ხრწნადი იმპერიალიზმის მებაირახტრის — ამერიკის შეერთებული შტატების დაწევა და გასწრება.

იური დოლგორუკის ძეგლს რომ გაცდა, მარჯვენა ხეზებია და გრძელ, ცალფა რიგს ჰკიდა თვალი. მოქალაქეთა დახვეული მწკრივი შორს, პუშკინის ქუჩაზე ჩადიოდა, იქიდან კინოთეატრ „როსიას“ უვლიდა, კვლავ გორკის ქუჩაზე ამოდიოდა და სახუთმო „მონსხის“ უკან, რომელღაც ჩიხში იკარგებოდა.

— ვი ბუდეტე სტაიატ? — გამოკვეთილი აღმოსავლური აქცენტით ჰკითხა წვრილთვალა, ნიჩაბსახიანმა, უქუდო, [illegible] კაცმა.

— რაზეა რიგი? — კითხვა შეუბრუნა ბელადმა.

რიგმა გადაიხარხარა.

— თქვენ რა, დგახართ და არ იცით, რაზე დგახართ? — წყრომით ჰკითხა პენსიონერისფერიანმა მოხუცმა.

— ჯერ არ გადამიწყვეტია... საერთოდ... მაინც რას არიგებენ? — არ დაიბნა ლენინი.

— ია ვას სპრაშივაიუ, ვი ბუდეტე სტაიატ, ილი ნეტ? — უფრო გამოკვეთილი აღმოსავლური აქცენტით ჰკითხა იმ კაცმა, ვინც ამ სტრიქონების ავტორმა (შეიძლება შეცდა კიდეც) ერთ-ერთი იმ დღეგრძელთაგანს მიამგვანა, ამასწინანდელ საბჭოს ყრილობაზე განუკითხავად ყველაფერზე რომ მანდატს სწევდა: „თანახმა ვარ, თანახმა ვარო“ და ვინც ბლუკუნა, მაგრამ ყელამდე მართალ სახაროვს სიტყვა შეაწყვეტინა და ტრიბუნა მიატოვებინა.

ეს ყოველივე ლენინმა, რასაკვირველია, არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მან გაიღვიძა სამოცდახუთწლოვანი ძილის შემდეგ 1990 წლის 7 აპრილს.

— მაინც რაზეა რიგი? — აღმოსავლურაქცენტიანი დეპუტატი კვლავ უპასუხოდ დატოვა ლენინმა და გაცვეთილ თუ გახუნებულ, უზურგჩანთო უმაწვილს მიხედა.

— საპონზე, ძიაკაცო, საპონზე და სარეცხ ფხვნილზე! — არ დააყოვნა უმაწვილმა პასუხი.

— რანაირ საპონზე?

— რა ჩააცივდით ბავშვს, — თავი გამოიდო იღლიაში ფუთამოჩრილმა, თავუბაზებულმა დედაკაცმა — რა მნიშვნელობა აქვს, რა საპონი იქნება. თქვენ რა, ასარჩევად გაქვთ საქმე?!

ლენინმა კეპი შუბლზე ჩამოიწია, გულისჯიბესთან დაბნეული წითელი ლენტი მოიხსნა, ჯიბეში შეინახა და მძიმე ფიქრებში წასული გაშორდა რიგში მდგარ მშრომელებს, რომელთაც რიგის სიგრძისა და საპნის დარიგების დაწყების დროის მიხედვით თუ ვიმსჯელებით, საპონი ან მოუწევდათ ან არა. ხოლო სარეცხი ფხვნილი, ინფორმაციას ჯერ რიგის ბოლომდე არ გამოეღწია, თურმე უკვე გათავებული იყო.

ბევრი იხეტიალა საღამომდე მოსკოვში ლენინმა და ბევრი ისეთი რამ გაიგო, რასაც საკუთარი თვალით რომ არ ეხილა, სხვას არ დაუჯერებდა. გაარკვია, რომ მის მიერ შექმნილ სახელმწიფოში სოციალიზმი უკვე აშენებული იყო, ხოლო აშენებული სოციალიზმის ქვეყანაში კარაქს, ხორცს, შაქარს და ყველს საბარათო სისტემით ისევე შეუდულად ურიგებდნენ მოქალაქეებს, როგორც, მუშტნინის პერიოდში, საყოველთაო შიმშილობის დროს. ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ ტრიკოტაჟის ფაბრიკასთან ჩავლისას, პიკეტთან შეკრებილ მუშებს წააწყდა უშველებელი ტრანსპარანტით ხელში: „შემოუერთდით ტრიკოტაჟის ფაბრიკის ნიფხვების საამქროს გაფიცვას“. ლენინმა ვერაფრით ვერ წარმოიდგინა, რომ საბჭოთა კავშირში მუშებს — სახელმწიფოს ფაქტიურ ბატონ-პატრონებს — შეეძლოთ გაეფიცულიყვნენ. „ეს რა ღვთის რისხვაა, გაფიცვამდე როგორ მიიყვანეს ხალხიო“, — გაიფიქრა ილიჩმა, რომელსაც ღმერთი, როგორც [illegible], არც რევოლუციამდე სწამდა და რევოლუციის შემდეგ — მითუმეტეს.

სავალალო სხვა რამეებიც იხილა პირველი ნომერი მანდატის მფლობელმა იმ დღეს, მაგრამ აქ აღარ აღვწერ. შემთხვევებს რაისაბჭოს აღმასკომთან შეკრებილ უბინაოებთან, მილიციის სამორიგეოში, ლუდის ჯიხურთან, კოოპერატივ „მოდა-მოდისთან“ და სხვა ადგილებში გვერდს ვუვლი, იმიტომ კი არა, თითქოს, მათი აღწერა რაიმე [illegible] წარმოადგენდეს, არა, უბრალოდ „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ ავტორის ავტორიტეტს ვუფრთხილდები.

ექვსს აღარაფერი აკლდა, როცა ლენინი მაიაკოვსკის ძეგლთან არაფორმალთა უსანქციო მიტინგს დაესწრო. უხმაოდ, უხმაოდ და სიბრაზ-სირცხვილისგან აცახცახებული [illegible] ბიჭს მივარდა.

ვინ ხართ, თქვენა?

არაფორმალები, უპასუხა ბიჭმა.

რას მოითხოვთ კონკრეტულად?

ბევრს არაფერს, არსებული წყობილების დამხობა გვინდა.

მერე?

ჯერჯერობით ხელს გვიშლიანო.

დაჭერით არ გიჭერენ?

ვერ გავიგე, რა მკითხეთ, უპასუხა თავბურბულა არაფორმალმა.

მე გეკითხებით, ციხეში თუ გსვამენ-თქო.

არა ჯერო, დარცხვენით უპასუხა ბიჭმა, რომელსაც, ჩანს, თვითონვე უკვირდა მისი და მისი თანამზრახველების წინააღმდეგ რეპრესიებს რომ არ მიმართავდნენ.

ნუ გეშინიათ, დაგიჭერენ მალე და თქვენც ნამდვილი რევოლუციონერის ცხოვრებით იცხოვრებთ, დაამედა ბელადმა.

ლენინმა ერთ მგზნებარე გამომსვლელსაც მოუსმინა და სიტყვა ითხოვა; უნდოდა სტრატეგიისა და ტაქტიკაში (განსაკუთრებით ტაქტიკაში) შედავებოდა ორატორს, მაგრამ არაფორმალებმა სიტყვა არ მისცეს. სიტყვა არ მისცეს როგორც ლენინს კი არა (რასაკვირველია, ვერ იცნეს), სიტყვა არ მისცეს, როგორც სხვა, გარდასული თაობის წარმომადგენელს. რას იტყვის ეს ორმოცდაათს გადაცილებული, წითურ-ლაღო, გაურკვეველი რჯულ-რწმენის კაციო. ისე, ჩვენს შორის დარჩეს და, კიდევ რომ ეცნოთ, არც იმაში ვარ ღრმად დარწმუნებული, რომ მარქსიზმის განმავითარებელ-განმადიდებელს, სწორუპოვარ კომუნისტს — ლენინს არაფორმალები თავიანთ მიტინგზე მიკროფონს დაუთმობდნენ.

მიტინგის დამთავრებას აღარ დაელოდა. ჯიბეში ხელებჩაწყობილი ჩქარი ნაბიჯით დაეშვა გორკის ქუჩაზე, მაგრამ ძველი პროფესიონალის გუმანით იგრძნო, რომ მაიაკოვსკის მოედნიდან „კუდი“ გამოჰყვა. უცნობი, უქუდო, მოჭადრაკულშარვლიანი, შავპირანგა კაცი შორიახლო, ფრთხილად მოჰყვებოდა.

ლენინი გაზეთის ჯიხურთან გაჩერდა და „პრავდის“ ხალხის გამოშვება იყიდა. ესიამოვნა, რომ საყვარელ გაზეთზე მისი სახელი ეწერა: „გაზეთი დაარსებულია 1912 წლის 5 მაისს ვ. ი. ლენინის მიერ“.

გაზეთი გაშალა და მარცხნივ გაიხედა, უცნობი უფრო უცნობი ღიმილით უახლოვდებოდა.

— ვლადიმერ ილიას ძევ, მთელი სიცოცხლე ვოცნებობდი თქვენთან შეხვედრაზე. თუ შეიძლება, ნახევარი საათი მაინც უნდა დამითმოთ.

ლენინმა საათზე დაიხედა. კაცმა რომ თქვას, არსად ეჩქარებოდა, მაგრამ მაინც არ ესიამოვნა, რომ საათი გაჩერებულიყო.

დიდ თეატრამდე უსიტყვოდ იარეს. მარქსის ქანდაკებასთან, პატარა სკვერში ჩამოსხდნენ.

— გისმენთ, — ლენინმა უცნობს ირიბად გახედა და ორივე ხელი ძელსკამს ისე გადადო, როგორც გორკაში უყვარდა ხოლმე დასვენებისას.

უცნობი ოცდაათიოდე წლისა იქნებოდა. შავი წვერი ნიკაპისკენ წაწვეტებულად, ლამაზად შეეკრიჭა. ლაპარაკის დროს „ლ“-ს რბილად წარმოთქვამდა. თუმცა ძალიან ცდილობდა ხმის დაბოხებას, მაინც გაბზარული, დაფხრეწილი ხმა ამოსდიოდა. ამგვარი ხმა მთელი ღამე ყიყილით დაღლილ ახალგაზრდა მამლებს აქვთ (ჩვენში მამლაყიწნებს ეძახიან).

— კმაყოფილი ბრძანდებით? — შორიდან, იდუმალი ჩურჩულით ჰკითხა უცნობმა და ლენინს მოეჩვენა, რომ შეკითხვის ინტონაციაშიაც იდო ბრალდება, რისაც ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად ეშინოდა.

— ეს სოციალიზმი არ არის. ეს რაღაც სხვაა. ხოლო რაც არის, აღმაშფოთებელია, — მიუგო ლენინმა.

— მერედა, ვისი ბრალია? — თვალი გაუსწორა უცნობმა — თქვენი. ასე არ არის?

— ნება მომეცით, არ დაგეთანხმოთ. თუ ჩემთან პროვოკაციულ საუბარს აპირებთ, ავდგები და წავალ.

— დამიჯერეთ, თქვენდამი ღრმა პატივისცემით ვარ გამსჭვალული, მაგრამ, რასაც ვფიქრობ, ხომ უნდა გითხრათ?

— ბრძანეთ, მაგრამ მეც ხომ დამიტოვებთ უფლებას, უსაფუძვლო ბრალდებებში არ დაგეთანხმოთ?

— რასაკვირველია. მაშ ასე. თქვენი ბრალია-მეთქი ეს სამოცდაათწლოვანი არშემდგარი ექსპერიმენტი, რომ ვამბობ, იცით, რას ვგულისხმობ?

— რას?

— მარქსიზმს იმთავითვე ჰქონდა ხარვეზები, რითაც იგი მის მიერვე განადგურებული, უტოპიური მეცნიერებებისგან ბევრად როდი განსხვავდებოდა. სახელდობრ, შეცდომა იყო კლასთა შეურიგებლობის თეორიის ქადაგება, რაც თავისთავში საყოველთაო სისხლისღვრას და სოციალურ ფენათა შერიგების უპერსპექტივობას ნიშნავს. სხვა ნაკლიც გითხრათ?

— დიახ, — ლენინმა თითები ერთმანეთს გაუყარა და მარჯვენა მუხლს შემოაჭდო.

— მარქსიზმის მეორე დიდი შეცდომა იყო კერძო საკუთრების წინააღმდეგ გალაშქრება, მესამე შეცდომა — რელიგიის უარყოფა, ხოლო მეოთხე, ყველაზე დიდი შეცდომა — ლამის უსამშობლო, უეროვნებო მოქალაქის აღზრდისკენ მოწოდება.

— ნება მომეცით, ჩემს ძველ კამათებს აღარ დავუბრუნდე. თქვენ ახალი არაფერი გითქვამთ, მარქსიზმის მსგავსი რევიზიების გაბათილებას ბევრი დრო მოვანდომე თავის დროზე, მაგრამ თუნდაც მართალი იყოთ, მარქსიზმის ცოდვებს მე რატომ მაწერთ?

— იმიტომ რომ, თქვენ ის ხარვეზები, თქვენის მხრივ, გააღრმავეთ და ახალი, ყველაზე მთავარი, შეცდომა დაუმატეთ — ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა. ხომ დარწმუნდით დღეს, რა დღეშია გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა?

— რატომ ფიქრობთ, რომ თეორიაა დამნაშავე და არა იმ თეორიის გამრუდებული ხორცშესხმა?

— რაკი ასეა, ჯერ იმას მოგახსენებთ, რომ თქვენმა თეორიულმა სისტემამ არ გაამართლა. პრაქტიკაში იგი ვერ განხორციელდა. ხოლო თუ არ გეწყინებათ, ახლა იმის თქმას შევბედავ, რომ გამრუდებასაც (თუ რამე გამრუდდა) თქვენ ჩაუყარეთ საფუძველი.

— სახელდობრ?

— პირველივე თქვენი დეკრეტები ხალხის მოტყუება იყო და მეტი არაფერი. დეკრეტი მიწის შესახებ არ იყო დიდი აფიორა? თქვენ ხომ მაინც იცით, რომ იმ დეკრეტით არავითარი მიწა გლეხებს არ მიუღიათ, პირიქით, რაც ჰქონდათ, ისიც წაართვის. ხოლო რაც შეეხება ფაბრიკა-ქარხნების მუშებისთვის გადაცემას, ესეც ქიმერა იყო. არც ერთი დღით, ამ სამოცდაათი წლის მანძილზე, მუშისა არაფერი ყოფილა ხელისგულზე საკუთარი [illegible] გარდა.

— მერე და მე რა შუაში ვარ? რატომ დროზე არ მიხედა ხალხმა თავის საქმეს? თუ ასე იყო, [illegible] რაღას მოგვყვებოდნენ. ხალხის, საბჭოების ძალაუფლება, ჩემს მიერ გამოგონილი, განა მათ საშუალება არ აძლევდათ ძალაუფლებაც ველოდ და სისტემაც შეეცვალათ?

— თქვენ საბჭოების ძალაუფლების ლოზუნგს რომ აყენებდით, მაშინვე მშვენივრად იცოდით, რომ არავითარი ხალხის ძალაუფლება, ამ სიტყვის უფართოესი გაგებით, ბუნებაში არასოდეს არ არსებულა და მუშებსა და გლეხებს არასოდეს. არცერთ ქვეყანაში არ [illegible] სახელმწიფო. მითუმეტეს, შეუძლებელი იყო ეს ჩვენს ურთულეს, [illegible] საუკუნეში.

— ძველი საბერძნეთი? იულიუს კეისარის რომი?

— ჯერ ერთი, ლაპარაკია სრულიად სხვა ეპოქაზე და სხვა გეოგრაფიულ-ეკონომიურ მასშტაბებზე. ხოლო, როცა იულიუს კეისარს ახსენებთ, მისი ბედიც უნდა გაიხსენოთ. ისტორიიდან კეისრის მსგავსად წასვლა არც თქვენ და არც თქვენს მემკვიდრე სტალინს არ გსურდათ.

— მე არ ვიცი, რა გააკეთა სტალინმა თავისი ძალაუფლების განმტკიცებისთვის — მე კი ყოველთვის ვცდილობდი, დემოკრატი, კაცთმოყვარე, დაჩაგრულთა ქომაგი ვყოფილიყავ.

— და თქვენ, მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური სახელმწიფოს ხელმძღვანელმა, ტერორისტული, დაცემისა და გადატრიალების გზით, ძალის გამოყენებით წაართვით ძალაუფლება მათ, ვინც ჭეშმარიტი რევოლუცია მოახდინეს. მხედველობაში მაქვს თებერვლის რევოლუცია, თქვენს მიერ „ბურჟუაზიულად“ წოდებული და არა ოქტომბრის რევოლუცია, რომელიც ფაქტიურად არ ყოფილა. ერთ მუჭა შეთქმულთა ბუნტი იყო იგი და სხვა არაფერი.

— როგორ გეკადრებათ, ზამთრის სასახლე ამბოხებულმა, ილაჯგაწყვეტილმა მუშებმა და ჯარისკაცებმა აიღეს.

— თქვენი და თქვენი თანამზრახველების მეთაურობით. ეგზალტირებულ, პროპაგანდამოწოდებებით გაბრუებულ ბრბოს მეტის გაკეთებაც შეუძლია. იცით თუ არა, რომ თქვენს მიერ დაარსებულ ინტერნაციონალურ სახელმწიფოში უკეთესი ცხოვრების ლოდინით დაღლილი, მოტყუებული ერები, სისხლისღვრის მოსურნე ლიდერთა შეგულიანებით ერთმანეთს დაერივნენ? წაიკითხეთ „პრავდა“, დღევანდელი, ახლა რომ შეიძინეთ და ნახავთ.

— ეს წარმოუდგენელია. ამ ფაქტს ახსნას მარქსი და ენგელსიც ვერ უპოვნიდნენ.

— წარმოუდგენელი არაფერია. ერი ყველაზე მყიდრო სოციალურ-ეთნოგრაფიული ერთეულია. თქვენს მიერ ლიბოდადებულმა ერთა გათქვეფის პოლიტიკამ მიგვიყვანა აქამდე. ერებმა გაიღვიძეს და, ნუ გაამტყუნებთ, თუ სიკვდილი და გაქრობა არავის უნდა.

— მაგრამ ძალის გამოყენებით შევინარჩუნებთ არსებობას?

— როცა სიტყვა არ სჭრის, როცა ერის ტკივილს უყურადღებობის ცივი კედელი ხვდება, ხალხი ქუჩაში გამოდის. იარაღის გამოყენებით პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა კი, აბა კარგად გაიხსენეთ, თქვენგანა აქვს ნასწავლი მსოფლიოს.

— იქნებ გაიხსენოთ, რას სწერდნენ ჩემზე ჩემსავე სიცოცხლეში უცხოელი დიპლომატები, როგორც ახალი ტიპის ხელმძღვანელზე და ჰუმანიზმის ერთგულ გუშაგზე.

— სწერდნენ. იქნებ იმიტომ, რომ მართლაცდა კაცთმოყვარეობის პრინციპები ჩაეგონებინათ თქვენთვის. ესეც არ იყოს, მსოფლიოს დიდხანს ეშინოდა პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოსი. აბა გულში ჩაიხედეთ, ჰუმანიზმის დიდი გამოვლენა იყო ნიკოლოზ მეორისა და მისი უდანაშაულო ოჯახის დახვრეტა?

— ნიკოლოზ მეორე და მისი ოჯახის წევრები ცოცხალი რომ გაგვეშვა, ისინი ყოველთვის საფრთხე იქნებოდნენ წითელი რუსეთისთვის. ჩემი ვარაუდით, ახლაც ბევრი იქნება საზღვარგარეთ მონარქიის აღდგენის მოსურნე.

— იცით, რა ბედი ეწია ტროცკის?

— რა?

— თქვენს მიერ იუდუშკად წოდებული ტროცკი თქვენმა მოწაფემ სტალინმა როდი დახვრიტა, საზღვარგარეთ გააძევა.

— ალბათ, მაშინ სხვა პოლიტიკური ვითარება იყო.

— არც თუ ძალიან განსხვავებული. ტროცკი ხომ გაძევებული ლიდერი გახლდათ და არა მარტო ილანძღებოდა საზღვარგარეთიდან, ახალ მთავრობასაც ჰქმნიდა. სხვათაშორის, იუდუშკამ ემიგრაციაში დიდხანს იცოცხლა, მაგრამ სტალინს მისი არ შეშინებია. თქვენ კი შეგეშინდათ ნიკოლოზ მეორის.

— პოლიტიკური ბრძოლა მოწინააღმდეგის მოსპობასაც გულისხმობს. ამის მაგალითები ისტორიამ ბევრი იცის.

— იცის წყეული შუასაუკუნეების ეპოქაში, ახლა როგორ შეიძლება განსხვავებული შეხედულებისთვის კაცის განადგურება. მითუმეტეს, თქვენ ეს როგორ იკადრეთ.

— ვთქვათ ნიკოლოზ მეორე ჩემს სინდისზეა. სხვა?

— არც სხვა ვითარებაში დაგიხევიათ უკან რეპრესიებისგან. თქვენი ბრძანებით შეიქმნა პოლიტიკურ პატიმართა ბანაკები ციმბირში. თქვენი მრისხანე რეზოლუციები საყოველთაოდ ცნობილია.

— სხვანაირად ვერ გადავარჩენდით ახალდაბადებულ საბჭოთა სახელმწიფოს.

— სამწუხაროდ, ნახევრად მკვდრადშობილს... მისი გაცოცხლება — ფეხზე დაყენების ავმა ექსპერიმენტებმა თაობათა სიცოცხლე შეიწირა. თქვენი ბრძოლა არც თქვენი მოღვაწეობის დასაწყისში ბრწყინავდა დიალოგისა და დემოკრატიის ჯენტლმენური პატივისცემით.

— მაგით რა გინდათ თქვათ?

— ჩახედეთ თქვენს წერილებს. რა ზიზღით, ცინიზმით, დამამცირებელი ეპითეტებით ელაპარაკებით გუშინდელ თქვენს მეგობრებს და დღეს განსხვავებული შეხედულებების მქონე თეორეტიკოსებს. თქვენ — წიგნის კაცი, დაუნდობელი ხართ მოწინააღმდეგე ბანაკში მყოფი წიგნის კაცების მიმართ. დასცინით, ათახსირებთ, ემუქრებით, აბიაბრუებთ, არასაკადრისი ილითებით კამათობთ.

— მაგრამ იმ კამათებში პროლეტარიატმა უცილობელ ჭეშმარიტებად სწორედ ჩემი აზრები მიიჩნია.

— რომელმა პროლეტარიატმა? რომლის დიქტატურაც დაამყარეთ? ჯერ ერთი, როგორ შეიძლებოდა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. დიქტატურა ხომ სათავეშივე თრგუნავს დემოკრატიას, მაგრამ რომ არც პროლეტარიატის დიქტატურა გამოგივიდათ? ეს იყო თქვენი, ერთ მუჭა შეთქმულთა დიქტატურა და სხვა არაფერი. პროლეტარიატი თქვენ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მეორე დღესვე დაიქნიეთ და მოიშორეთ.

— არ არის მართალი. ჩემი კაბინეტიც კი მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული ადამიანებისგან შედგებოდა. ჩემი სიკვდილის შემდეგ, ალბათ, დემოკრატიული საწყისები ამ მიმართულებით უფრო განვითარდა.

— როგორ არა. მეტალურგიის პრობლემებს წყვეტდა სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც მეტალურგია მხოლოდ მოწოდებების დონეზე იცოდა, მე აღარას ვამბობ ვოროშილოვის, ბუდიონის, კაგანოვიჩის, ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის „ღრმა განსწავლულობასა და პროფესიონალიზმზე“.

— იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ უბრალო ადამიანთა წიაღში ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწენი არ მოიძებნებოდა?

— როგორ არ მოიძებნა, მაგრამ ვინ მიუშვა ისინი სახელმწიფოს საჭესთან. ბოლო დრომდე, სახელმწიფოს, ღრმა მოხუცობამდე თითქმის ერთიდაიგივე ხელისუფლური წრის წევრები მართავდნენ მორიგეობით. უნდა გითხრათ, რომ ისინი თქვენი და სტალინის ერთგული მიმდევრები იყვნენ, მიუხედავად იმისა, გარეგნულად ამჟღავნებდნენ ამას თუ არა. ჰო მართლა, პიროვნების კულტზე, რა აზრისა ბრძანდებით?

— უარყოფითის. პიროვნების კულტი, ვინც არ უნდა იყოს იგი, უაზრობაა და საზოგადოების დაბალი დონის მაჩვენებელი.

ბით... ესეც არ გაკმარეს, ადამიანურად დამარხვაც კი არ გაღირსეს, მავზოლეუმი აგიშენეს და ეგვიპტის ფარაონთა მაგალითისამებრ, მავზოლეუმში დაასვენეს თქვენი მუმია. მოგეწონებოდათ, ეს ყველაფერი რომ გცოდნოდათ?

— საშინელებაა, — თქვა ლენინმა — ნუთუ, ხსნა არსად ჩანს? ნუთუ, არ დამთავრდება ყოველივე ეს?

— მთავრდება, მთავრდება, ვლადიმერ ილიჩ. ხალხმა გაიღვიძა, მაგრამ ჯერ კიდევ ისე ძლიერია თქვენს იდეებზე აღზრდილ ხელმძღვანელთა კოჰორტა, რომ ყველაფერს აკეთებს იმპერიის შესანარჩუნებლად.

— მაინც?

— ცხრაფუთიან მუშტს უღერებენ ციცქნა ლიტვას, რომელმაც თავისუფლების სარკმელი პირველმა გამოაღო და სუფთა ჰაერს სახე მიუშვირა. პარლამენტის სხდომებზე კბილებით გააქვთ იმგვარი კანონები, ერთა თვითგამორკვევას და კავშირიდან გასვლას რომ ფაქტიურად შეუძლებელს ხდის.

— ჩემი ძეგლების საქმე როგორ არის? — მცირე პაუზის შემდეგ იკითხა ბელადყოფილმა.

— ბევრგან მოხსნეს, ზოგან შეიარაღებული პატრულები იცავენ. იმათ, ვინც დაცვის ბრძანებას იძლევა, ლენინი იმდენად არ ადარდებთ, რამდენადაც თავიანთი სკამები, რომელთა გამოცლას, მცდარად, თქვენი ძეგლის ყოფნა-არყოფნას უკავშირებენ.

— მე თავი დამანებონ, — სასოწარკვეთილი ხმით თქვა ილიჩმა — მე რას მერჩიან. როგორ შეიძლება გაკოტრებულ სახელმწიფოში ჩემი ძეგლები ამძიმებდნენ მიწას? რა დავაშავე ისეთი, რომ საფლავი არ მაღირსეს? მიაწვდინეთ ხმა, გეთაყვა, თავი დაანებონ ჩემი სახელით სპეკულაციას. როგორც ჩანს, ბევრი რამ ვერ გავითვალისწინე. ვინ იცის, შეიძლება, ჩემი განდიდება თავიანთ უკვდავსაყოფადაც გამოიყენეს. ვინ იცის, იქნებ სხვა ქალაქებსაც შეუცვალეს სახელები? იქნებ მსოფლიოს სახაცილოდ არსებობენ ქალაქები; „ძერჟინსკი“, „სვერდლოვსკი“, „კუიბიშევი“, „კალინინგრადი“, ა? ღმერთო ჩემო, რა კადნიერებაა.

ლენინმა ორივე ხელი საფეთქლებზე შემოიდო და ასფალტს დააჩერდა.

შუაღამემდე ისაუბრეს და მერე სხვადასხვა მხრივ გაეშურნენ.

ლენინი მავზოლეუმში აღარ დაბრუნებულა.

საბჭოთა ხელისუფლებას ძებნა არ გამოუცხადებია. იფიქრეს: ჯერ ერთი, მავზოლეუმიდან ბელადის გაქრობა ჩვენი პროპაგანდის დიდი მარცხია, რასაც უცხოეთის საინფორმაციო ორგანოები თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებენ, მეორეც, შესაძლებელია, ახალი სოციალისტური ერთობა — საბჭოთა ხალხი ამ ფაქტის გამო სასოწარკვეთამ შეიპყროს და...

მავზოლეუმი უვადო რემონტზე დააყენეს.



# პური მისი არსობისა— წიგნი მიეცით მკითხველს!

გაიმართა საქართველოს წიგნის ვაჭრობის საბითუმო-საცალო გაერთიანება „საქწიგნის" სისტემის რესპუბლიკური თათბირი თემაზე „გასული წლის შედეგები და მომავლის პერსპექტივები", რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ რევაზ ლლონტმა.

თათბირის მონაწილეებს ვრცელი მოხსენება-ანგარიშით წარუდგა ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, გაერთიანება „საქწიგნის" გენერალური დირექტორი რევაზ ჭიჭინაძე. მან განაცხადა, რომ 1989 წელი ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის სისტემისათვის მეტად დაძაბული მუშაობის წელი იყო, მაგრამ ახალ სისტემაზე გადასვლამ რთულად და ძნელად, მაგრამ მაინც მშვიდობიანად და შედეგიანად ჩაიარა. არ დაზარალებულა სისტემის არცერთი ობიექტი, არცერთი წარმოება, რაც მთავარია, საგრძნობლად გაუმჯობესდა ადამიანთა ცხოვრების პირობები. ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ყველა ორგანიზაციამ, გამომცემლობებმა, პოლიგრაფიამ, „საქწიგნმა" და სხვ. — შეძლო პირნათლად შეესრულებინა რესპუბლიკის მთავრობის მიერ დასახული დავალებები (მომხსენებელმა ზემოთქმულის ნათელსაყოფად მოიტანა სათანადო ციფრები და მონაცემები).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჯერჯერობით მაინც იქმნება სადაო, ზოგჯერ კონფლიქტური სიტუაციებიც კი გამსხკომის რგოლებს შორის და საჭიროდ მიიჩნია, რომ პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტთან შეიქმნას საუწყებათაშორისო არბიტრაჟი, რომელიც გადაწყვეტს ყოველგვარ დავას „საქწიგნსა", გამომცემლობებსა და პოლიგრაფიას შორის.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საქწიგნის" სისტემის ყველა ობიექტის მიერ სახელმწიფო გეგმის შესრულება დიდად არის დამოკიდებული თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სასაწყობო მეურნეობის მუშაობაზე, გულისტკივილით განაცხადა, რომ ამ თვალსაზრისით ვითარება ნამდვილად არასახარბიელოა, კერძოდ, თითქმის ყველა საწყობი მოთავსებულია საცავებში, რომლებშიც გაყვანილია სასმელი წყლის, გათბობისა და კანალიზაციის მოძველებული კომუნიკაციები, წიგნის საწყობებში წლების მანძილზე არ ჩატარებულა რემონტი, მოუგვარებელია საექსპორტო წიგნადი პროდუქციის ხარისხის ამაღლების პრობლემები. გამომცემლობათა დირექტორებმა დღის წესრიგში უნდა დააყენონ ქართველ ავტორთა საუკეთესო წიგნების, განსაკუთრებით კი საბავშვო ლიტერატურის უცხოურ ენებზე ინტენსიურად თარგმნის საკითხი, მძიმე დღეშია „საქწიგნის" სასკოლო-საკანცელარიო წიგნების განყოფილების სასაწყობო მეურნეობა, ფერხდება მოსწავლე ახალგაზრდობის სასწავლო ნივთებით დაკმაყოფილება, ვერა და ვერ მოიხსნა სასწავლო სეზონის დაწყების წინ რვეულების დეფიციტი, მეტად მტკივნეული პრობლემებია ბიბკოლექტორის მუშაობაში, წიგნის შესაძენი თანხები წინდაწინ უნდა ირიცხებოდეს ბიბკოლექტორის ანგარიშზე, მაგრამ ამ საქმეს სათანადო ორგანიზაციებმა თავი ვერა და ვერ მოაბეს. არ გვაქვს გამომთვლელი მანქანები, სათანადო სიმაღლეზე არ დგას წიგნზე მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლის საქმე, საგამომცემლო თემატური გეგმები უნდა იბეჭდებოდეს ქართულ-რუსულ ენებზე, არა როტაპრინტზე, არამედ სტამბური წესით, როგორც ამას სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა გამომცემლობები აკეთებენ. თემატური გეგმები „საქწიგნს" დროულად და საკმარისი რაოდენობით უნდა ჩაბარდეს, წიგნის ანოტაცია ხშირად სრულიად არ შეესაბამება მის შინაარსს, ასევე, ხშირად, დაბალია წიგნადი პროდუქციის პოლიგრაფიული დონე, რაც მომხმარებელთა სამართლიან საყვედურს იწვევს. „საქწიგნის" სისტემის ობიექტებში ნაშთის სახით არსებობს ე. წ. ძნელად სარეალიზაციო ლიტერატურა, რაც გამოწვეულია იმით, რომ მათი ტირაჟები ზოგჯერ არაა „საქწიგნთან" შეთანხმებული (მომხსენებელს მოჰყავს ჩაწოლილი, გაუსაღებელი წიგნების გრძელი სია), არაა მოწესრიგებული „საქწიგნის" სისტემის ორგანიზაციებისთვის პროდუქციის რიტმული მოწოდება, დაგვიანებით მზადდება გარკვეული თარიღებისა თუ ღონისძიებებისადმი მიძღვნილი პლაკატები, საბიბლიოთეკო კოლექტორები ხელშეკრულებებს ვერ აფორმებენ რესპუბლიკის ბიბლიოთეკებთან, ხოლო „საქწიგნი" — ცეკავშირთან. გამომცემლობები მტკიცედ არ იცავენ „ცეკავშირისათვის" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ასორტიმენტის დროულად მოწოდებას, დროზე არ გვიმზადებენ სარეკლამო დაფებს, შესაბამისად, ეფექტურად ვერ ვაფორმებთ შენობების ყრუ კედლებს, საჭირო საკლასიფიკაციო წარწერებს, „საქწიგნს" არა აქვს თავისი სარეკლამო სამსახური, უფრო სწორად, სააგენტო „საქწიგნრეკლამა", გარევაჭრობის ნებართვის ახალებად გვიხდება ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა...

მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა „საქწიგნისა" და „ცეკავშირის" ურთიერთობაზე, „საქწიგნსა" და „ცეკავშირს" შორის წლების მანძილზე მიმდინარეობს დავა, თუ რა თანხის წიგნადი პროდუქცია უნდა მივაწოდოთ მას.

აი, კერძოდ, რა ითქვა ამ საკითხზე:

მიუხედავად იმისა, რომ „საქწიგნმა" საჩივრით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სახელმწიფო კომიტეტსა და ბოლოს, არბიტრაჟსაც კი, ეს საკითხი დღემდე გადაუჭრელია.

წიგნით უპირატესად ვაჭრობენ „ბეჭდვსახკომის" დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციები, გამონაკლისია სოფლად წიგნით ვაჭრობა, რასაც ჩვენს რესპუბლიკაში „ცეკავშირი" ახორციელებს. ძალზე მწვავედ დადგა საკითხი, რათა ნაწილობრივ გადაისინჯოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 4 აგვისტოს № 611 დადგენილება — („სოფლად წიგნით ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ"), რომლის შესაბამისად წიგნის ვაჭრობის რესპუბლიკურ გაერთიანება „საქწიგნს" დაევალა სამომხმარებლო კოოპერაცია „ცეკავშირს" გამოუყოს რესპუბლიკის მთელი ბეჭდვითი პროდუქციის 45 პროცენტი (საკავშირო მაჩვენებლი არ აღემატება 18-20%).

ზემოაღნიშნულ დადგენილებაში კორექტივის შეტანა საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგ მოსაზრებათა გამო:

უკანასკნელი მონაცემებით რესპუბლიკის მოსახლეობა შეადგენს ხუთი მილიონ 134 ათასს. აქედან ქალაქად ცხოვრობს 2 მილიონ 729 ათასი, სოფლად 2 მილიონ 405 ათასი. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ცეკავშირს თითქოს მართლაც ეკუთვნის ბეჭდური პროდუქციის 45 პროცენტი, მაგრამ აქ გათვალისწინებული არ არის უაღრესად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი მომენტები, კერძოდ ის, რომ თავის წილად დარჩენილი 55 პროცენტიდან „საქწიგნის" გაერთიანება რესპუბლიკის ბიბკოლექტორებს უყოფს ბეჭდური პროდუქციის დაახლოებით 18-20 პროცენტს (ძირითადად სოფლის ბიბლიოთეკების დასაკომპლექტებლად), 10 პროცენტი იხარჯება ექსპორტის, მოსკოვის, ქვეყნის ჩრდილოეთისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონების, აგრეთვე „წიგნი-ფოსტით" საჭიროებისათვის, 10 პროცენტი საერთაშორისო, რესპუბლიკური, საქალაქო მნიშვნელობის ღონისძიებათა მომსახურეობისათვის, რომლებსაც აწყობენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანოები და სხვა ორგანიზაციები. ასე რომ, რესპუბლიკის დედაქალაქისა და ქალაქების — ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავის, გორის, ფოთის, ზუგდიდის, თელავის, ზესტაფონის, ტყიბულის, ჭიათურის, ოზურგეთის, წყალტუბოს, სამტრედიის, ახალციხის და სხვა — მშრომელთა დასაკმაყოფილებლად „საქწიგნს" გასაყიდად რჩება ბეჭდური პროდუქციის დაახლოებით თხუთმეტი-ოცი პროცენტი, რაც ქალაქად მცხოვრებ მშრომელთა სამართლიან გულისწყრომასა და უკმაყოფილებას იწვევს, ქმნის დეფიციტს და ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების განვითარების ხელშემწყობ პირობებს.

აუცილებლად არის გასათვალისწინებელი ისიც, რომ თბილისში და რესპუბლიკის სხვა მსხვილ ქალაქებში განლაგებულია უმაღლეს სასწავლებელთა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების და შემოქმედებითი კავშირების დიდი უმრავლესობა, რის გამოც წიგნზე მოთხოვნილება ქალაქად გაცილებით დიდია, ვიდრე სოფლად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში, ყოველდღიურად ჩამოდის რაიონში მცხოვრები მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც სხვა საგნებთან ერთად წიგნადი პროდუქციის მომხმარებელიც ხდება.

წიგნით ვაჭრობაში პარალელიზმის აღსაკვეთად მიგვაჩნია, რომ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში წიგნით უნდა ივაჭროს „საქწიგნის" სისტემამ, ხოლო სოფლებში „ცეკავშირმა". მითუმეტეს, ასეთი პრაქტიკა უკვე დიდიხანია განახორციელეს ბელორუსიის, მოლდავეთისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა.

ბოლო ხანებში, — აღნიშნა მომხსენებელმა,—ძალიან გახშირდა სხვადასხვა კოოპერატივების შეკვეთით წიგნების გამოცემა. ამ საკითხს, სხვადასხვა მოსაზრების გამო, არ შევეხებოდი, მაგრამ უკვე შეუძლებელი ხდება მათთან ბრძოლა. პირველ ხანებში გადავწყვიტეთ საერთოდ უარი გვეთქვა მათ მიერ გამოცემული ლიტერატურის მიღებაზე, რადგან ისინი არაფრად დაგიდევდნენ წიგნის ნომინალურ თვითღირებულებას და, რა ფასსაც მოისურვებდნენ, იმ ფასს ადებდნენ წიგნს.

„საქწიგნმა" არაერთხელ დააყენა საკითხი იმის თაობაზე, რომ გამომცემლობებმა, რომლებიც კოოპერატივებთან ერთად სცემენ სხვადასხვა დასახელების წიგნად პროდუქციას, გამოსაცემი წიგნის ტირაჟი და ფასი შეუთანხმონ „საქწიგნს" და მათი რეალიზაცია მოახდინონ „საქწიგნის" საშუალებით. გარდა გამომცემლობა „მერანის" გრიფით გამოცემული წიგნებისა, რომელთა ტირაჟის 20% (ურთიერთშეთანხმების საფუძველზე) გამომცემლობის საფირმო მაღაზიაში უნდა გაიყიდოს.

გამომცემლობების მიერ კოოპერატივებთან ერთად გამოცემული წიგნადი პროდუქციის ტირაჟირება და ფასების განსაზღვრა, როგორც წესი, ხდება „საქწიგნთან" შეუთანხმებლად. უფრო მეტიც: მთელი რიგი დასახელებების რეალიზაცია ხდება „საქწიგნის" სისტემის გვერდის ავლით.

ასე მაგალითად: საზოგადოება ცოდნასთან არსებულმა კოოპერატივმა „გლობუსმა" დასტამბა გ. იაშალაშვილის მხატვრულად დაბალი დონის წიგნი „მგლის ბილიკი" (ფასი 8 მანეთი) და, რადგან ჩვენ მიღებაზე უარი ვუთხარით, მთელი ტირაჟი „ბავშვთა სამყაროში", საკოლმეურნეო ბაზრებსა და საზოგადოების თავშეყრის ადგილებზე გაყიდა.

ამავე კოოპერატივმა დაბეჭდა საქართველოს სახელმწიფოს XIII საუკუნისა და XIV საუკუნის რუქები (თვითეულის ფასი 3 მანეთი და 50 კაპიკი) და რეალიზაცია გაუკეთა „აკადემწიგნისა" და ცეკავშირის საშუალებით. კოოპერატივმა „ბ. ბ. ნ."-მა თეატრალური საზოგადოების გამომცემლობის გრიფით დაბეჭდა „ქართული კერძები" და, ღმერთმა უწყის, სად და როგორ გაყიდა.

გამომცემლობა „მერანმა" გამოსცა სხვადასხვა კოოპერატივების მიერ შეკვეთილი წიგნები: ნ. ჟორდანია — „წიგნი ოჯახში საკითხავი" (ტ. 50 ათასი ეგზ. ფასი 2-50 კაპ.), „ეფრემ-ვერდი" (ტირაჟი 100 ათასი, ფასია 5 მან. და 80 კაპ), „ქაქუცა ჩოლოყაშვილი" და სხვა. ასევე კოოპერატივებმა გამოსცეს შ. გვეტაძის „მონანიება", ი. ჩადუნელის „საშობაო მეჯლისი".

ახლახან გამომცემლობა „მეცნიერებასთან" არსებულმა კოოპერატივმა „არმაზმა" წიგნის ფაბრიკაში 100 ათასი ტირაჟით დასტამბა „საქართველოს ისტორია" (საკითხავი წიგნი), ფასი 6 მან. 90 კაპ.

აღნიშნული წიგნის მთელი ტირაჟი ხელშეკრულებით სარეალიზაციოდ გადაეცა ცეკავშირის წიგნით ვაჭრობას, ე. ი. მისი რეალიზაცია არ მოხდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, რუსთავში, თელავში, გორში და ა. შ. იმ ქალაქებში, სადაც ცეკავშირი არ ვაჭრობს.

კოოპერატივმა „ნუგეშმა" გამომცემლობა „მერანისა" და „საბჭოთა საქართველოს" გრიფით 120 ათასი ტირაჟით დასტამბა კრებული „9 აპრილი". „საქწიგნმა" სარეალიზაციოდ მიიღო მხოლოდ 20 ათასი ეგზემპლარი, ხოლო დანარჩენი 100 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა „მერანის" საფირმო მაღაზიაში, ორგანიზაცია-დაწესებულებებში (დანამატებით).

განაწყენებულმა კოოპერატივებმა ზემოთჩამოთვლილი წიგნები „საქწიგნს" საერთოდ აღარ შესთავაზეს და სარეალიზაციოდ გაიტანეს თვით „მერანის" საფირმო მაღაზიაში, საკოლმეურნეო ბაზრებში, საავადმყოფოებში, კიროვისა და თბილისის სხვა პარკებში. ეს წიგნები ზოგან თავის ფასში იყიდებოდა, ზოგან კი სპეკულაციურ ფასებში. ყოველივე ეს კი ბრალდებოდა და დღესაც ბრალდება „საქწიგნის" კოლექტივს, რადგან საზოგადოებას, საუბედუროდ, დღესაც ჰგონია, რომ წიგნით მხოლოდ „საქწიგნი" ვაჭრობს. სინამდვილეში, დღეს წიგნს ოცდაათამდე ოფიციალური თუ არაოფიციალური ორგანიზაცია ყიდის.

არადა, არსებობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 29 დეკემბრის დადგენილება, რომლის თანახმად, კოოპერატივებს უფლება აქვთ ბეჭდვითი პროდუქცია გაყიდონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ დადებული აქვთ ამაზე ხელშეკრულება იმ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან, რომელთათვისაც წიგნით ვაჭრობა წარმოადგენს ძირითად საქმიანობას.

ასეთ ორგანიზაციად კი რესპუბლიკაში ჯერჯერობით მხოლოდ „საქწიგნი" ითვლება.

უკანასკნელ ხანებში ზოგიერთმა კოოპერატივმა ჩვენს გამომცემლობებთან ერთად დაიწყეს ეროვნული და პატრიოტული წიგნების გამოცემა. ეს მისასალმებელი და მოსაწონია. ასეთი გამოცემები ძირითადად განკუთვნილია სტუდენტი ახალგაზრდობისათვის, მაგრამ მათ ისეთ ფასს ადებენ, რომ ასეთ წიგნებზე ხელი არ მიუწვდებათ.

ასე მაგალითად:

კოოპერატივმა „თხის რქამ" დასტამბა მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი წიგნი-ალბომი „შავლეგო", რომლის ფასი გახლავთ 18 მან. და 60 კაპ. აღსანიშნავია, რომ წიგნი რბილ გარეკანშია ჩასმული და მისი ნომინალური ღირებულება, ალბათ, 5 მანეთს არ აღემატება.

კოოპერატივმა „ნუგეშმა" კი გამოსცა 9 აპრილისადმი მიძღვნილი წიგნი, რომელსაც გასაყიდი ფასი 10 მან. დააწერა.

ვფიქრობთ, აქ კომენტარი ზედმეტია.

ჩვენი სახიქადულო აკაკი წერეთლის სახელობის მეტროს ვესტიბიულში წიგნით ვაჭრობს კოოპერატივი „თხის რქა", რომელიც ონის რაიონში ჯიშიანი თხების მოსაშენებლად შეიქმნა. ალბათ, ილფისა და პეტროვის დიდი კომბინატორის ოსტაპ ბენდერის „რქებისა და ჩლიქების" კანტორა გაგახსენდათ, არა?

ამის მაგალითად მინდა მოგახსენოთ, რომ ამას წინათ, საქართველოს მინისტრთა საბჭოში გამართულ თათბირზე გაგვაკრიტიკეს, ვითომ ერთ წიგნში 96 მანეთი ზედმეტი ავიღეთ მომხმარებლისაგან. ამავე დროს, თითქოს 185 წიგნი გვქონდა გადამალული სპეკულაციურ ფასებში გასაყიდად: შემდეგ გაირკვა, რომ ორგანიზაცია, რომელმაც წიგნი ზედმეტ ფასებში გაყიდა და გადამალა, იყო კულტურის ფონდთან არსებული კოოპერატივი „ნახოდკა".

წელს რესპუბლიკის გამომცემლობებმა ერთი-ორად შეგვიმცირეს თემატური გეგმების მიხედვით დასტამბული წიგნების მოწოდება. ახალი წიგნების თაროები თითქმის ცარიელია.

ჩვენი ადგილობრივი გამომცემლობები კი სრულიად სამართლიანად ჩივიან ქაღალდის უქონლობის გამო: თემატური გეგმით გათვალისწინებული თითქმის ყველა წიგნი სტამბაში უძრავად დევს, არ იბეჭდება.

რა ხდება, რატომ არ გააჩნიათ სახელმწიფო გამომცემლობებს თემატური გეგმით გათვალისწინებული წიგნების საბეჭდად ქაღალდი, როცა იგი კერძო პირებს თავზე საყრელად აქვთ?

ამიტომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საჭიროა რესპუბლიკაში შემოსული საბეჭდი ქაღალდის განმკარგულებელი იყოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი, რადგან მისი ძირითადი მომხმარებელი მისი სისტემის საწარმოებია.

მაშინ პირველ რიგში სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული წიგნები გამოვა, შემდეგ კი სხვა საჭირო ლიტერატურა.

ამის შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა: დღევანდელმა გარდაქმნებმა ბევრი რამ ყირაზე დააყენა და ამიტომ მინდა ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებაზე გავამახვილო ყურადღებაო. კერძოდ, მან თქვა, რომ სამწუხაროდ, „საქწიგნის" სისტემაში ჯერჯერობით ვერ აღიკვეთა დეფიციტური წიგნების ზედმეტ ფასებში გაყიდვის შემთხვევები, ყოველთვის კულტურული როდია ვაჭრობის ქსელის მუშაკთა დამოკიდებულება მომხმარებლთან, გამოვლინდა ფაქტები, როცა ნავაჭრი თანხა შემოსავალში არ იყო აღებული და ა. შ. ითქვა იმ ღონისძიებებზეც, რომლებიც „საქწიგნის" ხელმძღვანელობამ ჩაატარა აღნიშნული მანკიერი მოვლენების აღსაკვეთად.

საშინაო პრობლემების გადაწყვეტა „საქწიგნმა" უკვე კარგა ხანია დაიწყო, ბევრ საქმეში გვეხმარება ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობა, მაგრამ არის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა საქართველოს მინისტრთა საბჭოს დაუხმარებლად შეუძლებელია. ესენია:

1. „ცეკავშირთან" ნორმალური ურთიერთობის დამყარება.
2. „საქწიგნის" სისტემის მატერიალურ-ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვა.
3. „საქწიგნის" ავტომეურნეობისთვის სატვირთო ავტომანქანების გამოყოფა.
4. სავაჭრო ქსელის გაფართოება (ამ მხრივ „საქწიგნის" სისტემა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში უკანასკნელ ადგილზეა).
5. სისტემის თანამშრომლების საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესება.
6. საბიბლიოთეკო კოლექტორისათვის ახალი შენობის გამოყოფა.

მომხსენებელმა გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს ბეჭდვსახკომისა და მინისტრთა საბჭოს მხარის დაჭერა და დახმარება ხელს შეუწყობს წიგნის გავრცელებას, მის პროპაგანდას, ვაჭრობის კულტურის ამაღლებას.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს „საქწიგნისა" და გამომცემლობების მუშაკებმა.

„საქწიგნის" რესპუბლიკური თათბირის მუშაობა შეაჯამა ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ რ. ლლონტმა, რომელმაც მხარი დაუჭირა მოხსენებაში წამოყენებულ ძირითად მოსაზრებებს და „ბეჭდვსახკომის" სახელით აღუთქვა სათანადო დახმარება პერსპექტიული ამოცანებისა და პრობლემების გადაჭრაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეტრუსკები და მათი ღმერთები

ეკატერინე კობახიძე

სამყაროს ძველ ცივილიზაციათა შორის ეტრუსკული — ერთ-ერთი საინტერესო და ბოლომდე ამოუხსნელი ფენომენია. მეცნიერებას დღემდე ვერ გაურკვევია, საიდან წარმოიშვნენ ეტრუსკები, როგორ შექმნეს ასეთი განვითარებული კულტურა და, ბოლოს, რატომ გაქრნენ კაცობრიობის ისტორიის სარბიელიდან.

რაც მთავარია, საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ხალხის ნათესავები იყვნენ ეტრუსკები, დღემდე დაუდგენელია. ეტრუსკოლოგიის ამ ძირითადი პრობლემის გადაჭრისათვის მრავალი თეორია შეიქმნა. ერთნი ცდილობდნენ ეტრუსკები მკვიდრ იტალიურ მოსახლეობად გამოეცხადებინათ, მეორენი მათ „მოხულებად" მიიჩნევდნენ.

მეოცე საუკუნის დასაწყისში არსებული თეორიების გვერდით ჩნდება ეტრუსკული სამყაროს ქართველურთან და კავკასიურთან დაკავშირების მოკრძალებული ვარაუდები.

ნ. მარი ეტრუსკული ენის „ნათესავს" კავკასიურ ენებში ეძებდა, ვ. თომსენი — კავკასიურსა და ბასკურში.

კვლევა-ძიების ამ გზას გაჰყვა ს. ფერიც. მან დაასკვნა, რომ ეტრუსკულ ენაში ნამდვილად არსებობს ე. წ. კავკასიური სუბსტრატი.

წინაბერძნულის ბგერათცვლილებების შესწავლით ე. ფურნეე დარწმუნდა, რომ ე. წ. წინაბერძნულ ენობრივ მასალაში უძველეს ეგეოსურ ფენასთან ერთად უნდა გამოიყოს უკვე საკუთრივ ქართველური სუბსტრატი, რომლის გაჩენა ქართველურ ტომთა ეგეიდაში მიგრაციით უნდა აიხსნას. ამით ფურნეე მთლიანად ეთანხმება რ. გორდეზიანის ძირითად დასკვნებს. „ქართველური კომპონენტი, — აღნიშნავს ქართველი მეცნიერი წიგნში „წინაბერძნული და ქართველური", ერთ-ერთი არსებითი უნდა ყოფილიყო ძვ. წ. აღ-ის III ათასწლეულის ეგეოსური, დასავლეთ-მედიტერანული, ცალკეული კულტურისა და ენის ჩამოყალიბების პროცესში".

ქართველური და ეტრუსკული ენების სტრუქტურათა შედარება პოპულარული გახდა ეტრუსკოლოგიური საკითხებით დაინტერესებულ ლინგვისტთა შორის. მაგ. ჯ. გარბინი წერილში „ეტრუსკული ენა და არითმეტიკა" საუბრობს ეტრუსკული ზმნის სტრუქტურის ქართველურთან სიახლოვეზე. შტრნადი სტატიაში „ჰყავს კი ეტრუსკულ ენას ნათესავები" ქართველურს ეტრუსკულის გენეტიკურ ნათესავად აცხადებს.

წიგნში „ეტრუსკული და ქართველური" რ. გორდეზიანი მოკლედ აყალიბებს იმ შედეგებს, რომლებიც გამოვლინდა ეტრუსკულისა და ქართველური ენების კვლევის საფუძველზე.

ბევრი რამ, რაც გამოთქმულია „ქართველური თეორიის" მომხრეთა მიერ, ცხადია, დავასა და ეჭვს იწვევს, მაგრამ ამგვარი „შემობრუნება" ეტრუსკოლოგიაში ცხადყოფს, რომ ქართველურ ენათა მონაცემები აღნიშნული პრობლემებით დაინტერესებულ მკვლევარს ახალ მასალას აწვდის.

ამ ვითარებაში, ცხადია, მნიშვნელოვანია ეტრუსკული ცივილიზაციის ცალკეულ სფეროთა შესწავლა, იმის დადგენა, რამდენად ძირეულია ეტრუსკულ კულტურაში ის ელემენტები, რომელნიც ეტრუსკებს უშუალოდ უკავშირებს ხმელთაშუა ზღვის არასემიტურ, არაინდოევროპულ ხალხებსა და კულტურებს.

ეტრუსკული რელიგიური მსოფლმხედველობა ეტრუსკული ცივილიზაციის ის სფეროა, რომელიც, ჩვენი აზრით, უთუოდ ასახავს ეტრუსკთა კავშირს სხვადასხვა ხალხთა კულტურასთან. იმ ნახესხობათა გვერდით, რომლებიც ეტრუსკულ რელიგიაში შედარებით გვიანდელ პერიოდში მკვიდრდება, აქ არსებობენ უძველესი ფენებიც. საინტერესოა, რომ ეტრუსკული რელიგიის სწორედ ეს უძველესი ფენები, ზოგიერთი მოსაზრებით, უკავშირდება ქართველურ და კავკასიურ სამყაროს.

უპირველეს ყოვლისა, გავეცნოთ ეტრუსკული რელიგიური მსოფლმხედველობის ზოგიერთ საკითხს.

ეტრუსკულ წარმოდგენებს ამ სფეროში მეტად თავისებური ხასიათი აქვს. ეს არის „იმქვეყნიურ" სამყაროზე ორიენტირებულ წარმოდგენათა სისტემა, რომელშიც ყველაფერი განსაზღვრულია წინასწარმეტყველებით. ღმერთი ეტრუსკთა წარმოდგენით, მიწას, ცას, წყალს, მნათობებს, ცოცხალ არსებებს და ბოლოს ადამიანს ექვსი ათასი წლის განმავლობაში ქმნიდა. უკანასკნელ ათასწლეულში შობილ ადამიანს მან არსებობისათვის ექვსი ათასი წელი განუწესა.

ასეთი ფატალური განსაზღვრულობა ადამიანის ცხოვრებასაც გადასწვდა. ადამიანის სიცოცხლე, რომელიც ეტრუსკული წარმოდგენებით, მჭიდროდ უკავშირდებოდა კოსმოსის მდგომარეობას, ზუსტად დაყოფილი იყო თორმეტ შვიდწლეულად — ჰებდომადებად. მათგან პირველი ათი — საამოა საცხოვრებლად, ხოლო ბოლო ორ შვიდწლეულში ადამიანს ჭკუა-გონება ეკარგება და იგი წყდება კოსმიურ წესრიგს.

ადამიანი სამყაროს შუა სართულზე ცხოვრობს. ზედა სართულზე ზეცა მდებარეობს, ქვედაზე — ქვესკნელი. ქვესკნელიცა და ზეცაც ღმერთებითაა დასახლებული. მათთან კონტაქტი ადამიანს მკითხაობით ძალუძს. დივინაციის სამ სახეობათა შორის, როგორიც იყო ელვებზე, საკვირველ მოვლენებზე, სამსხვერპლო ცხოველთა შიგნეულობაზე დაკვირვება, ყველაზე პოპულარული იყო ღვიძლზე მკითხაობის ინსტიტუტი, რომელსაც რომაელები ჰარუსპიციას უწოდებდნენ. თვით სიტყვა ჰარუსპიციას უკავშირებენ ასურულ ჰარს („ღვიძლი") — ეს თვალსაზრისი გავრცელდა, რაკი ეტრუსკული და ბაბილონურ-ასურული ჰარუსპიციის ინსტიტუტებით ძლიერ გვანან ერთმანეთს. ძველ ბაბილონსა და ასურეთში ნაპოვნია მრავალრიცხოვანი თიხის ფირფიტები, რომელზეც ამოტვიფრულია კონკრეტული მითითებები ღვიძლის თითოეულ ნაწილთან დაკავშირებით. მკითხაობის დროს მნიშვნელობა ენიჭებოდა ღვიძლის ცალკეული უბნის შესწავლას.

რატომ ჰქონდა ღვიძლს ასეთი დიდი მნიშვნელობა ძველ ხალხთა წარმოდგენებში? ეტრუსკების აზრით, ღვიძლი ადამიანის სულის კონკრეტული ადგილსამყოფელი იყო (ანალოგიური წარმოდგენები არსებობს ასურეთსა და ბაბილონში. იუდაიზმი კი ღვიძლსა და გულს უკავშირებდა ადამიანის ემოციებსა და ინტელექტს). ცხოველის ღვიძლი მსხვერპლშეწირვისას გამოხატავდა კოსმოსის სურათს. ღვიძლის შესწავლით ქურუმები არკვევდნენ ღვთიურ ნებას.

ღვთაებრივ ნიშნებზე დასაკვირვებლად ჰარუსპექსი აგებდა გარკვეულ სივრცეს, რომელსაც ორიენტაციის მეშვეობით მართავდა ცის ტაძარი, რომელიც მარცხენა და მარჯვენა (არაკეთილმოსურნე და კეთილგანწყობილ) მხარეებად იყო გაყოფილი, სხვადასხვა ღვთაების „სახლებად" ნაწილდებოდა.

ღვიძლის დივინაცია ძველი აღმოსავლეთის და დასავლეთის ცივილიზაციათა კავშირზე მეტყველებს. მკითხაობის ეს სახეობა თანდათანობით ვრცელდება ძველი ევფრატის კულტურის მეშვეობით მცირე აზიასა და ეტრურიაში, იქიდან — საბერძნეთსა და რომში.

ჰამურაბის დროიდან უკვე არსებობს ცნობები ჰეპატოსკოპიის შესახებ, — ცნობილია ღვიძლის მოდელი, რომელიც ბაბილონის მარდუკის ტაძართან არსებულ სკოლაში გამოიყენებოდა. მსგავსი მოდელები ღვიძლისა ნაპოვნია ბოგაზკეასა და მარიში, ხეთურ დასახლებებში.

ეტრუსკებიდან ჰარუსპიცია რომში გავრცელდა. ეს ლიტერატურული წყაროებიდანაცაა ცნობილი (ციცერონი, ლივიუსი, პლინიუსი, პლუტარქე).

სამსხვერპლო ცხოველის შიგნეულობის შესწავლა მკითხაობის მიზნით გავრცელებული იყო საბერძნეთშიც.

ევრიპიდეს „ელექტრაში" არის ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი. ეგისთე, ორესტესთან ორთაბრძოლის წინ, ღვიძლზე მკითხაობას მიმართავს. საინტერესოა, რომ ქართველურ სამყაროსთან ნათესაობის მქონე პრომეთეს კულტი გარკვეულწილად უკავშირდება ჰარუსპიციას — ესქილე პრომეთეს დივინაციის მცოდნედ აცხადებს. როგორც ჩანს, ბერძნული სინამდვილისათვის ეს უცხო ელემენტი უძველეს წარმოდგენათა გავლენით შეიქმნა. აღნიშნულია ისიც, რომ, როგორც ქართულ, ისე ბერძნულ მითოლოგიაში კლდეზე მიჯაჭვულ პრომეთე-ამირანს არწივი სწორედ ღვიძლს უკორტნის.

მრავალი ეტრუსკული ღმერთის სახელწოდება სწორედ ღვიძლზე მკითხაობის მეშვეობით არის ცნობილი. 1877 წელს ეტრუსკების ძველ სამოსახლოზე — იტალიის ქალაქ პიაჩენცაში აღმოჩნდა ბრინჯაოს ღვიძლი, რომელზედაც რამდენიმე აქამდე უცნობი ღმერთის სახელია ამოკვეთილი. ღვიძლის ერთი მხარე 44 „სახლადაა" გაყოფილი. თითოეულ (ხანდახან კი ორორ) „სახლს" ცალკეული ღმერთი განაგებს. ღვიძლის მეორე მხარე მზისა და მთვარის ორ ტოლ მარჯვენა და მარცხენა ნაწილადაა გაყოფილი.

ბრინჯაოს ღვიძლზე აღნუსხული სახელები მზისა და მთვარის, მარცხენა და მარჯვენა მხარეთა გათვალისწინებით, შეგვიძლია სამ ჯგუფად დავყოთ: „კეთილგანწყობილ", „ავისმომასწავებელ" და ე. წ. „გარდამავალ" (ზოგჯერ სიკეთის, ზოგჯერ კი უბედურების მომტან) ღმერთებად.

პიაჩენცაში ნაპოვნი ღვიძლის და სხვა არქეოლოგიური და ლიტერატურული მონაცემებით ჩვენ შეგვიძლია თავი მოვუყაროთ სახელწოდებებს იმ კულტებისა, რომელთაც თაყვანს სცემდნენ ეტრურიაში.

ეტრუსკულ პანთეონს სხვადასხვა ხალხთა რელიგიების გავლენის კვალი ატყვია. აქ გვხვდება ბერძნული, რომაული და ძველი აღმოსავლეთის სარწმუნოებრივი სამყაროდან შემოსული ღმერთები.

ბერძნულ რელიგიასთან ნათესაობას ავლენს რამდენიმე ეტრუსკული ღვთაება. სესხების მიზეზი ბოლომდე გაურკვეველია, მაგრამ ეტრუსკულ წარმოდგენებზე, როგორც ფიქრობენ, დიდი გავლენა მოახდინა ბერძნული მითოლოგიის პოპულარობის გაძლიერებამ. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით ჩვ. წ. აღ-მდე VIII საუკუნეში.

აქ დავასახელებთ რამდენიმე ეტრუსკულ ღვთაებას, რომლის კულტის გაჩენა ეტრურიაში უშუალოდ, ბერძნული გავლენით უნდა აიხსნას.

ესენია: აიტა მიწისქვეშეთის მთავარი ღმერთი (ბერძ. აიდი — ქვესკნელის და გარდაცვლილთა მეუფე. სამყაროს გამგებელი) აპლუ, მისი ფუნქციები ეტრუსკულ რელიგიაში უცნობია აპლუ (შეადრ. ბერძნ. აპოლონი, ხელოვნების მფარველი ღვთაება), არტემესი (ბერძნ. არტემისი — ნაყოფიერების და აღმოცენების ღმერთქალი), ატონისი (ბერძნ. ადონისი — ბუნების ღვთაება, რომელიც გამოხატავს მცენარეულობის აღმოცენებასა და კვდომას), ერუსი (ბერძნ. ეროსი — სიყვარულის ღმერთი), ჰერმე (ბერძნ. ჰერმესი, მეხაქონლეთა, მოგზაურთა, ვაჭართა მფარველი ღვთაება), ფერსეფნე (ბერძნ. პერსეფონე, აიდის განუშორებელი მეუღლე), ხარუნი (ბერძნ. ხარონი, ჰადესის მკვიდრი, აქერონტზე მიცვალებულთა ნავით გადამყვანი).

რომაულ სინამდვილესთან გარკვეულ ნათესაობას ავლენს ღმერთთა შემდეგი სახელები: მარის (რომაული მარსი — ომის ღმერთი), მენრვა (რომ. მინერვა—ცის, ნაყოფიერების, მიწიერ საქმეთა მფარველი) სელვა (რომ. სილვანუსი — ტყეთა და მდელოთა, მწყემსთა მოსარჩლე ღმერთი), სატრეს (რომ. სატურნუსი — მიწათმოქმედების ღმერთი), ამინთ (ნაყოფიერების, აღმოცენების მფარველი ღვთაება, რომელიც მიწისქვეშეთში ბინადრობს), რომაული ამორ (სიყვარულის ღმერთი), ნეთუნს (რომ. ნეპტუნი — ზღვათა გამგებელი), უნი (რომ. იუნონა—ქორწინების და მეუღლეთა მფარველი ღმერთქალი, იუპიტერის მეუღლე), უსილ (რომ. სოლ — „მზე").

ამ შემთხვევაში, ბერძნულისაგან განსხვავებით, გაცილებით რთულია დავადგინოთ სესხების წყარო. გაურკვეველია, ეტრუსკებმა გაითავისეს ზოგიერთი რომაული ღმერთი, თუ, პირიქით, რომაელებმა ისესხეს ეტრუსკებისაგან ამ ღვთაებათა სახელწოდებანი და კულტები.

როგორც აღვნიშნეთ, რომაული და ბერძნული გავლენით ეტრუსკულ რელიგიაში „ახალი" ფენები წარმოიშვა. ეს ფენები ეტრუსკული სარწმუნოებრივი სამყაროსათვის არაორგანული და მეორეულია. უცხოენოვანი სინამდვილიდან შემოსული ღმერთების გვერდით ეტრუსკულ რელიგიაში არსებობდნენ უძველესი კულტები, რომელთა თაყვანისცემა ადრეულ პერიოდს უკავშირდება.

სწორედ ამ უძველესი ღმერთების კულტები ასახავენ ეტრუსკული რელიგიის და, საერთოდ, თვით ეტრუსკული ცივილიზაციის კავშირს იმ ხალხებთან, რომლებთანაც ეტრუსკებს გარკვეული ნათესაობა აკავშირებდათ.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ არსებობს ვარაუდები, რომლებიც ეტრუსკული რელიგიის ამ უძველეს ფენაში პოულობენ ქართველურ სამყაროსთან ნათესაობის დამადასტურებელ საბუთებს.

როგორც ცნობილია, ღმერთიმნათობი სარწმუნოების უძველეს შრეს ეკუთვნის. ეტრუსკული მზისა და მთვარის ღვთაებები — კათ და ტივრ არა მხოლოდ ძველი, არამედ უმნიშვნელოვანესი ღმერთები იყვნენ ეტრუსკულ პანთეონში.

მით უფრო საინტერესოა, რომ ორივე მათგანი „მეცნიერთა ვარაუდით, ენათესავება ქართველურ ენობრივ სამყაროს. არსებობს მოსაზრება, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს ეტრუსკულ კათს, ბერძნულ სიტყვა კათაროსს (წმინდა, სუფთა) და ქართველურ ძირს კათ- (ქათ, ქათქათი, კაშკაში, ლაცლაცი), (ძალიან თეთრი").

მთვარის ღვთაება ტივრ საინტერესო პარალელებს გვიჩვენებს იმავე ენობრივ სინამდვილესთან. — არსებობს ვარაუდი, რომლის მიხედვით ტივ||ტიუ უკავშირდება ქართულ თთუეს („მთვარე"). მკვლევარი ტივრ ფუძიდან გამოყოფს ტი-ძირს, რომელიც დადასტურებულია აგრეთვე, ეტრუსკულ სიტყვებში ტინ და თესან. ეს ძირი შედარებულია ქართველურ ფუძეზე თე-სთან, რომელიც საერთოქართველურ დონეზეც დასტურდება (ქართ. თჳთე||თთუე, თუე, მეგრ.-ჭან. თუთა, სვან. დოშდულ).

უძველეს ეტრუსკულ ღმერთთა რიცხვს ეკუთვნის ტინია. მას ვხედავთ ეტრუსკული პანთეონის სათავეში. მისი ძალაუფლება, ბერძნული და რომაული ჭექა-ქუხილის მბრძანებელი სხვა ღმერთების „მოძალების" მიუხედავად, შეურყეველი აღმოჩნდა. სხვადასხვა მოსაზრებათა გვერდით, არსებობს ვარაუდი ამ სიტყვის და, აგრეთვე იმავე ფუძის საზოგადო სახელის — ტინიას („დღე") ეტიმოლოგია დავუკავშიროთ სლავურენოვან სამყაროს) გამოთქმულია ჰიპოთეზა ტი-ფუძის ქართულ „თენება" ზმნასთან მსგავსების შესახებ. ქართული ზმნის ეს ფუძე აღდგება საერთო ქართველურ დონეზე (მეგ.-ჭან.-თან.-, სვან თენ-თნ-).

ქართველურ სამყაროსთან ნათესაობის კვალი აღმოჩენილია სხვა ეტრუსკული ღმერთების სახელწოდებებშიც. კალუ, სიკვდილის ღმერთი ეტრუსკულ რელიგიაში, სხვა უძველეს ღმერთებთან. ტუხულკა, ხარუნსა და ვეტილსლთან ერთად, მიწისქვეშეთში სახლობს. კალუ სიკვდილის ღმერთია. მისი გამოსახულებები ხშირად გვხვდება საფლავის მხატვრობაში. ზოგიერთი მკვლევარი კალუსს ხეთურ სიტყვა ჰალიბუსს („სიღრმე, ქვესკნელი") უკავშირებს. ამ მოსაზრებასთან ერთად არსებობს ვარაუდი კალ-ძირის ქართულ-ზანურ კალ („დაკლება, კლება") ფუძესთან ნათესაობის შესახებ (ქართ. კალ, კლ, მეგრ., კორ, სან, კლ) ბერძნული ზმნა კელოო, კელოომაი (დღენაკლის შობა, ადრე დაბადება"), რომელიც მოცემულ ეტრუსკულ სიტყვასთან გარკვეულ მსგავსებას ავლენს, აგრეთვე დაკავშირებული უნდა იყოს ქართველურ კალ- ძირთან.

ბოლომდე დაუდგენელია ეტრუსკული ღვთაება ტესის ფუნქციები. ამ ღვთაების სახელწოდება ჩანს, ეგვიპტეში ნაპოვნი მუმიის სახვევებზე (დღევანდელი ადგილმდებარეობის მიხედვით, იგი ზაგრების მუმიის სახელწოდებითაა ცნობილი).

საინტერესოა, რომ ეტრუსკულ ენაში არსებობს ზმნური ფუძე ტეს-, რომელსაც, როგორც ამაზე პირგიში ნაპოვნი ბილინგვა მეტყველებს, აქვს „დასაფლავების, სამარხში მოთავსების" მნიშვნელობა.

შესაძლებლად მიგვაჩნია ტესფუძე დავუკავშიროთ ქართულ ფუძეს თეს- („დათესვა, თესლის მიწაში მოთავსება"), რომელიც ძველ ქართულსა და, საერთოდ, მთელს ქართველურ ენობრივ სამყაროში საკმაოდ პროდუქტიული ფუძეა.

აღსანიშნავია, რომ ეტრუსკულ ტეს- ფუძეს, როგორც ეს ზაგრების მუმიის სახვევების რიტუალური ტექსტისა და პირგის ბილინგვის ფინიკიური წარწერიდან ცხადდება, აქვს მნიშვნელობა „მიწაში მოთავსების, დაფლვის, რომელიც ხელმეორედ მოსვლას გულისხმობს" — ეს მნიშვნელობა თანხვდება ქართული ზმნის „თესვას" სემანტიკურ განსაზღვრას.

ქართულ სამყაროსთან გარკვეულ პარალელებს ვხედავთ კიდევ ერთ ღვთაებაში. მას ეტრურიაში ანის ეძახდნენ.

ანი პოპულარული იყო ეტრუსკებთან და იტალიაში მოსახლე სხვა ხალხების რელიგიაშიც.

არსებობს ცდა სვანური ღვთაება ჲანის, რომაელთა იანუსისა და ეტრუსკიული ანის ერთმანეთთან დაკავშირებისა. თავის დროზე, ივანე ჯავახიშვილი შუმერთა ცის ღვთაება ანის სახელწოდებიდან გამოყოფილ ან- ელემენტს უნათესავებდა მეგრელთა ღვთაება ანთარის, ხევსურთა ანატორისა და აფხაზთა აანთარის ან-ს.

ჩვენ შევეცადეთ გაგვეცნო მკითხველისთვის ეტრუსკული პანთეონის კვლევის თანამედროვე ვითარება.

ვფიქრობთ, ეტრუსკული ცივილიზაციის ცალკეული სფეროების შესწავლა გააადვილებს ეტრუსკოლოგიის ძირითადი პრობლემების კვლევას. ქართველური თეორია, რომელიც ეტრუსკოლოგიაში უკანასკნელ ხანს პოპულარული შეიქნა, ძიებს ამ სფეროში გარკვეულ წარმატებებს აღწევს.

შედეგები ცხადყოფს, რომ ეტრუსკოლოგიის ძირითადი პრობლემების ასეთ კვლევას გარკვეული პერსპექტივები აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ ეროვნების აღდგენაზე

ამ ბოლო დროს გვარების ეროვნულ წარმომავლობის შესწავლას, ცალკეულ პირთა მიერ საკუთარი ეროვნული ძირების ძიებას დიდი ყურადღება ეთმობა. ეს საქმე საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს. არსებობს სხვადასხვაგვარი მოსაზრებები. დღეს გვარების აღდგენის შესახებ ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი **როლანდ თოფჩიშვილი.**

— ამ ბოლო დროს თბილისის მმაჩის ბიუროებსა თუ მილიციის სარაიონო განყოფილებებში მომრავლდნენ არაქართველი გვარების მქონე მომსვლელები, რომლებიც მოითხოვენ ქართული გვარების მიღებას. რამდენადაც ვიცი, ეს პროცესი თქვენი უშუალო ჩარევით მიმდინარეობს. ამის შესახებ უკვე დაიბეჭდა პრესაში, მაგრამ მაინც გთხოვთ, კიდევ ერთხელ გვიამბოთ თქვენს საქმიანობაზე.

**— უპირველეს ყოვლისა, მინდა მოგახსენოთ, რომ არამარტო ახლა, არამედ წლების განმავლობაში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართავდა იუსტიციის სამინისტროსა და მმაჩის რაიონულ განყოფილებებს, რათა აღედგინათ წინაპართა ქართული გვარები და ეროვნება, მაგრამ უშედეგოდ, რადგან საკავშირო მინისტრთა საბჭოს 1974 წლის ინსტრუქცია მკაცრად კრძალავს მოქალაქის პირად იურიდიულ დოკუმენტში რაიმე ცვლილების შეტანას.**

**დღეს საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნის პროცესი ამ სფეროსაც შეეხო. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გაითვალისწინა მის სახელზე გაგზავნილი აურაცხელი განცხადებები, სადაც მოქალაქეები გვარებისა და ეროვნების აღდგენას თხოულობდნენ. მეცნიერთა დიდი ჯგუფისგან შეიქმნა კომისია, რომლის მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ ისტორიული ბედუკუღმართობის გამო საქართველოში ქართველთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაკარგა ქართული გვარი და ეროვნება (სხვათაშორის, ეს ქართველი ისტორიკოსებისათვის ახალი ამბავი არ ყოფილა). დასკვნა ბუნებრივი გახლდათ — უნდა მომხდარიყო ქართული გვარებისა და ეროვნების აღდგენა (და არა სხვა ეროვნების გვარების ქართულად გადაკეთება).**

**საერთოდ, ქართველი ხალხი არასოდეს ხალისით არ შეხვედრია სხვა ეთნოსის წარმომადგენელთა ქართულ ეთნოსში შემოსვლას. ასეთი ტრადიციული დამოკიდებულება დღესაც გრძელდება. მინდა გავიმეორო, რომ დღეს მიმდინარე პროცესები მხოლოდ და მხოლოდ ქართული გვარისა და ქართული ეროვნების აღდგენას ითვალისწინებს.**

**კომისიის მუშაობაზე მოგახსენებდით. ცნობილი ისტორიკოსებითა და იურისტებით დაკომპლექტებული კომისიის დასკვნის შედეგად იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ გასული წლის 19 მაისს მიიღო დადგენილება ისტორიული ბედუკუღმართობით დაკარგული ქართული გვარებისა და ქართული ეროვნების აღდგენის შესახებ. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს იუსტიციის სამინისტრომ და მინისტრმა, ბატონმა ვიქტორ შარაშენიძემ, მისმა მოადგილემ ბატონმა ალექსანდრე ტალიაშვილმა, სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილემ ცუცქი კვატაშაძემ.**

**რაც შეეხება ჩვენს საქმიანობას, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეროვნებადაკარგული მოქალაქეები წლების განმავლობაში მიმართავდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტს და დაჟინებით მოითხოვდნენ თავიანთი გვარების ისტორიის, სადაურობა-წარმომავლობისა და ეროვნული კუთვნილების გარკვევას. ასე რომ, ქართველი ისტორიკოსები მოუმზადებელნი არ შეხვედრიან ამ პროცესს. რელიგიური მომენტის გამო ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილის სხვა ეროვნებისათვის მიკუთვნების შესახებ ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოაქვეყნეს მეცნიერულად დასაბუთებული ნაშრომები ალექსანდრე ხახანაშვილმა და ზაქარია ჭიჭინაძემ, შემდგომში — გ. მაისურაძემ. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისტორიკოს ჯ. კოპალიანის ნაღვაწი. პირადად მე დიდძალი საარქივო მასალა მაქვს გამოვლენილი და ამის შესახებ რამდენიმე წერილიც დავბეჭდე. ამ პუბლიკაციებმა, ალბათ, ერთგვარი ბიძგი მისცა ჩვენს ინსტიტუტში მოქალაქეთა მოზღვავებას. მოქალაქეები მოგვმართავენ განცხადებებით და ჩვენ შეძლებისდაგვარად ვაძლევთ მეცნიერულ დასკვნას ამა თუ იმ გვარის წარმომავლობის შესახებ.**

**ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს მიერ გაცემული თითოეული დასკვნა ემყარება საისტორიო წყაროებს (ძირითადად XIX საუკუნეში ჩატარებული კამერალური აღწერების მასალებს) და ეთნოგრაფიულ მონაცემებს, რომლებიც მრავლად მოვიპოვეთ ბოლო ჩვიდმეტი წლის განმავლობაში. ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირად ჩვენთან მოსულ მოქალაქეებს დასკვნას ვერ ვაძლევთ და უარით ვაბრუნებთ უკან, რადგან მათი გვარების ქართული წარმომავლობის შესახებ საარქივო მონაცემები არ გაგვაჩნია.**

— ალბათ გვარშეცვლილი ქართველები უმეტესად გრიგორიანელები არიან, რომელთაც სომხური გვარები აქვთ...

**— დიახ, გვარშეცვლილი ქართველების უმეტესი ნაწილი გრიგორიანული (მონოფიზიტური) სარწმუნოებისანი იყვნენ. ისინი XIX საუკუნეში სომხებად ჩაწერეს. საერთოდ, ცნობილია, რომ ქართველი ეროვნების ადამიანთა სხვა ეროვნებისადმი მიკუთვნებას რელიგია განაპირობებდა. ძველ საქართველოში ეროვნება და სარწმუნოება ფაქტიურად ერთმანეთთან იყო გაიგივებული. გვიანფეოდალურ პერიოდში ქართველ ხალხში სხვადასხვა რელიგია გავრცელდა. ქართველთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მიიღო გრიგორიანელობა (მონოფიზიტობა), რომელიც სომეხთა ეროვნული სარწმუნოება იყო. ამ რწმენის ქართველებს უკვე სომხებად მიიჩნევდნენ. ქართველთა გაგრიგორიანელობა-გასომხება განსაკუთრებით გახშირდა მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის კოლონიად გადაიქცა და ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ავტოკეფალია დაკარგა (1811 წ.). დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში სომხურ-გრიგორიანულმა ეკლესიამ ყოველ მეორე სოფელში თავისი საყდრები გახსნა და თითოეულ ამ სოფელში გაიჩინა 2-3 გვარი მაინც, რომლებიც მის სარწმუნოებას აღიარებდნენ. თუმცა, საერთოდ ეს პროცესი უფრო ადრე დაიწყო. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა ქვემო ქართლის მოსახლეობის შესახებ: „ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა". 1721 წლის ქვემო ქართლის აღწერის დავთარი სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ აქ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გრიგორიანელები იყვნენ. ამ დავთარში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გვარებითაა ჩაწერილი. ესენი ქართველი გრიგორიანელები არიან (მოგეხსენებათ, გვარები ქართველ ხალხში ოდითგან არსებობდა), სომხები კი მხოლოდ სახელებით, გვარების გარეშე არიან მოხსენიებულნი, რადგან სომხებს XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე გვარები არ ჰქონდათ.**

**სარწმუნოების შეცვლის მიზეზი სხვადასხვაგვარი იყო. ჯერ ერთი, სომხური ეკლესიის მესვეურნი დაინტერესებულნი იყვნენ სამწყსოს გამრავლებით და ფართო მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდნენ; გარდა ამისა, ქართველი მეფეები გლეხებს სწირავდნენ ხოლმე ეჩმიაძინისა და ახპატის მონასტრებს; აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ თავად-აზნაურთა რამდენიმე გვარის ზოგიერთი შტო გრიგორიანული სარწმუნოებისა იყო. მათ თავიანთ ქართველ ყმებს სარწმუნოება შეაცვლევინეს.**

**სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ქართველთა გაგრიგორიანება-გასომხების მიზეზი თურქთა აგრესია იყო. დიდი როლი შეასრულეს სომეხმა ტერტერებმაც, რომელთაც XIX საუკუნის დამდეგიდან ისარგებლეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვით და ქართლ-კახეთის სოფლებს მოედვნენ...**

— თქვენ აღნიშნეთ, რომ გვარისა და ეროვნების შეცვლა რელიგიასთან იყო დაკავშირებული. გასაგებია, რომ გრიგორიანელები სომხებად დაიწერნენ, მაგრამ რამ განაპირობა კათოლიკე — ე. წ. „ფრანგი" ქართველების სომხებად მიჩნევა?

**— ისევ და ისევ ისტორიასა და ერის წარსულში ჩაუხედაობამ. რომის პაპმა ქართველი კათოლიკენი სომხურ კათოლიკურ ეკლესიას დაუქვემდებარა, რომელიც თავისი სპეციფიკურობით გამოირჩეოდა მთელი დანარჩენი კათოლიკური სამყაროსაგან. აქ, რომაულ-კათოლიკური ეკლესიისგან განსხვავებით, წირვა-ლოცვა და საქმის წარმოება სომხურ ენაზე მიმდინარეობდა. ქართველ კათოლიკეებს გაუჩნდათ ახალი, სომხურძირიანი გვარსახელები. ზოგიერთი არაქართველი მეცნიერი დღესაც ცდილობს, ქართველ კათოლიკეთა სომხური წარმომავლობა დაამტკიცოს, მაგრამ მათი არგუმენტები სუსტია და წინასწარ აკვიატებულ მოსაზრებებს ეყრდნობა. ქართველ კათოლიკეთა ქართული წარმომავლობა კარგადაა დასაბუთებული ცნობილი ქართველი კათოლიკეს, მიხეილ თამარაშვილის ნაშრომში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", რომელიც სამწუხაროდ, მხოლოდ ერთხელ, 1902 წელსაა გამოცემული.**

**1886 წლის საოჯახო სიებში ქართველ კათოლიკეებს ეროვნების გრაფაში ყველას ქართველი აქვს მიწერილი, რაც, რა თქმა უნდა, მათი ნებისა და თვითშეგნების გამომხატველია. ის, ვინც დღეს ქართველ კათოლიკეებს სომხებს უწოდებს, რბილად რომ ვთქვათ, ვერ ერკვევა ეთნიკური ისტორიის თეორიაში.**

**ქართველი კათოლიკეების სხვა ეთნოსში გადასვლის მრავალი ფაქტი დაუდასტურებია სამხრეთ საქართველოში თავისი მოგზაურობისას ნიკო მარსაც. საინტერესოა ამ მხრივ ნიკო მარის მეუღლის სოფიო მარის ბროშურა „ნიკო მარის მოგზაურობა სამხრეთ საქართველოში" (დაბეჭდილია 1940 წელს, თბილისში, რუსულ ენაზე), სადაც სოფიო მარს მოჰყავს ამონაწერი ნიკო მარის დღიურიდან: ვრცელი ციტატით თავს არ შეგაწყენთ და ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ: ნიკო მარს სამხრეთ საქართველოში მეგზურად ახლდა ვინმე ამბარცუმ ტოისუნწჯიანცი, სომეხი, სომხურ-კათოლიკური სარწმუნოებისა. ამბარცუმის სიტყვით, ის სომეხია და სომხურის გარდა არც ერთი ენა არ იცის, მაგრამ წარმომავლობით ქართველია, მამამისს ქართულიც სცოდნია და სომხურიც, პაპა კი მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა. ასე თანდათანობით გადადიოდნენ ერთი ერის წარმომადგენლები სხვა ეთნოსში...**

**ისიც მინდა აღვნიშნო, რომ მსოფლიოში არსად არ არსებობს აბსოლუტურად წმინდა სისხლის ერი. ასე რომ, ეს ბუნებრივი პროცესია და ამის აღიარების არ უნდა გვეშინოდეს.**

— ქართველ მაჰმადიანებზე რას იტყოდით?

**— გრიგორიანელობას და კათოლიკობას თუ ნებაყოფლობით იღებდნენ, ჩვენში, მაჰმადიანობას მახვილით ავრცელებდნენ. ქართველთა გარკვეული ნაწილი ამ სარწმუნოებასაც ეზიარა საქართველოს ზოგიერთ პროვინციაში. განსაკუთრებით მინდა გამოვყო სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი ქართველები, რომელთაც კავშირი გაწყვიტეს ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან და თურქული თვითშეგნება ჩამოუყალიბდათ. რა თქმა უნდა, თურქული თვითშეგნების გამო ისინი დღეს თურქები არიან.**

**ამ ბოლო დროს, როცა ქართველმა საზოგადოებამ სამართლიანად უარი თქვა თურქების ჩამოსახლებაზე, გაისმა ხმები, რომ ისინი წარმომავლობით ქართველები არ არიან, რომ მათ არც ერთი წვეთი ქართული სისხლი არა აქვთ. ეს არ არის სწორი. ისტორიულად ფაქტია, რომ ე. წ. „თურქი მესხების" 80 პროცენტი ქართული წარმომავლობისაა, მაგრამ ვიმეორებ — ისინი დღეს ქართველები აღარ არიან (ძალზე მცირე გამონაკლისის გარდა) და არც მომავალში გაქართველდებიან.**

**ინგილოებზეც მინდა მოგახსენოთ. ეს ჩვენი დიდი ტკივილი და საწუხარია. საინგილოში მცხოვრები ქართველები დიდი ხანია ამაოდ იბრძვიან თავიანთი გვარებისა და ეროვნების ასაღდგენად. 1989 წლის აღწერისას ბევრმა მათგანმა ეროვნების გრაფაში „ქართველი" ჩააწერინა, მაგრამ, როგორც ჩანს, საკავშირო აღწერა, XIX საუკუნეში მეფის რუსეთის მიერ ჩატარებული აღწერისაგან განსხვავებით, იმდენად არამეცნიერულად ტარდება, რომ სიყალბის ჩადენა სულ ადვილად შეიძლება. ამას უმიზეზოდ როდი მოგახსენებთ. 1979 წლის აღწერით აზერბაიჯანში 11 ათასი ქართველი (მართლმადიდებელი ინგილოები) იყო აღრიცხული. მას შემდეგ, რაც შარშან მაჰმადიანმა ინგილოებმაც ეროვნების გრაფაში „ქართველი" ჩააწერინეს, ქართველთა რაოდენობას წესით აქ 50-60 ათასისათვის უნდა გადაეჭარბებინა. მაგრამ სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ აღმოჩნდა, რომ დღეს აზერბაიჯანში ქართველი მოსახლეობის რიცხვი 14 ათასია, სინამდვილეში ეს 14 ათასი მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველები არიან (ათ წელიწადში მათი რიცხვი სამი ათასით გაზრდილა). რაშია საქმე? რატომ არ აისახა სტატისტიკაში ის ფაქტი, რომ მაჰმადიანი ინგილოების უმეტესობამ ქართველად ჩააწერინა თავი?**

**სხვათაშორის, მაჰმადიანი ქართველები საინგილოში აზერბაიჯანელებად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩაწერეს. XIX ს-ის მოსახლეობის ყველა აღწერის დავთარში ისინი ქართველებად არიან ჩაწერილი. მაგალითად, 1859 წლის აღწერაში მათ მიწერილი აქვთ: „Казенные крестьяне грузинского племени, так называемые Энгилойцы" (იხ. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 254 ან 2, საქ. № 2190). საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიან ინგილოებს, რომლებიც სასწავლებლად მუდმივად არიან ჩამოსული, ჩვენ შესაბამის დასკვნებს ვაძლევთ ეროვნებისა და გვარის აღსადგენად, თუმცა მათთვის ეს პროცესი შედარებით რთულია, რადგან ჩვენი მმაჩის ბიუროები სთხოვენ დაბადების ადგილიდან (აზერბაიჯანიდან) სამეტრიკო ჩანაწერის მოტანას. ასეთ საბუთს კი ინგილოებს არავინ აძლევს. როგორც ვიცი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს, საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანი ინგილოების გვარებისა და ეროვნების აღდგენა გააიოლოს. საყურადღებოა, რომ აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში) მცხოვრები მაჰმადიანი ქართველები დიდი ხანია თხოულობენ ქართული ეროვნების და გვარების აღდგენას. წლების განმავლობაში მათ უარს ეუბნებოდნენ. მაგრამ, რამდენადაც ცნობილი გახდა, ახლა სთავაზობენ ინგილოებად ჩაწერას. ჩემი აზრით, ასეთ ტენდენციას ყველა ქართველი წინ უნდა აღუდგეს. არ უნდა დავუშვათ ქართველთა კონფესიური ჯგუფის ცალკე ეროვნებად ჩაწერა. „ინგილო" — ასეთი ერი არასოდეს არ არსებულა და არც ახლა არსებობს, ისინი ქართველები არიან.**

— გვარისა და ეროვნების აღდგენასთან დაკავშირებით, ალბათ, მმაჩის ბიუროებსაც ბევრი საზრუნავი გაუჩნდათ...

**— რაღა თქმა უნდა. მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ მმაჩის ბიუროების ბევრი თანამშრომელი ერთობ კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ მუშაობს. ამჯერად ჩამოთვლისაგან თავს შევიკავებ, მაგრამ მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო მმაჩის რესპუბლიკური არქივის გამგის ც. ხომერიკის პატრიო-**
**ხანი და პატრიოტული საქმიანობა. საერთოდ, ამ ორგანოს თანამშრომლებს ძალზე მოემატათ საქმე. კარგი იქნებოდა, თუ შესაბამისი უწყებები მათთვის ხელფასის მომატებასა თუ შტატების დამატებაზე იმსჯელებდნენ.**

— მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გკითხოთ — რედაქციამ რამდენიმე წერილი მიიღო, რომელთა ავტორები ეჭვს გამოთქვამენ ზოგიერთი არაქართულძირიანი ქართული გვარის ქართულ წარმომავლობაში. რამდენად საფუძვლიანია ეს ეჭვი?

**— ამ თვალსაზრისით ბოლო დროს ჩვენს ხალხში ერთობ არასასიკეთო და არაჯანსაღი ტენდენცია გამოიკვეთა. ჩვენ ერს დღეს შეკავშირება, შემჭიდროება სჭირდება და არა დაშლა, დაქუცმაცება და თანაც იმის მიხედვით, ვის გვარს ქართული ძირი აქვს და ვისას — არა. ქართულძირიანი და არაქართულძირიანი გვარების წარმომადგენლები ყველანი ქართველები არიან. ქართველს, რომლის გვარსაც არაქართული ძირი აქვს, გული არ უნდა მოუკლა ზედმეტი და ხშირი წამოძახებით: „ქართველი არა ხარ". ეს ჩვენი ხალხის ეროვნული თვითშეგნების განვითარების დაბალი დონის მაჩვენებლად მიმაჩნია. მე რომ მკითხოთ, არ არსებობს კარგი და ცუდი გვარი. ასეთი დაყოფა ჩვენივე მოგონილია. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში აღმოსავლელი მეზობელ-დამპყრობლების (არაბების, სპარსელების, თურქების) კულტურულ გავლენას განიცდიდა. ჩვენს ხალხში ვრცელდებოდა ამ მეზობლების ანტროპონიმები. ასეთი ანტროპონიმები კი არაქართულძირიან ქართულ გვარებს უყრიდნენ საფუძველს. როგორ შეიძლება ალხანაშვილს, დემურხანაშვილს, ჩილინგარაშვილს, იოსმუსაშვილს, თოქმაჯიშვილს, ბეგთაბეგიშვილს, ჯანგირაშვილს, დარაბეგაშვილს... არაქართული უწოდო ანდა არაქართული წარმომავლობის გვარად მიიჩნიო ისინი? ჩვენთან ხშირად მოდიან ასეთი ვაიქართველებისაგან შეწუხებული ქართველები. ორიოდე დღის წინ ვესაუბრე ცოლ-ქმარს, რომელთაგან ერთი მღებრიშვილია და მეორე შავერდაშვილი. ისინი შეწუხებულნი იყვნენ — დაწესებულებაში, სადაც ვმუშაობთ, არაქართველებს გვიწოდებენო. ორივე გვარის**

წარმომადგენლები კი წარმომავლობით ქართველები არიან. მღებრიშვილის გვარი ხელობა-მოსაქმეობის (პროფესიული) ტომის ქართულ გვართა რიცხვს მიეკუთვნება. ცნობისათვის მინდა ვთქვა, რომ შიდა ქართლის სოფელ დირბში მოსახლე მღებრიშვილების ადრინდელი ქართული გვარი ფურცელაძე იყო. რაც შეეხება შავერდაშვილებს, ისინი ქართველი მთიელები (ფშავლები) არიან. მათი თავდაპირველი გვარია გოგოჭური. ქიზიყელი ქართველები არიან ბაკაშვილები. ერთ-ერთ ბაკაშვილს კი მეზობლები დაბეჭითებით „უმტკიცებენ“, ოსები ხართო, მხოლოდ და მხოლოდ იმის ანალოგიით, რომ არსებობს ოსური გვარი — ბაკაევი. გულუბრყვილო მტკიცება და შედარებაა. ასეთი მსგავსი, ანუ წყვილადფუძიანი გვარები სხვა ხალხებთანაც შეიძლება ბევრი აღმოვაჩინოთ. აქვე დავძენ, რომ ზოგიერთს არაქართული წარმომავლობისა ჰგონიათ გვარები ოსიშვილი, თურქიშვილი, თათარაშვილი, არაბიშვილი, ფრანგიშვილი, ლეკიაშვილი, ჩერქეზიშვილი, ბერძენიშვილი... სხვათაშორის, ზოგიერთი მეცნიერიც ჩამოთვლილ გვარებს ეთნონიმიურ გვართა რიცხვს მიაკუთვნებს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამ გვარებს საფუძვლად უდევს ქართველ ხალხში ფართოდ გავრცელებული მამაკაცის სახელები (ოსია, თურქა, თათარა, არაბა, ფრანგა, ლეკია, ჩერქეზა, ბერძენა...), ამ სახელებს კი არაერთგზის ამოვიკითხავთ ქართულ საისტორიო საბუთებში. ასე, რომ არავის არ უნდა შეეპაროს ეჭვი ჩამოთვლილი გვარების ქართველობასა და ქართულ წარმომავლობაში.

— საზოგადოების გარკვეული ნაწილი გვარებისა და ეროვნების აღდგენის პროცესს ეჭვის თვალით უყურებს. ზოგი ფიქრობს, რომ ბევრი არაქართველი გვარს იცვლის გარკვეული მოსაზრებით, რომელთაც ქართველობის სურვილთან და პატრიოტიზმთან საერთო არაფერი აქვთ. იმასაც შიშობენ, რომ ამგვარი ხალხის გაქართველება კარგს არაფერს მოგვიტანს.

— ზემოთაც მოგახსენეთ, რომ აბსოლუტურად წმინდა სისხლის ერი მთელ მსოფლიოში არსად არ არსებობს. სტრასბურგელი ფრანგები წარმომავლობით გერმანელები არიან, მაგრამ დღეს ვინმემ გერმანელი რომ უწოდოს, შეურაცხყოფილად იგრძნობენ თავს. განა პრუსიელები გაგერმანელებული სლავური ტომები არ არიან? საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეროვნებას განსაზღვრავს არა წარმომავლობა, არამედ თვითშეგნება და სული. იმ არაქართველთა შორის, რომლებიც ჩვენ მოგვმართავენ, ბევრი თავისი თვითშეგნებით ქართველია. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მათ ქართული გვარის მიღების სურვილი აქვთ. მე მგონი, არ შეიძლება ადამიანების ქცევაში ყოველთვის ცუდი მხარე ვეძებოთ. მაგრამ ამ ხალხს ჩვენ ვერაფრით ვერ ვეხმარებით. წეღანაც ვთქვი და ახლაც ხაზგასმით ვიმეორებ — ჩვენ დახვნებს ვაძლევთ მხოლოდ და მხოლოდ იმ ხალხს, ვისი ქართული წარმომავლობის დამადასტურებელი საბუთებიც გვაქვს, ჩვენ მხოლოდ აღვადგენთ გვარებსა და ეროვნებას. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო — ხალხი ხშირად ურევს ერთმანეთში გვარის გამოცვლა-გადაკეთებასა და გვარის აღდგენა-დაბრუნებას. ჩვენი მიზანია, რომ მხოლოდ და მხოლოდ დავეხმაროთ მოქალაქეებს გვარისა და ეროვნების აღდგენა-დაბრუნებაში. პირადად მე გვარისა და ეროვნების შეცვლა-გადაკეთების მომხრე არაკარ და არც მიმაჩნია ასეთი რამ დღეს მისაღებად.

მინდა დავარწმუნო საზოგადოება, რომ შეშფოთების საფუძველი არ გააჩნია. ჩვენს ხელთაა საკმაოდ მდიდარი საისტორიო წყაროები, საარქივო მონაცემები და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო — ჩვენგან არ გაცემულა არცერთი ცნობა სათანადო საფუძვლის გარეშე.

და ბოლოს, გაგახსენებთ მერაბ კოსტავას სიტყვებს (იხ. გაზ. „საქართველო“, № 4, 9, 27. II. 1990): „ბრძოლა მუსლიმი ინგილოებისა და გრიგორიანულ-მონოფიზიტური ალხარების ქართველთა გვარებისა და ეროვნების აღდგენისათვის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩება“.

# ვ უ ლ ო ც ა ვ თ!



ლეილა ერაძის ლექსებს მკითხველი პირველად 1954 წელს გაეცნო. ქალბატონი ლეილა არის ავტორი საინტერესო ლექსთა კრებულებისა და საბავშვო წიგნებისა. მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი მხატვრული თარგმანის საქმეში. თარგმნილი აქვს აზერბაიჯანელი პოეტების: სამედ ვურღუნის, სულეიმან რუსთამის, რასულ რზას, მამედ რაჰიმის, მირვარიდ დილბაზის, ნაბი ხაზრის და სხვათა ლექსები, თურქი მწერლების ორჰან ქემალის, ნაზიმ ჰიქმეთის, ორჰან ველის ნაწარმოებები; იტალიურიდან — ვასკო პრატოლინის რომანი „ღარიბ შეყვარებულთა ქრონიკა“; რამდენჯერმე გამოიცა ლეილა ერაძის მიერ თარგმნილი კოლოდის „პინოქიოს თავგადასავალი“, ეს არის არასრული სია იმ თარგმანებისა, რომლებიც სისტემატურად იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში თუ გამოდის ცალკე წიგნებად.

1970 წელს გამოკვლევისათვის „აზერბაიჯანელი პოეტები და საქართველო“ მას მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მინიჭებული აქვს აგრეთვე აზერბაიჯანის კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.

ლეილა ერაძეს ამ დღეებში საიუბილეო თარიღი შეუსრულდა. ეს თარიღი ქალისთვის „საგანგაშო“ თარიღი არ არის, მაგრამ ქალი მაინც ქალია... არ გვინდა უნებურად გული დავწყვიტოთ იუბილარ პოეტს და მისი დაბადების წელს არ გავახმაურებთ, მით უმეტეს, რომ, ქალბატონი ლეილა ახალგაზრდული ქალური სიკასკასითა და, რაც მთავარია, პოეტური შემართებით აგრძელებს ცხოვრების გზას. ვულოცავთ პოეტს დაბადების დღეს და ვბეჭდავთ მის რამდენიმე ახალ ლექსს.

## ლეილა ერაძე

### უაპრილო გაზაფხული

დგას უაპრილო გაზაფხული
თავზე სუდარით,
ხელმა სატანის ყველაფერი
არივდარია,
და სანთლის შუქზე
ღვთისმშობლის ხატს
შევთხოვ მუდარით:
წილხვედრ ქვეყანას ნუ გასწირავ,
წმინდა მარიამ!

ამ უაპრილო სისხამ დილით
ვიხოკავ ლაწვებს,
ამ უაპრილო განთიადზე
ვტირი ბალღივით,
როგორც არასდროს ამ სულს ახლა
ათოვს და აწვიმს,
ვარ მარტოსული,
შემოდგომის მტირალ ბაღივით.

დგას გაზაფხული,
თუკი ამგვარ სახელს შეარქმევ,
დგას მდუმარება
ასისასტიკის ჩავლილ წამების.
და გიკვირს, გიკვირს,
რად გიფლეთენ გაშლილ იალქნებს,
უწყალო ხელით ასე ულვთოდ
რად ეწამები!
გაზაფხულია,
დაშაშრულა პროსპექტის მიწა,
ეს გაზაფხული უჩვეულოდ
ერთვის სამყაროს,
ვინ რას დაგეძებს,
ვის ახსოვხარ
ან ვინ დაგიცავს?
გამაგრდი თავად,
ფესვძლიერო მუხავ მაღალო!

### ყველაფერი თავიდან

ხშირად მეკითხებიან:
— ნატვრისთვალი რომ მოგცენ,
რას ჩაუთქვამ' უმალ?.
— რა უნდა მოისურვოს
ქარიშხლებგადავლილმა,
დალალულმა გულმა?!
— არა, მაინც არ გინდა,
წლები ჩამოიბერტყო,
გახდე ოცდაოთხის ან
ოცდახუთი წლისა?
სადღაც შორს მოისროლო
სვებედით მოჩითული
წლებით სავსე ქისა?!
— მერე ისევ ცრემლები,
დარდი ნაირ-ნაირი,
სიხარულიც, ელდაც?
ისევ განმეორდეს და
სულ ფეხდაფეხ წამომყვეს,
რაც თავიდან მდევდა?!
ისევ გული ვიხეთქო,
ისევ ვწიო ჰაპანი
ამ საწყალი მხრებით?
ისევ შური, ღალატი,
და დალმართზე მქროლავი,
წლები,
წლები,
წლები...
ისევ გადაფითრება
გაუგონარ ჭორებით,
შხამითა და გესლით,
როცა სიყვარულისთვის
გაიძვერა მოყვარე
ტყვიას შუბლში გესვრის.
გულს ამდენი არ ძალუძს,
ფიქრით ამაოების
დაიღალა, კმარა,
ყველაფერი თავიდან,
ისევ ფერშეუცვლელად
აღარ მინდა, არა!

### გაზაფხულის მახარობელი

— ჩემო მერცხალო, საით მიფრინავ?
— რაჭას მივფრინავ, ჩემო ბატონო!
— რაჭას რა გინდა, რა დაგრჩენია?
— იქ ჩემს დედულეთს ბიძა პატრონობ'ს,
ის კაცი სოფლის გადამრჩენია.
მე მის წინ თავი უნდა დავხარო
და გაზაფხული ასე ვახარო!

## „ნ ა მ ც ვ რ ე ვ ი“

ქართული ხალხური პოეზიის, კერძოდ, ცალკეული კუთხეების ზეპირსიტყვიერების გამოცემა ს ჩვენში კარგი ტრადიცია აქვს. ქართლშიც მრავალი ფოლკლორული ექსპედიცია შემდგარა, ფოლკლორისტებს ხალხური პოეზიის მდიდარი მასალა შეუკრებიათ და გამოუმზეურებიათ. ამ რეგიონში შეკრებილმა ხალხურმა პოეტურმა ნაწარმოებებმა ყველაზე სრულყოფილი ასახვა „ქართულ ხალხური პოეზიის“ თორმეტტომეულში პოვა. თითქოს შესაკრები და მოსაძიებელი აღარაფერი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ მწერალ გიორგი ხორგუაშვილს მრავალი წლის გულმოდგინე ძიების და შრომის შემდეგ შესანიშნავი კრებული შეუდგენია. კრებულს „ნამცვრევი“ ჰქვია.

მწერლის მიერ მოპოვებული მასალა უტყუარად, მეტყველად და შთამბეჭდავად ასახავს ქართლის, კერძოდ, კასპის რაიონის წარსულსა და დღევანდელობას. როგორი მრავლისმთქმელია თუნდაც კასპის რაიონის მთიანი სოფლების დაცლის ამსახველი ხალხური ლექსი, რომელიც ცხოვლად განგვაცდევინებს ამ ორმოციოდე წლის წინათ ბარში ძალად გადასახლებულთა გულის ტკივილსა და ტრაგედიას:

**მთიელების გასახლება**
**გახკდა, ზარბაზანივითა,**
**ზოგს ძალიან გაეხარდა,**
**ზოგი ტირის ქალივითა,**
**დედაკაცი ამიტირდა,**
**ხმა ჰქონია ზარივითა,**
**მეც სახლს შემოვტრიალებდი,**
**ვზუზუნებდი ხარივითა**

შესავალ წერილში კრებულის რედაქტორი ზურაბ კიკნაძე წერს: „...კასპის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, მწერალი გიორგი ხორგუაშვილი, თავად ამ რეგიონის მკვიდრი, წლების განმავლობაში ეწეოდა ფოლკლორულ-შემკრებლობით მუშაობას კასპის სოფლებში და საყურადღებო ნიმუშებიც აქვს მოპოვებული, სახელწოდება „ნამცვრევი“ აქ მართლდება იმით, რომ კრებული მოიცავს ძირითადად იმ მასალას, რომელიც არ არის შესული დღესდღეობით ყველაზე სრულ კორპუსში ქართული ხალხური პოეზიისა.

კასპის სოფლებში შეკრებილი მასალა მკითხველის ინტერესს გამოიწვევს, პირველ რიგში, მისი მრავალფეროვნებით, რაც თავად მისი მატარებელი მოსახლეობის მრავალფეროვნებით აიხსნება. კასპის სოფლებში ცხოვრობენ ძირითადი მოსახლეობის — ქართლელების გვერდით გასულ საუკუნეში თუ ჩვენს ხანაში მთიდან ჩამოსახლებული ფშავლები, ხევსურები, მთიულები, გუდამაყრელები, რომელთაც თან მოიტანეს და ქართლის სოფლებში გაავრცელეს თავიანთი კუთხეების ტრადიციული ფოლკლორი...

ამ რეგიონში ქართული ფოლკლორის კლასიკური ნიმუშები თავის დროზე ჩაუწერიათ თედო რაზიკაშვილს, ია კარგარეთელს, ვახტანგ კოტეტიშვილს, გიორგი მატბერაშვილს და სხვებს. რაიონის ზეპირსიტყვიერი რეპერტუარის რამდენადმე სრულად წარმოდგენის მიზნით ეს ადრე ჩაწერილი მასალა შემდგენელმა მოათავსა თავის მიერ მოპოვებული ნიმუშების გვერდით.

„ნამცვრევი“ ძირითადად პოეტური შემოქმედების კრებულია. ლექსები განლაგებულია თემატიკის მიხედვით, რაც გარკვეულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს ამ რაიონის რეპერტუარის დიაპაზონზე და, ამასთანავე, მოსახლეობის ინტერესზე, მათ სულიერ ცხოვრებაზე. თითოეულ ტექსტს ბოლოში დართული აქვს შენიშვნები და განმარტებანი (ცხადია, პასპორტებიც), რომელთაც ხშირ შემთხვევაში დამოუკიდებელი შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვთ.

კრებული განკუთვნილია ქართული ფოლკლორით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის, მაგრამ ის მნიშვნელოვან სა-




რგებლობას გაუწევს ქართული ხალხური პოეზიის მკვლევარს, როგორც კიდევ ერთი პირველწყარო სხვა რეგიონალურ კრებულებთან ერთად“.

კრებულს დართული აქვს აგრეთვე შემდგენელის წინათქმა, რომელშიც იგი მოკლედ გადმოგვცემს, კრებულის შედგენაზე გაწეულ შრომას, მადლიერებით მოიხსენიებს ყველა იმათ, ვისაც ხელი გაუმართავს მისთვის ხალხური ლექსების შეკრებაში.

„ნამცვრევი“ უთუოდ დააინტერესებს როგორც ხალხური პოეზიის მოყვარულებს, ისე სპეციალისტებს.

ამ, ხადაცაა წლის მეხუთე თვეც მიიწურება, მაგრამ, ალმანახ „რიწის" 1989 წლის მეოთხე ნომერი არა და არ ჩანს. აგვიანებს 1990 წლის პირველი ნომერიც, რომელსაც 12 ათასი მკითხველი ელოდება და გეგმით მარტში მაინც უნდა გამოსულიყო. გვწერენ, გვირეკავენ, ქუჩაში გვაჩერებენ და ერთსა და იმავეს გვეკითხებიან — „რატომ არ ვღებულობთ „რიწას"? სამწუხაროდ, წინამდებარე წერილშიც, მკითხველის ყურადღება ისევ ალმანახის გამოცემის ტექნიკურ — ჩვენთვის „მარადიულ პრობლემაზე" უნდა გავამახვილოთ.

ჭერჭერობით სტამბამ მხოლოდ ის „მოახერხა", რომ 1988 წლის 15 ოქტომბერს ჩაბარებული ნომერი („რიწა", 1989, № 3) მიმდინარე — 1990 წლის მარტში გამოსცა. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა უგულებელყო „რიწის" სარედაქციო კოლეგიის ერთსულოვანი აზრი ზოგიერთი ავტორის ნაწარმოების დაბეჭდვის შესახებ, დახმარების ნაცვლად ამ ნომრის დაგვიანებას „შეუწყო ხელი" და სტამბაში მისი ყოფნა ერთი თვით გაახანგრძლივა, მაგრამ განა ეს რითიმე ამართლებს სტამბას?

სხვადასხვა დროს შესაბამის ორგანოებში გაგზავნილმა ჩვენმა წერილებმა, პრესაში გამოქვეყნებულმა სტატიებმა, სიტყვიერმა ინფორმაციებმა, კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა სამმართველოში, პოლიგრაფიული გაერთიანების სოხუმის ლენინის სახელობის სტამბაში ჩატარებულმა თათბირებმა შედეგი ვერ გამოიღო. ფაქტი ფაქტად რჩება — არ ისტამბება „რიწა". უგულებელყოფილია ზემდგომი ინსტანციების დადგენილებები ალმანახის დროულად გამოცემის შესახებ.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე წელს ობიექტური მიზეზებიც იყო — ელექტროენერგიისა და საბეჭდი ლითონის მწვავე დეფიციტმა შეაფერხა „რიწის" აწყობა, მაგრამ ვიმეორებთ, ეს არ ამართლებს სტამბას, მას „რიწის" 1989 წლის მე-4 ნომერი დეკემბრის ბოლოსთვის მაინც უნდა მიეწოდებინა ხელმომწერებისათვის; ახლა კი ვის სჭირდება ასე დაგვიანებული გამოცემა?

ალმანახი „რიწა" ამჟამად სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზეა. ის ერთადერთია აფხაზეთში არსებულ ჟურნალებს შორის („ალაშარა", „ამცაბზი", „აფსნი აყაზარა", „აშკოლი აფსთაზარეი"), რომელიც არ საჭიროებს სახელმწიფოს ფულს; პირიქით — მოგებას იძლევა. ზემოთ დასახელებული აფხაზური ჟურნალები სახელმწიფო დოტაციაზეა და მათი წაგება ყოველწლიურად ასეთია: „ალაშარა" (ლიტერატურულ-მხატვრული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდის წელიწადში თორმეტჯერ) — 70 ათას 100 მანეთი, „ამცაბზი" (ყოველთვიური, საბავშვო ჟურნალი) — 56 ათას 300 მანეთი, „აფსნი აყაზარა" (განიხილავს კულტურის საკითხებს, გამოდის ორ თვეში ერთხელ) — 27 ათას 600 მანეთი, „აშკოლი აფსთაზარეი" (გამოდის აფხაზეთის განათლების სამინისტროს ეგიდით, კვარტალში ერთხელ) — 14 ათას 900 მანეთი. ჩვენ ეს მონაცემები მხოლოდ იმისათვის მოგვყავს, რომ საზოგადოებას ვაუწყოთ — დიახ, „რიწა" თვითდაფინანსებაზეა, მაგრამ რაც ეს ჟურნალი არსებობს, არ ყოფილა

ალმანახს კიდევ აქვს სხვა პრობლემებიც, (თუნდაც, აფხაზეთის კავშირგაბმულობის უგერგილობა ხელმომწერებისთვის ალმანახის მიწოდების საქმეში, აფხაზეთის „სოიუზპეჩატის" უნიათობა. მცდარი ცნობები სხვადასხვა რეგიონში „რიწის" ხელმომწერთა რაოდენობის შესახებ და სხვ.), რომლებიც ხელს გვიშლიან მუშაობაში, მაგრამ, მათზე საუბრით არ გვინდა მკითხველს თავი შევაწყინოთ.

ახლა ერთ კითხვას დავუსვამთ საკუთარ თავს და შევეცდებით თვითონვე გავცეთ პასუხი — ბოლოს და ბოლოს, რა შედეგებამდე მიგვიყვანს „რიწის" გამოცემის ასეთი პოლიტიკა?

1. დაეცემა ალმანახის პოპულარობა და ავტორიტეტი, რადგანაც სტამბის მტვერწაყრილი მასალა, რომელსაც მკითხველი ჯერ კიდევ გუშინწინ უნდა გაცნობოდა, ზეგ არაფრის მთქმელია;

2. მომავალში ჩვენთან თანამშრომლობაზე უარს განაცხადებენ ცნობილი მწერლები, რადგანაც მათი ნაწარმოებები დიდი ხნის განმავლობაში ვერ იხილავს დღის სინათლეს;

3. დაქვეითდება რედაქციის თანამშრომლების ენთუზიაზმი, რადგანაც ისინი ვერ ხედავენ თავიანთი შრომის ნაყოფს;

4. „რიწა" დაკარგავს ხელმომწერებს, რადგანაც ალმანახი, რომელიც დაგვიანებით ისტამბება, არავის დააინტერესებს; გარდა ამისა, ეს ეკონომიურად დააზარალებს რედაქციას... ამ ჩამოთვლის გაგრძელება შეგვეძლო, მაგრამ დაგვეთანხმებით, ესეც სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ნებისმიერმა ჟურნალმა ახლო მომავალში არსებობა შეწყვიტოს.

ჩვენ ჯერ კარგად ვერ გავარკვიეთ, საიდან იღებს სათავეს ის „მოჯადოებული წრე", რომლის მარყუჟშიც მოექცა „რიწა", მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცით — „წრე" აუცილებლად უნდა გაირღვეს და „რიწის" გამოცემის საქმე ერთხელ და სამუდამოდ კალაპოტში ჩადგეს. ამიტომაც მერამდენედ ვთხოვთ მათ, ვისზეც უშუალოდ არის დამოკიდებული ალმანახის ბედ-იღბალი, გაგვიწიონ ქმედითი დახმარება; რა თქმა უნდა, მოვუწოდებთ, გამოიჩინონ მეტი პასუხისმგებლობა და წინდახედულება, რადგანაც „რიწა", ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ჟურნალი, ხალხისაა და ხალხის იმედის გაცრუებაზე მძიმე ტვირთი არ არსებობს.

მაგრამ უიმედოდ ღმერთმა ნუ ქნას კაცი... და ჩვენც ოპტიმისტურად ვუყურებთ „რიწის" ხვალინდელ დღეს. აი, ახლახან, როგორც იქნა, პროფესიონალურ ასოთამწყობს — მურმან ყურაშვილს ჩააბარეს ალმანახი და გვინდა ვირწმუნოთ, რომ მკითხველი მალე იხილავს მიმდინარე წლის პირველ ნომერს, სადაც ბევრ საინტერესო მასალას გაეცნობა — მერაბ კოსტავას ესეს, მორის ფოცხიშვილის, გენო კალანდიას, რაულ ჩილაჩავას ლექსებს, გიორგი ხიჯინავას ახალი რომანის „უტუ მიქავას" დასაწყისს, ვლადიმერ ჯოლოგუას მოთხრობას — „ბერიას ყარაული", ფრიდრიხ ნიცშეს „ასე იტყოდა ზარატუსტრას" ერეკლე ტატიშვილისეული თარგმანის რამდენიმე თავს, ჯუმბერ თითმერიას, მამუკა წიკლაურის, ჯანო ჯანელიძის, ემზარ კვიტაიშვილის, ნოდარ ხუნდაძის, მურმან ხურცილავას, ანზორ გვარამიას, თემურ მიბჩუანის და სხვათა პასუხებს ჩვენს კითხვებზე, რენე შარის ლექსების ახალ თარგმანს, იაპონელი მწერლის — კოიტირო უნოს მოთხრობას — „ღმერთი ვეშაპებისა", წერილს ბულგარელ ნათელმხილველ ქალზე — ვანგაზე, 1910-1911 წლებში სოხუმში არსებული გაზეთების მიმოხილვას და სხვ.

ზოგიერთ მკითხველს რატომღაც ჰგონია, რომ ალმანახი ყოველთვიურია და გვწერს — არ მიგვიღია იანვრის, თებერვლის, მარტის ნომრებიო. საჭიროდ მიგვაჩნია, მათ განვუმარტოთ, რომ „რიწა" მიმდინარე წლიდან კვარტალში ერთხელ გამოვა. პირველი ნომერი მარტის თვეში მაინც უნდა მიეღო ხელმომწერს, მეორე — ივნისში მაინც უნდა მიიღოს, მესამე — სექტემბერში, ხოლო მეოთხე — დეკემბერში.

ახლა კი გვინდა, თავს უფლება მივცეთ და ალმანახის რედაქციისა და მისი სარედაქციო კოლეგიის სახელით ულრმესი მადლობა მოვახსენოთ ჩვენს ხელმომწერებს. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ „რიწა", როგორც არასდროს, წელს 12-ათასიანი ტირაჟით გამოიცემა. იმედი გვაქვს, ისინი გაიგებენ ჩვენს გასაჭირს და მომავალშიც გაგვიწევენ თანადგომას. ჩვენი მხრიდან ერთი რამ შეგვიძლია განვაცხადოთ — მეცადინეობას არ დავაკლებთ ჩვენს საქმიანობას, რადგანაც კარგად ვიცით — ვემსახურებით ქართულ ლიტერატურას, მის განვითარებას. ქართული ლიტერატურის სამსახური კი წმიდათაწმიდა საქმედ მიგვაჩნია.

ვფიქრობთ, მკითხველებს დააინტერესებს ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ დამთავრდა 1990 წლის პირველ ნომერზე ხელმოწერის კამპანია, როგორ გაფართოვდა ალმანახის „გეოგრაფია". აბაშაში 852 „რიწა" გამოიწერეს, გაგრაში — 778, გალში — 2.837, გარდაბანში — 383, გუდაუთაში— 190, გულრიფშში — 905, გურჯაანში — 2, დმანისში — 4, ზუგდიდში — 416, თბილისში— 868, თელავში — 31, თერჯოლაში — 1, ლენტეხში — 3, მარტვილში — 194, ოჩამჩირეში — 140, რუსთავში — 6, საგარეჯოში — 1, ხენაკში — 25, სოხუმსა და სოხუმის რაიონში — 3.086, ფოთში — 1, ქუთაისში — 1, ჩხოროწყუში — 12, ცხინვალში — 1, წალენჯიხაში — 349, ხარაგაულში — 1, ხობში — 110.

აქვე გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთში ტყვარჩელი ერთადერთი რეგიონია, სადაც „რიწის" ერთი ნომერიც კი არ გამოუწერიათ, თუმცა ჩვენ ალმასკომის თავმჯდომარეს ოფიციალური წერილით ვთხოვეთ პროპაგანდა გაეწიათ ალმანახისთვის.

# ალმანახი „რიწა" და მოჯადოებული წრე

შემთხვევა, რომ ჩვენს თანამშრომლებს ერთხელ მაინც მიეღოთ პრემია, თუნდაც ძალზე მცირედი. მოკლედ, ჩვენ არ გვეძლევა იმის საშუალება, რომ სხვადასხვა მიზნით გამოვიყენოთ ჩვენივე თანხა. ამას ვერ ვახერხებთ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ „რიწის" გამოცემას ტრადიციულად თვეობით, ზოგჯერ მთელი წლითაც აგვიანებს სტამბა (გენერალური დირექტორი რ. არგუნი). მაგალითად, 1988 წლის მე-2 ნომერი, 1988 წლის 14 ივნისს ჩაბარდა წარმოებას, მკითხველმა კი მხოლოდ 1989 წლის აგვისტოში მიიღო. რადგანაც ჩვენი პროდუქციის გამოცემას აფერხებენ, უსამართლოდ ისჯება რედაქცია; ირღვევა ჩვენი იურიდიული უფლებები. ჩვენ მზად ვართ მკაცრად ვაგოთ პასუხი პატარა ხარვეზისთვისაც კი, მაგრამ, ვფიქრობთ, დროა, ნამდვილ დამნაშავეს ერთი პატარა საყვედური მაინც მივცეთ.

ვსარგებლობთ რა შემთხვევით, „ლიტერატურული საქართველოს" მეშვეობით გვინდა მადლობა გამოვუცხადოთ „რიწის" მცირერიცხოვან კოლექტივს, რომელიც მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, ერთგულად ემსახურება თავის საქმეს.

ამჟამად მთელი ჩვენი ენერგია სტამბასთან უთანხმოების მოსაწესრიგებლად იხარჯება; სტამბას კი მიზეზები არ ელევა. არა, ჩვენ არ მოვითხოვთ მომგებიანი ბეჭდვითი ორგანოსათვის კუთვნილ პრივილეგიებს, მაგრამ ალმანახი იმის ღირსი მაინც ხომ არის, დროულად რომ დაისტამბოს და სხვა რედაქციების თანაბარი უფლებები ჰქონდეს?!

თქვენ, ალბათ, ყურადღებას მიაქცევდით, რომ ზოგან „რიწას" მხოლოდ ერთი მკითხველი ჰყავს. ჩვენ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ მომავალ წელს ის — „ჩვენი კაცი" არ დავკარგოთ და ისეთი დონის ნომრები მივაწოდოთ, როგორიც ეკადრება.

რადგანაც სიტყვა ალმანახის დონეზე ჩამოვარდა, გვინდა, ქართველ მწერლებს შევახსენოთ — არ არსებობს „პროვინციული ჟურნალი", ისევე, როგორც არ არსებობს „პროვინციული ლიტერატურა". ქართული ლიტერატურის ცენტრი მთელი საქართველოა და, ალბათ, მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუ სად, რომელ ქალაქში იქმნება ესა თუ ის ლიტერატურული ორგანო. იმის თქმა გვინდა, რომ ცნობილმა ქართველმა მწერლებმა მეტი, საქმიანი დახმარება უნდა გაგვიწიონ და მხარში ამოგვიდგნენ. ამ საკითხზე რამდენიმე წლის წინ წერდა კიდეც ბატონი არჩილ სულაკაური...

და ბოლოს, კიდევ ერთ რამეზე გვინდა გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება — მივიღეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „რიწის" ბოლო ნომერი ზოგიერთ ხელმომწერს არ მიუღია, ჩვენ გადავამოწმეთ რამდენიმე ცნობა და აღმოჩნდა, რომ ამაში კავშირგაბმულობის მუშაკები არიან დამნაშავენი. ვფიქრობთ, მალე ამაზე ცალკე ვისაუბრებთ. ყველას, ვინც მომავალში ალმანახის ახალ ნომერს არ მიიღებს, უმორჩილესად ვთხოვთ, არ დაიზარონ და ამის შესახებ აუცილებლად შეგვატყობინონ მისამართით: 384900, სოხუმი, ლენინის 19, „რიწის" რედაქცია.

**გურამ ოდიშარია,**
ალმანახ „რიწის" მთავარი რედაქტორი.

ოქროს საწმისი

№ 1
1989
თებერვალი. № 2. 1990
აპრილი. № 3. 1990

ახლადდაარსებული გაზეთის სარედაქციო ფოსტიდან

# გაზეთი — მკითხველი — გაზეთი

თუ შეიძლება გაზეთის ბუმი არსებობდეს, დღეს ის საქართველოში ნამდვილად არსებობს. ლამისაა ყოველდღე ახალ-ახალი გაზეთის დაბადების მოწმენი ვხდებით. ჯიხურები და სამკითხველოთა თაროები ველარ იტევს მოზღვავებულ პერიოდულ პრესას. მკითხველები არათუ ყველაფრის წაკითხვას ან გადახედვას, თვალის შევლებასაც ველარ ვახერხებთ. დიახ, ჭირს, ძალზე ჭირს ბეჭდვითი სიტყვის მორევში გზაკვალის გაგნება. თუმცა, მკითხველს არავინ ავალდებულებს მორევში გადაეშვას და თავგზა აებნიოს, მას შეუძლია სათავისო გაზეთები ამოირჩიოს და მათი მეშვეობით გაჰყვეს ჩვენი პოლიტიზებული დროის დინებას. სხვათა შორის, არჩევანი მთლად მკითხველზეც არაა დამოკიდებული. ის, როგორც სიყვარული, თავისთავად მოდის, ძალდატანების გარეშე, თუკი, რა თქმა უნდა, ასარჩევი თვალსაც ახარებს და გულსაც.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ „ოქროს საწმისი" ერთი იმ გაზეთთაგანია, რომელიც მრავალმა მკითხველმა შეიყვარა და გაითავისა. სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის ეს გამოცემა პირველად შარშან გამოვიდა, დღემდე მხოლოდ სამი ნომერი დაიბეჭდა და უკვე მოიპოვა პოპულარობა, რაც უეჭველად რედაქტორის ჯანო ჯანელიძის, მცირერიცხოვანი შრომითი კოლექტივისა და რედკოლეგიის (დავით დოლბაძე, გენო კალანდია, გელა მამფორია, თემურ მიბჩუანი, ალექსანდრე მიქაძე, გიორგი რატიანი, თემურ შურღაია, ვალერიან ქარჩავა, სოსო ჩოჩია, სერგო წურწუმია, რეზო ხარებავა, ჯუმბერ ჯოჯუა, შოთა ჯლამაძე) დამსახურებაა.

ჩვენ საშუალება გვქონდა, ცხადია, რედაქციის თანხმობით, გავცნობოდით „ოქროს საწმისის" სარედაქციო ფოსტას და, უნდა მოგახსენოთ, თვალნათლივ დავინახეთ ის სიყვარული და ერთგულება, რასაც მკითხველები იჩენენ ამ გაზეთისადმი.

როგორც იტყვიან, გეოგრაფია „ოქროს საწმისის" პოპულარობისა ფართოა, იწერებიან თბილისიდან, რუსთავიდან, თელავიდან, კასპიდან, გორიდან, ქუთაისიდან, ზესტაფონიდან, ბათუმიდან, ფოთიდან, ზუგდიდიდან, მარტვილიდან, გალიდან, გულრიფშიდან, გაგრიდან, სოხუმიდან და... სტოკჰოლმიდან. იწერებიან სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები, მადლიერებასა და თანადგომას უცხადებენ რედაქციას, უზიარებენ შთაბეჭდილებებს, სთავაზობენ წინადადებებს, გამოთქვამენ მოსაზრებებს, შენიშვნებს; რჩევებსაც იძლევიან. ამავე დროს, ჰყვებიან პირად გასაჭირზე, თავიანთი სოფლისა თუ ქალაქის პრობლემებზე. ითხოვენ დახმარებას, გამოხმაურებას, თბილ სიტყვას.

არ გამოგვრჩეს — რაღა თქმა უნდა, უკმაყოფილო და გაბრაზებული მკითხველებიც იწერებიან. მაგალითად, „პატივცემულ რედაქციას" (როგორც თავად მიმართავენ) ლანძღავენ იმის გამო, რომ არ იწონებს ხალხთა ბელადის ნამოქმედარს ოცდაჩვიდმეტში, ან დაურიდებლად ამხელს თანამედროვე ფუნქციონერების მრუდე საქმიანობას; კრიტიკის ობიექტები არაობიექტურობას სწამებენ რედაქციას და ა. შ. ასეთი რამეების გარეშე რედაქციის ცხოვრება ხომ წარმოუდგენელია.

თუმცა, სჯობს, წერილებს გადავხედოთ.

„ბატონო ჯანო, პირდაპირ მაოცებს თქვენი შემართება. როგორ შეაკავშირეთ ასეთი მებრძოლი კოლექტივი, პირდაპირ „შეხაშურ" საქმეს აკეთებთ. აფერუმ თქვენს ვაჟკაცობას, მივულოცავთ თქვენთან". (გივი ჰყოიძე. თბილისი).

„ოქროს საწმისს" პატრიოტული საქმის კეთება შეუძლია. ჩვენც თქვენს გვერდით ვდგავართ!" (პლატონ ზარქუა. სსფ მარტვილის რეგიონალური ორგანიზაციის სახელით).

„წავიკითხე თქვენი გაზეთის მეორე ნომერი. იგი ჯერ ახალია და ბევრისთვის შეიძლება უცნობი იყოს მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მალე გახდება ერთ-ერთი პოპულარული გაზეთი.

არ შემიძლია გადმოგცეთ ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ დაიცავს ინსტიტუტს?

## ანუ ღია წერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს

1989 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფმა მოგმართათ წერილით, რომელშიც უნდობლობა გამოუცხადა ინსტიტუტის დირექტორს აკად. ე. ხეხნიაშვილს და მოითხოვა დირექტორის თანამდებობაზე ალტერნატიული არჩევნების დანიშვნა (გაზეთი „საქართველო" №8, 22.11.1989). 1990 წლის 7 მარტს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში დირექტორის რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შესახებ. საზოგადოებას უთუოდ უნდა აინტერესებდეს, თუ რა საფუძველზე მიიღო ასეთი გადაწყვეტილება მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, მითუმეტეს, რომ უკანასკნელ წლებში აკად. ე. ხეხნიაშვილის ხელმძღვანელობით ხდებოდა რესპუბლიკისათვის რიგი უმნიშვნელოვანესი მეცნიერულ-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა (მაგალითად, ტრანსკავკასიის საულელტეხილო რკინიგზის მშენებლობის კომისიის თავმჯდომარის როლში იგი მთელმა საქართველომ იხილა ტელევიზიით ამ ორი წლის წინ). სამწუხაროდ, პრეზიდიუმის დადგენილება ადმინისტრაციული ხასიათისაა და თითქმის არავითარ ამდაგვარ ინფორმაციას არ იძლევა. ამიტომ საქმეში ჩაუხედავმა პირმა შეიძლება სამართლიანად მიიჩნიოს აკად. ე. ხეხნიაშვილის საპროტესტო განცხადებები იმის თაობაზე, რომ პრეზიდიუმის გადაწყვეტილება მიღებული იქნა „სამიტინგო მეთოდებით". საზოგადოებამ შეიძლება ანგარიში გაუწიოს ე. ხეხნიაშვილის ტიტულს და მის აზრსაც.

სანამ უშუალოდ იმას მოგახსენებდეთ, რამაც იძულებული გაგვხადა წინამდებარე წერილით მოგვემართა, საჭიროდ მივიჩნევთ მოკლედ გაგაცნოთ ის დოკუმენტური მასალა, რომელიც პრეზიდენტის მიერ დანიშნულმა კომისიამ განვლილი ექვსი თვის განმავლობაში მოიპოვა და ზოგიერთი კითხვა დავსვათ, რომლებზეც პასუხი ამ ხნის მანძილზე ვერ მივიღეთ.

31 ოქტომბრის წერილის განსახილველად, 1989 წლის 15 ნოემბერს შედგა ინსტიტუტის გაფართოებული სამეცნიერო საბჭოს სხდომა, აკადემიის პრეზიდენტის მიერ დანიშნული კომისიის თანდასწრებით. დაიწყო თუ არა სხდომა, აკად. ე. ხეხნიაშვილმა დარბაზიდან გააძევა კომისიის წევრი, გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. შ. ადამია, პროტესტის ნიშნად მას გაჰყვა კომისიის მეორე წევრი აკად. ვ. ჭიჭინაძეც, ამგვარად, კომისია სხდომის დაწყებისთანავე დაიშალა, მაგრამ სხდომა მაინც ჩატარდა (იგი 6 საათს გაგრძელდა და მისი სტენოგრამა დაცულია) და თანამშრომლებმა დირექტორს მთელი რიგი სერიოზული ბრალდებები წაუყენეს, რომლებიც ძირითადად სამ პუნქტში იყრიან თავს: 1. დაბალი პროფესიონალიზმი; 2. არადემოკრატიულობა, 3. მიუღებელი ეროვნული პოზიცია.

1990 წლის 2 იანვარს, აკად. ე. ხეხნიაშვილის მიერ დაშლილი კომისიის ნაცვლად, პრეზიდენტის ბრძანებით მუშაობას იწყებს ახალი კომისია. კომისიამ განიხილა აკად. ე. ხეხნიაშვილის მიერ ბოლო 25 წელიწადში გამოცემული სულ 4 წიგნი (მათ შორის სახელმძღვანელოს ორტომეული), რომელთაგან სამი სწორედ ის წიგნია, რომელიც ე. ხეხნიაშვილის იმ შრომათა ნუსხაშია მოხსენიებული სტატიებთან ერთად, რომელთა საფუძველზე იგი მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად იქნა არჩეული 1988 წელს.

კომისიის წევრთა რეცენზიები ოთხივე წიგნზე მკაცრად უარყოფითია. აკად. ე. ხეხნიაშვილი თავის პასუხებში არ ეთანხმება კომისიის წევრთა შენიშვნებს და მათ ტენდენციურობაში დებს ბრალს. ფართო მკითხველისათვის პროფესიული ხასიათის პოლემიკის მასალების გაცნობას, რა თქმა უნდა, აზრი არა აქვს, მაგრამ არის ამ მასალებში ფრიად საყურადღებო მომენტები, რომლებში გარკვევაც პროფესიულ ცოდნას არ მოითხოვს და მათ შეფასებაში მკითხველსაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს.

თავის „შენიშვნებში" აკად. ვ. ჭიჭინაძე წერს: „ავტორის მიერ გამოყენებულ მექანიკურ კომპილატორულ მეთოდს, ანუ მეთოდს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ არ გესმის რაზე წერ და უბრალოდ იწერ ამა თუ იმ წიგნიდან, მივყევართ წიგნის სრულ უვარგისობამდე". აი რას წერს აკად. ე. ხეხნიაშვილი თავის „პასუხში": „შენიშვნები ეკუთვნის... პარაგრაფს, რომლის დაწერისას გამოვიყენე ი. ბ. შორის წიგნი «Статистические методы анализа и контроля качества и надежности» (გამომცემლობა „სოვეტსკოე რადიო"). ...თუ ვ. ჭიჭინაძემ ამ ფორმულებში და ნახაზში „უხეში შეცდომები" ნახა, ალბათ საჭიროა სასწრაფოდ მიმართოს ავტორს — ი. ბ. შორს და გამომცემლობა „სოვეტსკოე რადიო"-ს. ასეთი პასუხი ხომ ფაქტიურად ადასტურებს აკად. ვ. ჭიჭინაძის მიერ გამოთქმული შეფასების სამართლიანობას?

თავის „შენიშვნებში" აკად. მ. ხვინგია წერს: „ამრიგად, წიგნში აღწერილი ექსპერიმენტული შედეგები და თეორიული ნაწილი აშკარად ძველ მიდგომას ემყარება. პრაქტიკულად შედეგები კი — როგორც გამომდინარე ზემოთქმულიდან, არასაიმედოა". აკად. ე. ხეხნიაშვილი პასუხობს: „მ. ხვინგიას ᲒᲣᲚᲨᲘ ᲔᲯᲕᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲚᲔძᲠᲐᲡ (ხაზგასმა ჩვენია), შეუძლია გაეცნოს აწ განსვენებულ აკადემიკოს კ. ზავრიევის დასკვნას ჩემ შრომებზე, რომელიც მან დაწერა როდესაც 1974 წელს ჩემი კანდიდატურა იქნა წამოყენებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვაკანსიაზე ასარჩევად. თუ წიგნის წინასიტყვაობა მ. ხვინგიამ მიიღო როგორც ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ, ეს უნდა აიხსნას ან დაბეჭდილში არ-გარკვევით, ან არაკომპეტენტურობით". აკად. ე. ხეხნიაშვილს აქ დაავიწყდა, რომ მარტო აკად. კ. ზავრიევი კი არ იძლევა დადებით დასკვნას მის შრომებზე 1974 წელს აკადემიაში არჩევნების დროს, არამედ კიდევ ორი სხვა აკადემიკოსი. ამასთან დაკავშირებით მკითხველს შევახსენებთ ნაწყვეტს თ. ქორიძის სტატიიდან („თბილისი", 18.12.89):

„ბატონი ემილ ხეხნიაშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აკადემიის საერთო კრებამ აირჩია 1974 წლის 29 მარტს (ამ დროს იგი იყო საქართველოს კპ ცკ-ის განყოფილების გამგე), ...ყველა დოკუმენტი არჩევა-დანიშვნების შესახებ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, რა თქმა უნდა, შესრულებულია რუსულ ენაზე. მათ შორის არის სამი ცნობილი და პატივცემული აკადემიკოსის (კ. ზავრიევის, ა. ნაზაროვის, ნ. ვეკუას) გამოხმაურებანი (ОТЗЫВ) ბატონ ე. ხეხნიაშვილის მეცნიერულ შრომებზე. სამი მეცნიერი გამოთქვამს აზრს კოლეგაზე და აქ თითქოს არაფერი უნდა იყოს გასაკვირი. და მაინც ეს „ოტზივები" ფრიად განსაცვიფრებელ დოკუმენტთა რანგს განეკუთვნება ძირითადად იმის გამო, რომ... სამივე აბსოლუტურად იდენტურია. კი, ბატონო, სამს კი არა, სამას მეცნიერს შეიძლება ჰქონდეს დადებითი აზრი ერთ პიროვნებაზე, მაგრამ პირველად ვნახე, როცა სამი სრულიად განსხვავებული ეროვნებისა და ტემპერამენტის ადამიანი (ამ შემთხვევაში, აკადემიკოსები ნაზაროვი, ზავრიევი, ვეკუა) ამ აზრს აბსოლუტურად ერთნაირი წინადადებებითა და ერთნაირი თანამიმდევრობით გამოხატავდეს. ისღა დამრჩენია, ვიფიქრო, რომ ტექსტი სამივეს თვით მაღალმა ღმერთმა უკარნახა".

აკად. ე. ხეხნიაშვილის სახელმძღვანელოზე მრავალი შენიშვნის შემცველი ვრცელი რეცენზია წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. მიქელაძემ. აი, დასკვნითი ნაწილი ამ რეცენზიისა: „რა შეიძლება ითქვას საბოლოოდ აკად. ე. ხეხნიაშვილის წიგნის თაობაზე?.. პასუხს არაორაზროვნად იძლევა შენიშვნების ნუსხა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გაორკეცდეს".

აკად. ე. ხეხნიაშვილის შრომებზე საუბარს დავამთავრებთ იმის აღნიშვნით, რომ ინსტიტუტის სეისმომედეგობის პრობლემებზე მომუშავე თანამშრომელთათვის უცნობია აკად. ე. ხეხნიაშვილის რამდენადმე მაინც საყურადღებო შრომები ნაგებობათა სეისმომედეგობის დარგში. ნათქვამის ფორმალურ მტკიცებად ისიც საკმარისია, რომ 1988 წელს, როცა ე. ხეხნიაშვილი აკადემიკოსად აირჩიეს, მის შრომათა სიაში მოხსენებულია მხოლოდ ერთი სტატია სეისმომედეგობის დარგში.

აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ საკითხს, რომელიც ამ ექვსი თვის განმავლობაში ყველაზე ცხოველი მსჯელობის საგანი გახდა. საქმე იმაშია, რომ 31 ოქტომბრის წერილში აკად. ე. ხეხნიაშვილის ავტორობით გამოცემული სამშენებლო მექანიკის სახელმძღვანელო მიჩნეულია პლაგიატად. ასეთი შეფასება ემყარება იმ ფაქტს, რომ ამ წიგნის თითქმის მთელი თეორიული ნაწილი (სახელმძღვანელო მაგალითებსაც შეიცავს) შექმნილია სამ რუსულენოვან სახელმძღვანელოდან ამოკრეფილ ფრაგმენტთა თარგმანის ერთმანეთზე გადაბმის გზით. წარმოდგენილი მასალების საფუძველზე ამაში ადვილად დარწმუნდება ნებისმიერი არაპროფესიონალი, ვინც ქართულ და რუსულ ენებს ფლობს. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრამ დაადასტურა, რომ აკად. ე. ხეხნიაშვილი არ შეიძლება აღნიშნული სახელმძღვანელოს ავტორად ჩაითვალოს.

აკად. ე. ხეხნიაშვილის არადემოკრატიულობასა და ინსტიტუტის თანამშრომლებთან ეროვნულ საკითხებში მისი სერიოზული უთანხმოებების დამამტკიცებელი საბუთები უხვადაა მასალებში, რომლებიც კომისიას გააჩნია. ძნელი არ უნდა იყოს ახსნა თანამშრომელთა შეუვსებლობისა დირექტორთან, რომელიც შუა „პერესტროიკის" ხანაში მეცნიერების დემოკრატიზაციის პრობლემას, ასე წყვეტს: „...Надо ее (науку. ავტ.) раскрепостить, снять с нее латы и оковы, т. е. по-настоящему ее демократизировать, углубив ее ПАРТИЙНОСТЬ И КЛАССОВОСТЬ». ეს ციტატა მოყვანილია აკად. ე. ხეხნიაშვილის სტატიიდან «За подлинный демократизм в науке и обществе» («Заря востока», 21.06.88). ჩვენ არ შევეცდებით განვსაჯოთ თუ რას წერდა აკად. ე. ხეხნიაშვილი მისი ბიოგრაფიის ადრეულ ეტაპებზე. ᲩᲕᲔᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲓᲦᲔᲡ ᲕᲔᲡᲔᲑᲘᲗ და მხოლოდ დღევანდელი დღის სატკივარზე ვმსჯელობთ. კონკრეტულად თუნდაც იმაზე, რომ წელიწადნახევრის განმავლობაში, რაც აკად. ე. ხეხნიაშვილი ინსტიტუტის დირექტორად იქნა „არჩეული", ინსტიტუტში სამეცნიერო საბჭო არ არჩეულა და ტიპიური ავტოკრატიული მმართველობა დამყარდა. არსებული დებულებით ახლადარჩეულმა დირექტორმა საბჭოს არჩევნები 4 თვის განმავლობაში უნდა ჩაატაროს. სამწუხაროდ, იგივე დებულება არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული იმ შემთხვევაში, თუ დირექტორი ამ მოთხოვნას არ შეასრულებს. ვინ უნდა დაიცვას ამ შემთხვევაში ინსტიტუტი ერთმმართველური რეჟიმის დამყარებისაგან?

კონფლიქტების შესახებ, რომლებიც ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით ინსტიტუტში წარმოიქმნა (დამოკიდებულება სახალხო ფრონტთან, 9 აპრილის შეფასება ფრაზით: „აბა რა გეგონათ?", სკკპ ეროვნული პლატფორმის პროექტის განხილვა და სხვა), ჩვენ ადრეც ვწერდით — მეცნიერებაში პარტიულობისა და კლასობრიობის პრინციპების დამცველი აკადემიკოსი ინსტიტუტის საერთო კრებაზე საჯაროდ აცხადებს: „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ". აქვს კი ყოველივე ამის მოთმენას ზნეობრივი გამართლება?

დაბოლოს ის ფაქტი, რის გამოც იძულებული გავხდით ეს წერილი დაგვეწერა.

პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელზეც მიღებული იქნა გადაწყვეტილება ინსტიტუტის დირექტორის რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შესახებ, ხაზგასმით აღინიშნა, რომ თუ აკად. ე. ხეხნიაშვილი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდა (მან კი თავისი კანდიდატურა კვლავ წამოაყენა), კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატისათვის დაცული იქნებოდა თანაბარი პირობები. როცა ა. წ. 24 აპრილს, ინსტიტუტის გაფართოებულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დირექტორის არჩევნები გამოცხადდა (სხდომას ესწრებოდნენ ვიცე-პრეზიდენტი ა. აფაქიძე, აკადემიის განყოფილების გამგე აკად. მ. ხვინგია და კადრების სამმართველოს უფროსი გ. ლუდუშაური), ამ მომენტს კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი. არჩევნების დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით ჩატარების მიზნით, ინსტიტუტის გაფართოებული საბჭოს წევრთა უმრავლესობამ წერილობით, ორჯერ

(დასასრული მე-16 გვ.)

---

სიხარული და აღფრთოვანება, რაც დამეუფლა „ოქროს საწმისის" წაკითხვის შემდეგ.

იხარეთ და იარეთ წინ დასახული მიზნისაკენ" (ვენერა ფონჩხუა. სოხუმი).

„ბატონო რედაქტორო!

ნება მომეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით მოგილოცოთ — ქართველ ერთან ერთად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხში თანამდგომ სხვა ხალხებს — 26 მაისი. დაე, მამულის თავისუფლებისათვის და მისი სიყვარულისათვის ერთხელ ანთებულ ქართულ გულს არასოდეს შეეწყვიტოს ძგერა.

საუკეთესო სურვილებით, შვედეთის ქართული კულტურული საზოგადოების სახელით.

შალვა თევზაძე,
მალხაზ მიქაძე.
სტოკჰოლმი, 20.IV.90.

„უცრემლოდ ვერ წავიკითხეთ მეორე ნომერი.

მადლი თქვენს ნიჭს, ტაქტს, ზომიერებას.

გვეიმედებით და ვამაყობთ თქვენით". (ნათელა სალაძე, გივი მშვენიერაძე, ზესტაფონი).

„მხნეობა შემმატა, სული და გული გამითბო თქვენმა მშვენიერმა გაზეთმა" (მარინა ბოლქვაძე, ბათუმი).

გალელი ემზარ გოგოხია მხოლოდ მისალმებასა და კეთილ სურვილებს არ სჯერდება. იგი თავის ფიქრსა და თვალსაზრისს უზიარებს რედაქციას: „უპირველეს ყოვლისა, თქვენ და ქართველ მკითხველებს გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გაზეთის დაბადებას.

ბოდიშს გიხდით, წერილი დაულაგებელია, — ცხოვრებაში პირველად გადავწყვიტე მიმეწერა რედაქციას. სამაგიეროდ, იმას გწერთ, რაც გულში მქონდა.

ხალხის ეროვნულმა თვითშეგნებამ გამოიღვიძა, — გვიხარია, მაგრამ, მერწმუნეთ, მეგობრებო, თუ ეს ასეა თბილისში, ქუთაისში ან რომელიმე დიდ ქალაქში, სოფელი კვლავ ძილ-ბურანშია. მაგალითად, ნერვების დაწყვეტამდე მიხდება თანასოფლელებთან იმ ელემენტარული ჭეშმარიტების მტკიცება, რომ იმპერიის ტყვეობისაგან თავის დახსნა სიკეთეს მოგვიტანს. ჩემი ყოველი სიტყვა უდაბნოში ღაღადს ემსგავსება. ფაქტია, მრავალი სოფლელი ადამიანის ეროვნული თვითშეგნება იმ დონეზეა, რომ მას არ სურს სამშობლოს დამოუკიდებლობა, უფრო მეტიც, ეშინია დამოუკიდებლობის. თბილისში ან სოხუმში გამართულ მიტინგებზე წარმოთქმული სიტყვები ამ ქალაქების ფარგლებს არ სცილდება. სახალხო ფრონტის თუნდაც სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები რატომ არ დადიან სოფლებში და არ ატარებენ იქ მიტინგებს? ნუთუ არ დაფიქრებულხართ იმაზე, რომ პოლიტიკურად გაუნათლებელი მასა იმპერიული ძალების ხელში შეიძლება შენიღბული მოქმედების ნაღმად იქცეს?"

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მკითხველები კონკრეტულ წინადადებებსა და სურვილებსაც გამოთქვამენ. ისინი, უპირველესად, ითხოვენ, რომ „ოქროს საწმისი" ყოველკვირეული გახდეს, რაც, მათი აზრით, ხელს შეუწყობს მისგან უფრო ოპერატიული ინფორმაციის მიღებას.

„ოქროს საწმისი" ყოველდღიური თუ არა, ყოველკვირეული მაინც უნდა იყოს, თორემ ვიდრე ის სადღაც ნაპერწკლის გაჩენას გვაუწყებს, ამასობაში ხანძარი უკვე გამძვინვარებასაც მოასწრებს და ყველაფრის გადაბუგვასაც" (აგი სალინაძე. სოხუმი, აჩადარა).

საგულისხმო მოსაზრებებსა და წინადადებებს სთავაზობს რედაქციას თბილისელი გურამ მგელაძე. მისი აზრით, სასურველი იქნებოდა „ოქროს საწმისის" რუსულ ენაზე დუბლირება, რათა მისი პუბლიკაციების გაცნობის საშუალება აფხაზეთის რუსულენოვან მოსახლეობასაც მიეცეს. შემდგომ იგი წერს: „გაზეთმა შეუნელებელი ყურადღება უნდა დაუთმოს ქართველი ბავშვების ქართულ სკოლებში შეყვანის აუცილებლობას, აგრეთვე აფხაზი ბავშვების მშობლიურ ენაზე აღზრდის საკითხს.

შეულამაზებლად, პირუთვნელად და კორექტულ ფორმებში უნდა გამოაშკარავდეს იმ მედროვეთა ვინაობა, ვინც გააფხაზება სოციალური მდგომარეობის (გაუმჯობესების საშუალებად გაიხადა.

უნდა მივმართოთ ყველა შესაძლო საშუალებებს, რომ ძირძველ აფხაზ მოსახლეობას შევაგნებინოთ — ჩვენ საერთო გასაჭირი და ერთად სავალი გზები გვაქვს და ამდენად ჩვენი დაპირისპირება დამღუპველია".

სიტყვა აფხაზებზე ჩამოვარდა. ცხადია, ისინიც აგზავნიან წერილებს და, სრულიად გასაგებია, აკრიტიკებენ რედაქციას. აქვე მოვიტანთ ნაწყვეტს ერთი აფხაზი მოქალაქის წერილიდან (წერილი შესანიშნავი ქართულითაა დაწერილი). შესაძლებელია, ეს სიტყვები დღეისათვის ტიპიურად ან ნიშანდობლივად არ ჟღერდეს, მაგრამ ვფიქრობთ, მაინც ღირს წაკითხვა. ავტორი „ოქროს საწმისის" ზოგიერთ პუბლიკაციას განიხილავს და შემდეგ წერს: „მოდით, ყველა, მოვრჩეთ ფაქტების გაყალბებას, ინსცენირებას, ეროვნული შუღლის გაღვივებას. აფხაზ და ქართველ ხალხს მხოლოდ ერთად შრომა, ერთად ყოფნა, ჭირისა და ლხინის ერთად გაზიარება დაამშვენებს. ყველას ამისკენ მოგიწოდებთ და თუ არ შეგვიძლია, დუმილი მაინც ვისწავლოთ".

ამით გვინდა, დავამთავროთ საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის ორგანოს „ოქროს საწმისის" სარედაქციო ფოსტის მიმოხილვა და ვისურვოთ, რომ გაზეთს შინაარსით გაემართლებინოს თავისი სახელწოდების მითოსური სიმბოლიკა და გაეგრძელებინოს ტრადიციები იმ ძველი მოსახელისა, რომელმაც სამოცდაათიან წლებში უხვად გამოკვება ქართული ეროვნული მოძრაობის ფესვები.

**მიმომხილველი**

# „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლები აღშფოთებულნი არიან იმ დემოგრაფიული მდგომარეობით, რომელიც შეიქმნა აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში და აღწერა „ლს“-მ 16.II-ის ნომერში. მივმართავთ, რესპუბლიკის მთავრობას, ადმინისტრაციულ ორგანოებს, რათა დაუყოვნებლივ იქნას გაწვეული ბიჭვინთაში უკანონოდ ჩასახლებული რუსეთიდან შემოყვანილი 25 ოჯახი. რესპუბლიკის სახალხო ფრონტს, ვთხოვთ, აქტიური კონტროლი გაუწიოს ამ ვითარებას, მიუხედავად ეროვნული მოძრაობის აღზევებისა რესპუბლიკაში, კვლავ ხორციელდება მისთვის საზიანო განსახლების პროცესი, მიწების უკანონო დატაცება, ლტოლვილთა ჩასახლება. თუკი, უმოკლეს ვადაში, რესპუბლიკის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ამ საქმეს თავს ვერ მოაბამს, მივმართავთ აქტიურ საპროტესტო აქციებს.

**წერილს ხელს აწერს 90 კაცი.**



ნისლი ფიქრია მთებისა... მანანა ჩოკოშვილის ფოტო.

# ვინ დაიცავს ინსტიტუტს?

(დასასრული)

(17 და 24 აპრილს) მოგმართათ თხოვნით არჩევნების ჩატარებამდე აკად. ე. ხეხნიაშვილის დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. ამის შემდეგ, გამოიცა აკადემიის პრეზიდენტის სპეციალური განკარგულება, რომელშიც პირდაპირ არის მითითებული, რომ დირექტორს ეკრძალება ისეთი ღონისძიებების ჩატარება, როგორიცაა ხელფასების მომატება, თანამშრომელთა ფულადი წახალისება და დასჯა. მიუხედავად ყოველივე ამისა, დირექტორმა ხელფასები მოუმატა და მნიშვნელოვანი ფულადი პრემიებით დააჯილდოვა ინსტიტუტის თანამშრომელთა დიდი ჯგუფი, რომელმაც 28 მაისს ხმა უნდა მისცეს დირექტორობის კანდიდატს მომავალ არჩევნებში. ასე გაჩნდა ინსტიტუტის საინფორმაციო დაფაზე ურთიერთსაწინააღმდეგო დოკუმენტები: დირექტორის ბრძანებები ხელფასების მომატებისა და ფულადი პრემიების გაცემის შესახებ და პრეზიდენტის განკარგულება ახეთი ბრძანებების გამოცემის აკრძალვის თაობაზე. იქვე გაჩნდა ტრანსპარანტიც წარწერით „დირექტორი ხმებს ყიდულობს. ნუ მიიღებთ ქრთამს!“. „წახალისებულ“ თანამშრომელთა ნაწილმა, დირექტორისადმი პროტესტის ნიშნად, უარი თქვა ხელფასის მომატებაზე. მდგომარეობა ინსტიტუტში უკიდურესად დაიძაბა. გვიპასუხეთ: აქვს აკად. ე. ხეხნიაშვილის ამ ქმედებას რაიმე გამართლება იურიდიული ან ზნეობრივი თვალსაზრისით (ყველა ზემოაღნიშნულ პრეტენზიებს სულაც თავი რომ დავანებოთ)?

აკადემიის პრეზიდიუმის ერთ-ერთ სხდომაზე აზრი გამოითქვა, აკადემიამ მისი წევრები უნდა დაიცვასო. გვინდა ვიკითხოთ, ვისგან, ვინ დაიცავს ინსტიტუტს, რომელიც პრეზიდიუმის გადაწყვეტილების ექვსთვიან (!) მოლოდინში დღეს პარალიზებამდე მივიდა? არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „ზემდგომ“ ორგანოებს საქმე უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ. გაჩნდა აზრი, რომ „ეჭვი“, რომელსაც გ. კობახიძე გამოთქვამს ცკ-ის გავლენის შესახებ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმზე („ახალგაზრდა ივერიელი“, 22. 3. 90) შეიძლება მართალიც იყოს. ამ ეჭვს აძლიერებს აკად. ე. ხეხნიაშვილის მიერ თავისი ძალაუფლების ხელშეუხებლობის დემონსტრაციის მრავალი ფაქტი განვლილი 6 თვის მანძილზე: პრეზიდენტის კომისიის დაშლა, კომისიის წევრთა მიმართ საჯარო, შეურაცხმყოფელი გამოხდომები (საქმე იქამდე მივიდა, რომ პრეზიდიუმის ერთ-ერთ სხდომაზე დაისვა საკითხი აკადემიაში ეთიკის კომისიის შექმნის შესახებ) და ბოლოს, სრული თვითნებობის ფაქტები, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ. ამიტომ, სანამ ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხს მივიღებთ, სრული საფუძველი გვაქვს, რომ ხსენებული „ეჭვი“ ვირწმუნოთ, რადგან ყველასათვის ცნობილია, რომ მთელი ეს ისტორია იმ დროის გამოძახილია, როცა „გაბატონებული იყო მთავრობის დიქტატი. აკადემიის ცხოვრებაში უხეში ჩარევა ჩვეულებრივ ამბად იქცა. იშვიათი არ იყო, როდესაც ამა თუ იმ მაღალ პოსტზე ფეხაცდენილ მოღვაწეს აკადემიაში აგზავნიდნენ, — როგორც უიღბლოთა თავშესაფარში“ (ლ. გაბუნია. ფიქრები ჩვენს მეცნიერებათა აკადემიაზე. „ლიტერატურული საქართველო“, 9. 2. 90). აქედან გამომდინარე, ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, რომელი ძალების მხარდაჭერით საზრდოობენ დღეს „უიღბლოები“. ყოველივე ამის გამო, აქ აღწერილი ექვსთვიანი კონფლიქტი სცილდება ერთი ინსტიტუტისა და კერძო პიროვნების ინტერესების ფარგლებს და ზოგად ხასიათს იძენს. ეს კი გვაიძულებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისაგან კატეგორიულად, საჯაროდ მოვითხოვოთ უმოკლეს დროში პრინციპული შეფასება მისცეს ჩვენს წერილში აღძრულ საკითხებს. შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება ინსტიტუტის ბედს, რომელსაც დაკისრებული აქვს ისეთი ეროვნული მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტა, რასაც საქართველოში სეისმომედეგი მშენებლობის მეცნიერული უზრუნველყოფა ჰქვია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის თანამშრომლები.
წერილს ხელს აწერს 55 კაცი.

ოთხშაბათს, 23 მაისს, მწერალთა კავშირის სასახლეში საბავშვო ლიტერატურის სექცია აწყობს შეხვედრას კომპოზიტორებთან. შესრულდება სიმღერები პოეტთა ლექსებზე.

დასაწყისი 19 საათზე.

# თენგიზ პატარაიას ხსოვნას



ჩვენს საძმოს გამოაკლდა უღალატო მეგობარი და თანამოსაქმე, ცნობილი მთარგმნელი და ლიტერატორი, ახალგაზრდა კაცი, უკვე ბევრის გამკეთებელი და უფრო მეტის გასაკეთებლად გამზადებული თენგიზ პატარაია. ახლა ისღა დაგვრჩენია, მცირე ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოებრიობას, ვიწრო ჩარჩოში ჩავტიოთ დიდი შინაარსით, ჭაპანწყვეტით, მეტი ტკივილითა და ნაკლები სიხარულით აღსავსე ცხოვრების გზა ადამიანისა, ორიოდ სტრიქონში მოვაქციოთ კეთილი და ბობოქარი გული, რომელიც ყველაფერზე იხარჯებოდა და რომელმაც ყველაფერს ველარ გაუძლო...

თენგიზ გიორგის ძე პატარაია დაიბადა 1944 წელს, თბილისში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი. 1969-1976 წლებში ამ ინსტიტუტში მუშაობდა გერმანული ენისა და საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრებზე. აქვე დაიწყო მთარგმნელობითი მოღვაწეობა. 1974-1976 წლებში ალმანახ „საუნჯეში“ ზედიზედ გამოქვეყნდა მის მიერ თარგმნილი რ. მუზილის ვრცელი მოთხრობები და უკვე ცხადი გახდა, რომ ქართულ მხატვრულ მთარგმნელობით ლიტერატურაში ახალი, მეტად ნიჭიერი, პირველხარისხოვანი შემოქმედი მოვიდა. ამიტომაც იგი მოწვეული იქნა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარ სარედაქციო კოლეგიაში, სადაც მთელი 14 წელი იმუშავა, ბევრი კარგი და კაცური საქმე გააკეთა, იყო მრავალი მნიშვნელოვანი წიგნის რედაქტორი, ბევრი მეგობარი და თანამოაზრე შეიძინა და თავისი უნარი, შემოქმედებითი პოტენციალიც უფრო შესაფერის ატმოსფეროში გამოავლინა. იგი მრავალმხრივი ინტერესების მქონე, პასუხისმგებლობის ჭარბი გრძნობით გამორჩეული პიროვნება იყო, არაფერს აკეთებდა მაღალი შემოქმედებითი კრიტერიუმებისა და მტკიცე მოქალაქეობრივი პოზიციის გაუთვალისწინებლად; ისევე, როგორც მრავალ გამორჩეულ შემოქმედს, მასაც რთული და მძიმე ცხოვრება ჰქონდა, მასაც არ ახვენებდა ბედი მდევარი, მაგრამ ყველაფერი, რაც კი მისი ხელიდან გამოსულა, რაც კი მან მოასწრო, ჭეშმარიტი შემოქმედებაა, მადლიანია და არც ადვილად წაიშლება და დაიკარგება, რადგან ორგანულად, პატიოსნად შეერწყა ამ საუკუნის მიწურულის ქართული ლიტერატურის ერთიან წაკადს. ესაა ცალკე წიგნებად გამოცემული რ. მუზილის „სამი ქალი“, ე. კესტნერის „ცხოველთა ყაზირობა“, ზ. ლენცის „ჟამი უცოდველთა“, ჰ. ბიოლის „უკაცო სახლი“, გერმანული და რუსული ენებიდან თარგმნილი არა ერთი ნაწარმოები, ამ ბოლო ათწლეულში დროდადრო რომ ქვეყნდებოდა ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკაში.

ბევრი გვყავს უცხო ენების მცოდნე, მაგრამ სამწუხაროდ, არც ისე ბევრი გვირევია ისეთი ხალხი, ვინც უცხო ენასთან ერთად და, რაც უმთავრესი და უპირველესია, ღრმად და სისხლხორცეულად ფლობს მშობლიურ ქართულს. სწორედ ასეთი იყო თენგიზ პატარაია, უცხო ენების — გერმანულისა და რუსულის სპეციალისტი და, პირველ ყოვლისა, მშობლიური ენის მესაიდუმლე, საზღვარგარეთ გასედული, ევროპულ კულტურაზე მიყურადებული კაცი ამ თვალსაწიერიდან საკუთარი კულტურისათვის ილვწოდა, საკუთარ მამულში მუშაკობდა...

ამ ბოლო დროს იგი მხატვრული აზროვნების ერთ-ერთ დიდ და რთულ ნიმუშს, ცნობილ რომანს, ა. დიობლინის „ბერლინი-ალექსანდერპლაცს“ თარგმნიდა. საგულდაგულოდ მოემზადა, შეება საჭიდაო ქვას... აწ ვინ იცის, კიდევ რა დრო გაივლის, როდის მოვა ახალი თენგიზ პატარაია, ვისაც შეეძლება ამ ტვირთის აწევა, ვისაც ძალი ექნება ჭიდილისა.

გვეპატიოს ეს პესიმიზმი — ზღვარი აღარა აქვს ჩვენს მწუხარებას.

**მთავარი სარედაქციო კოლეგიის თანამშრომლები.**

# კონკურსში გამარჯვებული

ჟიურიმ შეაჯამა საქართველოს კულტურის სამინისტროსა და თეატრის მოღვაწეთა კავშირის მიერ გამოცხადებული დახურული რესპუბლიკური კონკურსის შედეგები საუკეთესო პიესისათვის, რომელიც ჩატარდა დევიზით „ადამიანი და ისტორია, ადამიანი და სარწმუნოება, ადამიანი და ბუნება“.

**პირველი პრემია წილად ხვდა ირაკლი სამსონაძის პიესას „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“ (დევიზი „ხომალდი“).**

**მეორე პრემია მიენიჭა თემურ აბულაშვილის პიესას „თოჯინების სოფელი“ (დევიზი „ბაქანი“) და თამაზ მეტრეველის პიესას „ბზარი“ (დევიზი „არა კაც ჰკლა“.).**

**მესამე პრემიით დაჯილდოვდა ოთხი ნაწარმოები:**

**ოთარ ჩხეიძის — „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი“ (დევიზი „ტონ თიო“), მიხო მოსულიშვილისა და ანდრო ენუქიძის — „ხვალ პრემიერაა“ (დევიზი „მშვილდოსანი და თხის რქა“), გურამ ბათიაშვილის — „საბა“ (დევიზი „მზექაბუკი“) და გიორგი ხუხაშვილის — „ცხოვრება ნიკო ფიროსმანისა“ (დევიზი „ოსტატი“).**

საქართველოს კულტურის სამინისტრო და თეატრის მოღვაწეთა კავშირი კონკურსში გამარჯვებულ პიესებს რეკომენდაციას გაუწევენ რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრებში დასადგმელად.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს თანამშრომელს ნაირა ცქიმანაურს დედის
ეკატერინე ბეჟაშვილის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს მთარგმნელთა ასოციაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
თენგიზ პატარაია
და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
თენგიზ პატარაია
და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.


რედაქტორთა საბჭო.

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე, ემზარ ჯაველიძე (მთავარი რედაქტორი).

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი.





რედაქციის მისამართი:
380005, თბილისი,
გუდიაშვილის
მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-68; 99-03-65.

რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 18 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ
СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით

ფასი 20 კაპ.



ИНДЕКС 08436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. უე 00281